ეროვნული ბიბლიოთეკა

**პრეზიდენტი**

## აშშ საგანგებო დავალებათა ელჩი მუშაობას შეუდგა

14 ივლისს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის სპეციალური მრჩეველი ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხებში, საგანგებო დავალებათა ელჩი სტივენ სესტანოვიჩი, რომელიც აშშ მთავრობის დელეგაციასთან ერთად ეწვია თბილისს.

შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

* * *

იმავე დღეს სტივენ სესტანოვიჩს შეხვდა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი

**კორუფციის წინააღმდეგ**

## საქართველოს კონტროლის პალატა ძველთან ერთად ახალ გვარებსაც ასახელებს

და სათბობ-ენერგეტიკის სისტემის ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოვლენილი უხეში დარღვევების ფაქტებზე შესაბამისი ხელმძღვანელობის წინაშე სვამს მათი თანამდებობრივი მიზანშეწონილობის საკითხს...

**საქართველოს პროკურატურა იწყებს კონტროლის პალატიდან გადაგზავნილი ყველა მასალის შესწავლას**

იხ. მე-3 გვ.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

გასულ ხუთ დღეში ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 6531 მკითხველი. მათ შორის, 62% აშშ-დან, 25% – საქართველოდან.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №189 (3590) შაბათი, 15 ივლისი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

**პარლამენტის თავმჯდომარე**

## ისაუბრეს სტრატეგიული თანამშრომლობის კონკრეტულ ასპექტებზე

14 ივლისს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის მრჩეველი დსთ საკითხებში სტივენ სესტანოვიჩი.

სტივენ სესტანოვიჩი თბილისში ცენტრალურ აზიაში ვიზიტის შემდეგ ჩამოვიდა. ზურაბ ჟვანიასთან საუბრის ძირითადი თემა იყო სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში შეერთებული შტატების გეოპოლიტიკური კურსი და საქართველოსთან სტრატეგიული თანამშრომლობის კონკრეტული ასპექტები. როგორც სტივენ სესტანოვიჩმა აღნიშნა, შეერთებული შტატების პოლიტიკურ წრეებში დიდი ინტერესით მოელიან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მომავალ ვიზიტს, ვაშინგტონში გამართულ შეხვედრებზე კვლავაც დაზუსტდება თანამშრომლობის პრიორიტეტები და ფორმატი.

**ვიზიტის წინ**

## ორი დღით — ნისლიან ალბიონზე

ორშაბათს, საღამოს, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ლონდონში ოფიციალური ვიზიტით ჩავა.

ამ მნიშვნელოვანი მოვლენის კვირაძალს „საქართველოს რესპუბლიკამ" ინტერვიუ ჩამოართვა საქართველოს ელჩს დიდ ბრიტანეთში თემურ მამაცაშვილს:

– უკვე კარგა ხანია, ჩვენი საელჩოს მთავარი საქმე საქართველოს პრეზიდენტის დიდ ბრიტანეთში ვიზიტი გახლავთ.

როგორც მოგეხსენებათ, დიდი ბრიტანეთი დიდი ბრიტანეთია, კონსერვატიული და ტრადიციული, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მთავრობაში. დღევანდელ მთავრობას, ანუ „ახალ ლეიბორისტებს" 18 წლის განმაელობაში ოპოზიციაში ყოფნის შემდეგ პრაქტიკულად ახლიდან მოუხდათ ქვეყნის მართვის სწავლა. ახალგაზრდა და დინამიკურ პრემიერ-მინისტრს უმეტეს შემთხვევაში პატივმოყვარეობასთან ერთად ამბიციურობაც ამოძრავებდა. ბევრი ძველი ფასეულობა გადაფასდა, მიმდინარეობს ახლის ძიება, მაგრამ ის იმიჯი, რომელიც ჩვენს პრეზიდენტს აქვს დიდ ბრიტანეთში, ურყევი და შეუცვლელია.



ლონდონი. 1995 წლის თებერვალი. სერგო ედიშერაშვილის ფოტოარქივიდან.

ამის დასტურია მისი ვიზიტი დიდ ბრიტანეთში, რომელიც პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის მოწვევით განხორციელდება. ტონი ბლერს ედუარდ შევარდნაძე 18 ივლისს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში, მის პირად აპარტამენტებში შეხვდება.

საქართველოს პრეზიდენტის დაკავებულობის გამო, ვიზიტი, სამწუხაროდ, არასრულ ორ დღეს გაგრძელდება და უამრავი ხალხი, ვისაც დიდი იმედი ჰქონდა მასთან შეხვედრის, მისი მოსმენის, გამოცდილების გაზიარების, ან უბრალოდ, თავისი პატივისცემა რომ დაედასტურებინა ედუარდ შევარდნაძისთვის, იმედგაცრუებული დარჩება.

იხ. მე-2 გვ.

**დაჯილდოება**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 14 ივლისი ქ. თბილისი.

**მ. გორდელაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოში არატრადიციული მეთოდებით ბავშვთა მკურნალობაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, საქველმოქმედო საქმიანობისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის ბავშვთა პირველი საავადმყოფოს არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი, საქართველოს ქალთა საბჭოს წევრი მაგული გორდელაძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 14 ივლისი ქ. თბილისი.

**მ. გიორგაძის და ლ. ხელიძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ**

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი წვლილისა და განათლების რეფორმის მიმდინარეობის პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ვანის რაიონის პედაგოგიური კავშირის წევრები მარგალიტა გიორგაძე და ლილი ხელიძე დაჯილდოვდნენ ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

**დღის თემა**

## „... რომე კაცმა თავსა ივნოს"

**ანი მაინც ნუ დავწვავთ, ავაფეთქებთ და გადავკეტავთ ერთმანეთთან დამაკავშირებელ ხიდებს**

ერთი ჭკვიანური ნათქვამისა არ იყოს, ხშირად მართლაც შესაძლოა მტერმა ვერაფერი ავნოს კაცს ისეთი, ამ უკანასკნელმა თავისივე გაუაზრებელ-გაუცნობიერებელი ქმედებით, უპასუხისმგებლობით, წინდაუხედაობითა თუ სხვა მიზეზით საკუთარ თავს ვნება რომ მიაყენოს.

ნაღდად არ მინდოდა საგაზეთო მასალის ამ სათაურით დაწყება, მაგრამ საოცრად რომ მიესადაგება ჩვენს არც თუ შორეულ წარსულს და, ნაწილობრივ, დღევანდელობასაც?

ამგვარ განწყობაზე კი წლეულს, აპრილის დასაწყისში, მდინარე მაჯანაზე ახალი საავტომობილო ხიდის გახსნამ, უფრო სწორად, ამ ხიდისა და, მისი ასოციაციით, ცხენისწყალს გადავლებული ხიდის გახსენებამ დამაყენა.

90-იანი წლების დასაწყისში მაჯანაზე ხიდი ახალი აფეთქებული ჰქონდათ, ცხენისწყლის ხიდზე რომ გაავლეს „საზღვარი". ახლაც ლამის პირველშობილი სიცხადით ვგრძნობ შეძრწუნების, მარტო საკუთარი კი არა, ეროვნული უძლურების შეგრძნების, გაოგნებისა თუ მრავალი ხხვა გრძნობის ნაზავის სიმწვავეს, თითქოსდა „იქითა" საქართველოში გადასვლისას საბუთების შემოწმებით, ხიდიდან სამასიოდე მეტრში კი, სოფელ მარნის სარკინიგზო პლატფორმის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწაყრილს ამოფარებული ქვემეხებისა თუ ჯავშანმანქანების, შეიარაღებული ადამიანების ხილვით ეკლებად რომ მესობოდა გულში.

ვის ვეომებოდით, ვის მოსაგერიებლად ვლესავდით მახვილს?

იხ. მე-2 გვ.

**სტუმრად საპატრიარქოში**



## მარტო არა ვართ ქვეყანაზე...

– „მარტო არა ვართ ქვეყანაზე, ჩვენთან არს ღმერთი!" – ამ სიტყვებით დასათაურდა საქართველოს საპატრიარქოში უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან შეხვედრაზე მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილი ლიტერატურულ-რელიგიური კომპოზიცია.

– რამ გიბიძგათ ამ ჩანაფიქრისკენ? – შეკითხვაზე 144-ე სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ღირსების ორდენოსანმა შუქურა ლომიძემ მიპასუხა:

– შინაგანმა ტკივილებმა სულის ამაღლება, ღმერთთან მიახლოების თითოეული ჩვენგანის დიდმა სურვილმა, სკოლაში მართლმადიდებლური სული ტრიალებს, თითოეული მოსწავლის სურვილია ღვთის ზეაღმართულმა მართლმადიდებლურ ეკლესიამდე მიგვეიყვანოს.

ბიბლიაზე არის აგებული ლიტერატურულ-რელიგიური კომპოზიცია, იგი მე და ჩემმა ასისტენტებმა, პედაგოგებმა ეკა გოგუამ და ინოლა გოგოლაძემ მოვამზადეთ; სამხატვრო ხელმძღვანელია სკოლის დირექტორი მანანა კიკაჩეიშვილი, ხოლო მისი მონაწილენი VIII-XI კლასის მოსწავლეები.

იხ. მე-2 გვ.

**პალიტრა**



კოკა იგნატოვი, „ხაბაზები".

## საქართველოს ხერხემალი — სამეგრელო არასოდეს გაიმეტებს სრულიად საქართველოს ხერხემალში გადასატეხად

**თბილისის ბიუჯეტი წელში გაიმართა**

თბილისის ბიუჯეტის დამტკიცება იმის გამო, რომ დედაქალაქისათვის ფინანსთა სამინისტროს მიერ გარკვეული შეღავათები იქნა გათვალისწინებული, პარასკევს საკრებულოს სხდომაზე კიდევ 10 დღით გადაიდო.

ხუთშაბათს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, თბილისს, როგორც დედაქალაქს, გარკვეული შეღავათები დაუწესდა და საშემოსავლო და მოგების გადასახადებიდან ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების 60 პროცენტის ნაცვლად, 85 პროცენტი დარჩება.

როგორც საკრებულოს სხდომაზე თბილისის პრემიერმა გიორგი მერაბემ განაცხადა, აღნიშნული შეღავათით დედაქალაქი წლის ბოლომდე 10-13 მილიონ ლარს მიიღებს, რაც, ძირითადად, სოციალური, განათლების, კულტურის და ჯანდაცვის სფეროების დასაფინანსებლად იქნება გათვალისწინებული.

მიმდინარე წლის დედაქალაქის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ემთხვევა ხარჯვით ნაწილს და 145-150 მილიონი ლარით არის განსაზღვრული.

**სამხედრო აკადემია 120 კურსდამთავრებულს გამოუშვებს**

საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემია დღეს საზეიმო ვითარებაში გამოუშვებს 120 კურსდამთავრებულს.

**ინფორმაცია**

ყველა კურსდამთავრებულს მიილებს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრეს თავდაცვის სამინისტროში, ოთხწლიან კურსებზე წელს აკადემიაში მიღება აღარ იქნება, გაიხსნება ერთწლიანი კურსები, სადაც მხოლოდ უმაღლესდამთავრებულები ჩააბარებენ. დღეისათვის, სამხედრო აკადემიის ხუთ ფაკულტეტზე - საერთო საჯარისო, საარტილერიო, სატანკო, შინაგანი და სასაზღვრო – 600 კურსანტი სწავლობს და პირველკურსელების ჩათვლით, მათი საერთო რაოდენობა 740-ს შეადგენს.

უმაღლესმა სამხედრო სასწავლებელმა პირველი კონტინგენტი 1997 წელს გამოუშვა და 76 ოფიცრით გაამდიდრა ქვეყნის შეიარაღებული ძალები.

**ესტონელები თბილისში**

ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვის მიზნით, თბილისს გუშინ ოფიციალური ვიზიტით ეწვია ესტონეთის თავდაცვის სამინისტროს დელეგაცია. როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესსამდივნოში, დელეგაციის შემადგენლობაშია ესტონეთის თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ლაურის ალმანი, თავდაცვის დაგეგმარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ჰარი ლახთუინე და ნატოში ესტონეთის წარმომადგენლობის სამხედრო კონსული სვენ ზაკოვი. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის წევრები შეხვდებიან საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილეს გრიგოლ ქათამაძეს და შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ჯონი ფირცხალაიშვილს.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

**გიხაროდენ!**

## ლევან ბახტაძე - ხაშურიდან

ძვირფასო რედაქცია! ამ ბოლო წლებში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ, რა დასამალია, ყველაფერი ჯერჯერობით რიგზე არ არის. ქვეყანას მარტო ეკონომიკური სიძლიერე კი არა, შვილთა სიმრავლეც სჭირდება. ამ მიმართულებით თქვენი პატარა კუთხე, პირველ გვერდზე მრავლისმეტყველი და სიხარულისმომგვრელია. ამიტომაც ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესით ვკითხულობ.

ბოლოს და ბოლოს მეც გამიჩნდა თქვენთვის მახარობლობის საბაბი, – ბებია გავხდი: 10 ივლისს ჩემ რძალს ლელა თევდორაძეს და ვაჟს გიგას შვილი შეეძინათ. პა-



ტარას ლევანი დაარქვეს, ჩვენს ოჯახში დიდი ზეიმია. ლევანი 4 კილო და 53 სანტიმეტრი დაიბადა. სამშობიაროში ამბობენ 3 თვის ბავშვსა ჰგავსო, დედა-შვილი ჯანმრთელად არიან, ორივეს მალე გამოწერენ.

გმადლობთ ჩვენი სიხარულის გაზიარებისათვის.

ანა გულიაშვილი-ბახტაძე.
ხაშური.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

**უკანასკნელ საათს**



რუსეთის პარლამენტის ზედა და ქვედა პალატების შემთანხმებელ კომისიაში, რომელიც სახელისუფლო ვერტიკალთან დაკავშირებით პრეზიდენტის კანონპროექტის შესაჯერებლად შეიქმნა, 13 საკითხზე შეთანხმდნენ, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ მხოლოდ ერთ საკითხზე, რამაც გამოიწვია კიდეც კომისიის დაშლა. პარლამენტარები დიალოგის გაგრძელებას უჭერდნენ მხარს, სენატორები, პირიქით, მის შეწყვეტას, რადგან კომპრომისს ვერ მიაღწიეს ზედა პალატის ფორმირების საკითხში. სახელმწიფო სათათბიროში ამას „სრულ კრახს" უწოდებენ. ფედერაციის საბჭოში კი კატეგორიულად აცხადებენ, რომ კონსტიტუცია პირდაპირ კრძალავს ფედერაციის საბჭოს დათხოვნას.

**დღეს**

დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით +19+24; დღისით +27+32.
მთაში: ღამით +16+21; დღისით +25+30.
აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით +21+26; დღისით +33+38.
მთაში: ღამით +18+23; დღისით +30+35.
თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ.
ღამით +24+26; დღისით +36+38.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

**ლარის კურსი**

15 ივლისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანული მარკა | 1 | 0.9401 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9649 | ლარი |
| ევრო | 1 | 1.8388 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0706 | ლარი. |

**გვირეკავენ, გვეკითხებიან**

– გთხოვთ, განმიმარტოთ, რა შემთხვევაში შეიძლება გაუქმდეს ჩუქება?

თამილა სახვაძე, ბათუმი.

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის შესაბამისად, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს, ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის, ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილი იქნას მჩუქებლის მიერ. აქვე განგიმარტავთ, რომ ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმაელობაში, მას შემდეგ რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

ირინე ლლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

**ინტერპანორამა**



გროზნოში უაღრესად დაძაბული მდგომარეობა. რუსი სამხედროების ვარაუდით, აქ შემოსულია 1000-მდე მოთარეშე. ფედერალური ძალები ემზადებიან მათ მიერ დაგეგმილი ტერაქტების აღსაკვეთად.



გუშინ ჩეჩნეთში მოთარეშეებთან შეტაკებისას 3 ფედერალური სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.



ჩეჩნეთის კიდევ სამი საველე მეთაური მზად არის იარაღი ჩააბაროს ფედერალურ ძალებს, თუმცა, მათ გვარებს არ ასახელებენ გარკვეული მოსაზრებების გამო. გუშინ გავრცელებული ცნობების მიხედვით 50 მოთარეშე ჩაბარებას აპირებს.



გუშინ საფრანგეთში საზეიმოდ აღინიშნა ეროვნული დღესასწაული – ბასტილიის აღების დღე.

„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

ვიზიტის წინ

# ორი დღით — ნისლიან ალბიონზე

(პირველი გვერდიდან)

როდესაც ვიზიტის ორგანიზაციის დეტალებზე ვმუშაობდით, ერთ-ერთი შეხვედრის დროს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა რობინ კუკმა აღნიშნა, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძის შეხვედრას დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრეზიდენტის დიდი გამოცდილებიდან და მისი საერთაშორისო ავტორიტეტიდან გამომდინარე, რაც ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრისათვის უდავოდ სასარგებლო იქნება.



1995 წელი. ლონდონი.

პრეზიდენტის ვიზიტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი კოლეგები — ყოფილი საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ლორდ ჰაუ და ლორდ ჰერდი და ძალიან აქტიურადაც მონაწილეობენ ვიზიტის პროგრამის მომზადებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ლორდ ჰერდის ძალისხმევა, რომელიც გარდა პოლიტიკური შეხვედრებისა, ასევე აქტიურობს ლონდონის სიტის კორპორაციის და „ბრიტიშ ინვიზიბილის“ („ბრიტანული უჩინმაჩინის“) მიერ საქართველოს საქმიანი კონფერენციის მოწყობაში ლონდონის სიტიში — ბრიტანეთისა და, როგორც მიიჩნევენ, მსოფლიოს საქმიან და ფინანსურ ცენტრში. აქ ასევე დიდ დახმარებას გვიწევს ჩვენი დიდი მეგობარი და პრეზიდენტის დიდი პატივისმცემელი კორპორაციის ხელმძღვანელი ქალბატონი ჯუდით მეიჰიუ.

უაღრესად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ პრეზიდენტის გამოსვლას ლონდონის გულში — „გილდ ჰოლში“ ლორდ-მერის კლაივ მარტინის მიერ გამართულ სადილზე, მის მიმართვას ბრიტანეთის წამყვანი ბიზნესმენებისადმი, რასაც შემდგომ მოჰყვება ბიზნესკონფერენცია საქართველოს წარმოსაჩენად ისეთ სფეროებში, როგორიც არის პრივატიზაცია, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, ნავთობსადენები და გაზსადენები.

დიდი ბრიტანეთი საქართველოს განიხილავს როგორც მეგობარ და პარტნიორ ქვეყანას, მისთვის სტაბილური რეგიონული ურთიერთობები მეტად მნიშვნელოვანია. ეს დადასტურებული იყო ბატონ კუკის ვიზიტის დროს თბილისში და იგივე განმეორდება ლონდონში.

საქართველოს ურთიერთობები დიდ ბრიტანეთთან დინამიკურად ვითარდება ყველა მიმართულებით: ქართული სტატისტიკის თანახმად ყველაზე მეტნი, ამერიკელების შემდეგ, საქართველოში ინგლისელები ჩამოდიან. უფრო მეტის ჩამოსვლას დღეს ხელს უშლის არასაკმარისი ავიარეისები, — მოგეხსენებათ, ბრიტანული ავიაკომპანია კვირაში მხოლოდ სამჯერ დაფრინავს. შედარებისთვის: რიგაში ყოველდღე 3 რეისია.

დღეს შეიძლება, შეუმჩნეველია, მაგრამ ვიტყვი, რომ საქართველოში ყველაზე მეტი მოცულობით ბრიტანული ბიზნესი არის შემოსული. ბევრად უფრო აქტიურად მუშაობს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომლის პრეზიდენტს ჟან ლამერს, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი 18 ივლისს შეხვდება. ახალი პერსპექტიული პროექტებიდან განიხილება ცემენტის ქარხანა, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ქარის ენერგიით მომუშავე გენერატორები, გემების შეძენა ფლოტის განახლებისთვის და სხვა.

**— ჩრდილოეთ ირლანდიაში სიტუაციის ბოლოდროინდელი გამწვავება უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს ვიზიტის ორგანიზაციაზე?**

— არა. ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე პროცესებს გავლენა არ ექნება ვიზიტზე, თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, რომ გარკვეული ხნის წინათ კოსოვოში და ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარე პროცესებმა გარკვეული კორექტივები შეიტანა ამ ვიზიტის ორგანიზაციაში. ისე კი, ჩრდილოეთ ირლანდიაში პრობლემების მოწესრიგების პრაქტიკიდან ზოგიერთი ელემენტის გამოყენება ჩვენთანაც შესაძლებელია. იმედი მაქვს, გამოგვადგება.

ვიზიტს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ძალიან მოხარული ვარ, რომ პრეზიდენტმა შეძლო და ჩამოდის. ეს დიდ სტიმულს მისცემს საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებასა და გაღრმავებას.

სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ვიზიტის დროს ბატონ ედუარდ შევარდნაძისა და ქალბატონ ნანული შევარდნაძის შეხვედრას დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალთან ელისაბედ მეორესთან. ტრადიციული ინგლისისათვის, და არა მარტო ამ ქვეყნისთვის, ეს სულ სხვა განზომილების მქონე ფაქტია.

რაღა დარჩა, დაველოდოთ.

ესაუბრა **არმაზ სანებლიძე.**

პარლამენტის თავმჯდომარე

## ზურაბ ჟვანიამ გერმანიის ბუნდესტაგის დელეგაცია მიიღო

14 ივლისს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების კომიტეტის წევრები.

ბუნდესტაგის წევრები საქართველოში ერცელი პროგრამით არიან ჩამოსულები და აქტიურად თანამშრომლობენ ეკონომიკური პოლიტიკის საპარლამენტო კომიტეტთან. მათი მოხსენება საფუძვლად დაედება ბუნდესტაგისა და ფედერალური მთავრობის პოზიციას საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით.

როგორც ზურაბ ჟვანიამ აღნიშნა, გერმანია საქართველოს გამოცდილი და მნიშვნელოვანი პარტნიორია, ამდენად, ყველა ეკონომიკურ პროექტს, რომელსაც ორი სახელმწიფო ერთობლივად განახორციელებს, საქართველოს პარლამენტის პრიორიტეტული თანადგომა და მხარდაჭერა ექნება.

შეხვედრაზე განიხილეს რამდენიმე ასეთი პროექტი, რომელთაგან განსაკუთრებით ბორჯომი—ხარაგაულის ეროვნული პარკის განვითარების პროექტი და აგრეთვე ეკონომიკის სხვა სფეროებში ინვესტირების საკითხები იყო გამოყოფილი.

**საქინფორმი.**

**მოსამართლეები კვალიფიკაციას იმაღლებენ**

ევროკავშირის „ტასისის“ პროექტის „მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების“ პროგრამის ფარგლებში 24 ახლადდანიშნული მოსამართლისათვის მომზადების ხუთკვირიანი კურსი იმართება. სემინარები 22 ივლისამდე გასტანს.

როგორც 14 ივლისს უზენაეს სასამართლოში გამართულ პრესკონფერენციაზე პროექტის ხელმძღვანელმა რალფ იულიხმა განაცხადა, მოსამართლეთა კომპლექსური მომზადების კურსს ატარებენ გამოცდილი ევროპელი და ქართველი მაღალკვალიფიციური ექსპერტები. სწავლების კურსის დასრულების შემდეგ მოსამართლეები შესაბამის საერთაშორისო სერტიფიკატებს მიიღებენ. აგვისტოში კი გაიმართება კურსდამთავრებულთა შესარჩევი ტური და მასში მონაწილე ათი საუკეთესო გერმანიასა და საფრანგეთში გაიგზავნება.

„მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლების“ პროექტის დასაფინანსებლად ევროკავშირმა მილიონი ევრო გამოყო. პროექტის მიზანია საქართველოში დემოკრატიული სამართლებრივი სისტემისა და ინფრასტრუქტურის შექმნა.

ინფორმაცია მოგვაწოდა საქინფორმმა.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 14 ივლისი ქ. თბილისი

**საქართველოს განათლების დარგის მუშაკთა ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, განათლების რეფორმის მიმდინარეობის პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს განათლების დარგის მუშაკები:

**მაყვალა ელისაბედაშვილი** — თელავის №3 საშუალო სკოლის დირექტორი; **ლამარა კალანდაძე** — თელავის რაიონის სოფელ წინანდლის საშუალო სკოლის დირექტორი; **დავით კოპაძე** — კასპის №1 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი; **ნაპოლეონ ლორთქიფანიძე** — საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ვანის რაიონის პედაგოგიური კავშირის თავმჯდომარე; **დოდო (ლეილა) ქირია** — მცხეთის №1 საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი; **ქუჟუნა დიბრაძე** — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი; **ანტისო ძაგნიძე** — საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი (ქ. ვანი); **რამაზ ხაჭაპურიძე** — ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

**ე. შევარდნაძე.**

სტუმრად საპატრიარქოში

## მარტო არა ვართ ქვეყანაზე...

(პირველი გვერდიდან)

ილია მეორის შემობრძანებას დარბაზი კრძალვითა და ფეხზე ამდგარი შეხვდა...

ციმციმებენ სანთლები... ქართული საგალობლების ფონზე იკითხება ტექსტი...

შეკრებილთ დარბაზის კედლებიდან საქართველოს დიდებულ მღვდელთმთავართა ჩაფიქრებული სახეები დასცქერით... თეთრ სამოსელში ჩაცმული 4 გოგონა საგალობლებს მიყვება ტექსტით და იქმნება საოცარი, ამაღლებული განწყობილება.

დარბაზს ავსებს სვეტიცხოვლის „იმ ზარების რეკვა“, როგორიც ფერისცვალების დღეს მოხდა, მოქცევაი ქართლისა, მირიან მეფისა და ნანა დედოფლის მოხსენიებით...

გუნდი მღერის ღვთის საგალობელს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანას. ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა), ხდება გახსენება ათონის წმინდა მთისა, ივერიონის მონასტრის ბერების ღვაწლისა... თუ რატომ გაისმოდა საუკუნეთა განმავლობაში ივერთა მონასტრის ბერების საგალობელში ქართული ნანა თუ „იავნანა“...

— მაცხოვარო ქვეყნისა, გევედრებით, გააძლიერე ჩვენი მართლმადიდებლური რწმენა, რომლითაც ცხოვრობდნენ და იმარჯვებდნენ ჩვენი დიდი მამა-პაპანი.

— უფალო გეწამს, ჯვარს ეცვი და აღსდეგ ჩვენთვის. ქვეყანა გამოიხსენ ცოდვებისაგან, შენი აღდგომით მოგვამადლე საწყისი ახალი ცხოვრებისა, რომელიც იწყება აქ, დედამიწაზე და გრძელდება საუკუნეთა სასუფეველში... — სასოება ქვეყნისა, მოგვანიჭე ძალა, რათა ვიაროთ ამაღლების გზით და მოგვეც მხნეობა ჩვენი სულიერი ფერისცვალებისათვის.

— ღმერთმა ინებოს, ყველა ქართველს შეძლებოდეს, ეთქვას ქრისტესა და ჩვენი ერის მღვდელთათვის ამ საუკუნის წამებული ქართველი პატრიარქის ამბროსი ხელაიას სიტყვები: — „რა გინდათ ჩემგან, ჯალათებო, ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული საქართველოს, ამ გვამს უყავით რაც გსურთ!“

სცდება ის, ვისაც ჰგონია, რომ ბავშვობა, ახალგაზრდობა არ ახდენს გავლენას ჩვენი მომავლის ჩამოყალიბებაზე. ხდება პირიქით, ის განსაზღვრავს თითოეულის მომავალს... ამიტომ მათ სამყაროს არ შეიძლება ვინმე უხეშად შეეხოს. ჩვენს ყოფაში სამოქალაქო ომებმა, სოციალურმა პირობებმა ბევრი რამ შეცვალეს, გაუხეშდნენ კიდეც მოზარდები, რადგან მოაკლდათ სიკეთე და სიყვარული... აუცილებელია ყველას ერთიანობა. ეს იყო მიზანი საპატრიარქოში თბილისის 144-ე სკოლის მოსწავლეების, მათი მშობლების, პედაგოგების და კრწანისის რაიონის გამგებლის ირაკლი როსტომაშვილის ხელმძღვანელობით სტუმრობისა.

მოზარდებს პატრიარქმა მიმართა: — ამ ლიტერატურულ-რელიგიური კომპოზიციის მონაწილეებში ჩემს საქართველოს, ჩვენს რწმენას და მის სათნოებას ვხედავ, რომელმაც დღემდე მოიყვანა, გადაარჩინა ქართველთა ენა, მამული, სარწმუნოება. მადლობა მათ მასწავლებლებს, რომ ჩვენ გვასტუმრეს. პატრიარქმა მოსწავლეებს და დარბაზში მოსულთ ბიბლია და „საეკლესიო ლიტერატურული კალენდარი 2000“ გადასცა, ხოლო კრწანისის რაიონის განათლების განყოფილებამ და გამგეობამ — საჩუქრები. ამ დღის აღსანიშნავად ახალგაზრდებმა ილია მეორესთან სამახსოვრო სურათიც გადაიღეს.

**ნათელა ფაილოძე.**

სულიერება

## ქრისტიანობა შუქია, რომელიც გზას უნათებს შემოქმედს

ქრისტიანული სამყაროსათვის უდიდეს დღესასწაულს — ქრისტეშობის 2000 წლისთავს და საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავს მიეძღვნა გამოფენა, რომელიც 14 ივლისს გაიხსნა საქართველოს შ.ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. აქ წარმოდგენილია ნაწარმოებები ხელოვნების მუზეუმის, „ტი-ემ-ეს“ გალერეის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის ფონდებიდან და კერძო კოლექციებიდან. გამოფენის ორგანიზატორები არიან საქართველოს საპატრიარქო და საქართველოს მხატვართა კავშირი. ექსპოზიცია დამთვალიერებლებს აცნობს ქართული სახვითი ხელოვნების კლასიკოსებად აღიარებული ოსტატების, მე—20 საუკუნის თვალსაჩინო ქართველი მხატვრების, ჩვენი თანამედროვეების ნამუშევრებს. ეს არის ფერწერული ტილოები, გრაფიკული ნამუშევრები, სხვადასხვა ჟანრისა და სტილის გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, რომლებსაც ერთი რამ აერთიანებს — რელიგიური თემატიკა.

გამოფენა გახსნა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა ნოდარ ლომოურმა. მან აღნიშნა, რომ ქრისტიანობამ, რომლის ერთგული იყო საქართველო ჩვიდმეტი საუკუნის განმავლობაში, უდიდესი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის ეროვნულ თვითშეგნებაზე, ეროვნული ხელოვნების განვითარებაზე. სსრ კავშირის პერიოდშიც კი, როცა ღვთის რწმენა ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგიის მიერ თითქმის დანაშაულად მიიჩნეოდა, ქართველი მხატვრები თავიანთ შემოქმედებაში, ამა თუ იმ ფორმით, ასახავდნენ საეკლესიო თემატიკას. დღესაც თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები ამ თემას მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ, რასაც თვალსაჩინოდ მოწმობს ექსპოზიცია. შეკრებილთ გამოფენის გახსნა მიულოცა მეუფე დანიელმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართველი ხალხი არის ქრისტიანული ტრადიციების, ქრისტიანული მსოფლმხედველობის მატარებელი, ქრისტიანული ცივილიზაციის ბრწყინვალე წარმომადგენელი. სწორედ ქრისტიანობა იყო ქართველი მწერლების,მხატვრების, მუსიკოსების მრავალი თაობისათვის ის შუქი, რომელიც გზას უნათებდა მათს შემოქმედებას. — დღეს ვხედავთ, რომ ყველაფერი, რაც კი საუკეთესო შეუქმნია კაცობრიობას ბოლო 2000 წლის განმავლობაში იქმნებოდა, ღვთის რწმენით, სიყვარულით, რომელიც გვიქადაგა იესო ქრისტემ, — განაცხადა მეუფემ.

გამოფენა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში 24 ივლისამდე გასტანს.

**საქინფორმი.**

კულუარები

ბატონ ნიკო ლეკიშვილისთვის თანამდებობიდან გადადგომა უჩვეულო არ არის. ასე იყო 1998 წელს, როცა იგი სახელმწიფო მინისტრობიდან გადადგა და ამას მთელი მთავრობის გადადგომა მოჰყვა. ახლა მან საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერობაზე დროებით უარი თქვა, რაც უმრავლესობას და საერთოდ პარლამენტს დიდ არეულ-დარეულობას უქადის. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ დაიწყო საუბარი ახალი ფრაქციის ჩამოყალიბებაზე, რომელიც ე.წ. ლეკიშვილის გუნდის წევრებით დაკომპლექტდებოდა.

ცოტა მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილს და ნიკო ლეკიშვილს შორის დაპირისპირება გაღრმავდა და ამ უკანასკნელმა უმრავლესობაში თავისი გავლენა გააფართოვა. ამიტომაც კულუარებში უკვე არც იმას გამორიცხავდნენ, რომ ნიკო ლეკიშვილს შეიძლება პარლამენტის თავმჯდომარის სკამზეც გასჩენოდა პრეტენზია და ამით პოლიტიკური მეტოქეები საბოლოოდ დაემარცხებინა. ბოლო ორი თვის განმავლობაში კი ლეკიშვილის წინააღმდეგ (როგორც თავად აცხადებს) პრესაში დიდი კამპანია გაჩაღდა, რასაც თავად იგი სწორედ თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას უკავშირებს.

გუშინ ბატონმა ნიკომ 1998 წელს სახელმწიფო მინისტრობიდან თავის გადადგომა გაიხსენა და ჟურნალისტების წინაშე პირველად აღიარა, რომ მაშინდელი გადადგომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ახლანდელის ანალოგიური იყო. ოღონდ ამჯერად „დონ ნიკო“ (როგორც მას ხშირად მოიხსენიებენ) ბრალდების გადამოწმებას ითხოვს, ხოლო საკუთარ პოლიტიკურ გეგმებზე დუმს.

ასევე კვლავ დუმს მისი მთავარი მოწინააღმდეგე ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ლეკიშვილის გადადგომასთან დაკავშირებით არავითარ კომენტარს არ აკეთებს. მან გუშინ გამართულ საპარლამენტო უმრავლესობის საბჭოს დახურული სხდომის შემდეგ (სადაც ლეკიშვილის განცხადებას განიხილავდნენ გადადგომის შესახებ) ჟურნალისტების კითხვას, რომელმა პოლიტიკურმა ფრთამ გაიმარჯვაო, სააკაშვილმა ირონიით უპასუხა, „მე პირადად ორივე ფრთა ადგილზე მაქვს და ასაფრენად ვემზადები“.

სააკაშვილის შეფარული ხუმრობა, კი, ალბათ, სხვა არაფერია, თუ არა იმ გავრცელებული ხმების კიდევ ერთხელ დადასტურება, რომ ფრაქციის ხელმძღვანელი უმრავლესობის ლიდერობას უმიზნებს. მით უმეტეს, რომ ეს პოსტი ნაწილობრივ უკვე ვაკანტურია.

რაც შეეხება ნიკო ლეკიშვილს, იგი არც თავისი პოლიტიკური მეტოქეების ვინაობას აკონკრეტებს და არც თავის მომავალ შესაძლო სტატუსს, სამაგიეროდ, აცხადებს, რომ იგი პოლიტიკიდან კი არ მიდის, პირიქით, მასში აქტიურ ჩართვას და შეტევას აპირებს. ოღონდ, შეტევის ობიექტი კვლავ ბუნდოვანი რჩება, თუმცა, ჟურნალისტებთან აცხადებს: „მე თუ კონკრეტულ პიროვნებებს შევუტევ, იმათი ამბავი დამთავრებული იქნება“.

**მიხეილ სააკაშვილი:**

**მე პირადად ორივე ფრთა ადგილზე მაქვს და ასაფრენად ვემზადები**

ასევე გაურკვეველი რჩება, შეუტევს თუ არა ნიკო ლეკიშვილი პარლამენტის თავმჯდომარის სკამს, შეეცდება თუ არა მის დაპყრობას. თავად ასეთ მცდელობას გამორიცხავს და ამას ბატონ ზურაბ ჟვანიასთან ადამიანური თუ ნათესაური ურთიერთობებით ხსნის.

გუშინ მან უმრავლესობის საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს აქამდე მართლაც უცნობი ინფორმაცია მოგვაწოდა — იგი ზურაბ ჟვანიას შვილის ნათლია ყოფილა, რაც (სხვა რომ არა იყოს რა) მას უფლებას არ აძლევს პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ გაილაშქროს.

თუმცა, როგორც ჩანს, ნათესაური ურთიერთობა ხელს არ უშლის თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაში უკვე აშკარად წამოიწყოს. როგორც კულუარებში გავრცელდა ხმა, გამორიცხული არ არის სექტემბრისთვის, ანუ საშემოდგომო სესიის დაწყებისთანავე, იგი ფრაქცია „მრეწველებთან“ ერთად ვიხილოთ. თავად ლეკიშვილი მოვლენების ამგვარ განვითარებას უარყოფს, ისევე, როგორც ცალკე ფრაქციის შექმნას.

რაც შეეხება მრეწველებს, გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გოგი თოფაძემ სამომავლოდ ნიკო ლეკიშვილთან დაახლოება არ გამორიცხა, ოღონდ, ჯერჯერობით, ამ საკითხზე რაიმე კონსულტაციების გამართვის ფაქტი უარყო.

უმრავლესობის ყოფილ ლიდერს უფრო შორს მიმავალი გეგმები აქვს. და, როგორც ჩანს, ჯერჯერობით სულაც არ სურს, თოფაძესა და კასტელს შორის დაწყებულ დავაში ჩაერთოს.

უმრავლესობის საბჭოს გუშინდელი სხდომა, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულდა და ფრთებშესხმული სააკაშვილისგან განსხვავებით, ლეკიშვილი ადამიანურად ამ სხდომით მაინც უკმაყოფილო დარჩა, რადგან პრაქტიკულად მას ლიდერის პოსტზე დარჩენის თხოვნით „კისერზე“ არავინ ჩამოჰკიდებია, თუმცა, ასეთმა თხოვნამ უმრავლესობის სხვა ლიდერების მხრიდან ცალუბად მაინც გაიჟღერა. ლეკიშვილი, რა თქმა უნდა, პოზიციას მაინც არ იცვლის და, როგორც თავადაც აცხადებს, ყველაფერი საბოლოოდ სექტემბერში გაირკვევა.

ჯერჯერობით კი ნიკო ლეკიშვილი თავის მოღვაწეობას რიგით დეპუტატად (უმრავლესობის ლიდერისთვის განკუთვნილი მანქანით და კაბინეტით უკვე აღარ სარგებლობს) და ასევე მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მოადგილედ განაგრძობს მოღვაწეობას. სხვათა შორის, იგი ამ პარტიული თანამდებობიდან გადადგომის საბაბს ვერ ხედავს, რაც, ერთი მხრივ, საკმაოდ არალოგიკური, ხოლო მეორეს მხრივ, საკმაოდ მრავლის მეტყველია... არალოგიკური იმიტომ, რომ ლეკიშვილი ამბობს: თუ მე კორუმპირებული ვარ, მაშინ უმრავლესობა ჩემნაირი ლიდერის ღირსი არ არის და ამიტომაც გადავდექი, სანამ სიმართლე არ გაირკვევაო. მაგრამ მაშინ ისმის კითხვა, რა დააშავა პარტიამ, რომლის თავმჯდომარის მოადგილედაც იგი რჩება?

სექტემბერი კი, როგორც ამბობენ, ტყუილად არ არის შერჩეული, რადგან სწორედ ამ თვეში უნდა გაიმართოს მოქალაქეთა კავშირის პარტიული ყრილობა, სადაც შესაძლებელია პრეზიდენტმა თავისი „მუქარა“ შეასრულოს და პარტიის თავმჯდომარეობიდან გადადგეს. მან პარტიის სათათბიროს სხდომაზე აკი თქვა კიდეც, იქნებ ჯობდეს თავმჯდომარე სხვა პიროვნება იყოსო. აი, სწორედ ეს სხვა პიროვნება შეიძლება ნიკო ლეკიშვილი აღმოჩნდეს. მაშინ კი პარლამენტში ზოგიერთ დაჯგუფებას კარგი დღე ნამდვილად არ დაადგება. თანაც ადგილობრივი არჩევნები ახლოვდება და ამ „ფრონტზე“ ყველას თავისი გუნდის შოძლიერება სურს.

ყველაფერი ეს მხოლოდ ვარაუდები და კულუარული ხმებია.

**ბექა ჭეღია.**

**გვეხმარება შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი**

შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის საქმიანობის პრეზენტაცია 17 ივლისს თბილისში გაიმართება. პრეზენტაციაში მონაწილეობას მიიღებს თავად ბანკის პრეზიდენტი ერსოი ვოლკანი, რომელიც წარმომადგენლობითს დელეგაციასთან ერთად საქართველოს სამდღიან ვიზიტად 16 ივლისს ეწვევა.

ვიზიტის ფარგლებში ერსოი ვოლკანი ხელს მოაწერს შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მიერ „საქართველოს ბანკისათვის“ მილიონ 500 ათასი დოლარის მოცულობის საკრედიტო ხაზის გახსნის შესახებ შეთანხმებას.

საქართველო შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკში მცირე — 2-პროცენტიანი წილის მფლობელ ქვეყნებს შორის (აზერბაიჯანი, სომხეთი, ალბანეთი) პირველი სახელმწიფოა, რომელსაც ასეთი ფინანსური შესაძლებლობა მიეცა.

ინფორმაცია მოგვაწოდა საქინფორმმა.

დღის თემა

## „... რომე კაცმა თავსა ივნოს“

### აწი მაინც ნუ დავწვავთ, ავაფეთქებთ და გადავკეტავთ ერთმანეთთან დამაკავშირებელ ხიდებს

(პირველი გვერდიდან)

„სოფლის ბოლოში, ღელეზე, ერთი პატარა ხიდია, ამ ხიდით ჩვენთან მოდიან, ამ ხიდით ჩვენგან მიდიან“ — ამ კარგი ლექსის ლოგიკურ მინაარსს აქ ძალა და მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა: მდინარე მაგანაზე გადებული ხიდი, რომელიც სამეგრელოსა და ზემო სვანეთის დამაკავშირებელი ერთადერთი საავტომობილო არტერია იყო, უკვე არ არსებობდა, ცხენისწყლის ხიდზე კი გონებადაბინდულ ქართველებს ლამის ის კედელი აღემართათ, არცთუ დიდი ხნის წინათ გერმანიას ორ ნაწილად რომ ჰყოფდა და ქართველი კაცის მოწადინებითაც დაინგრა...

საბედნიეროდ, ის დრო წარსულს ჩაბარდა, თანდათან იძლევა გაუცხოების, მკვეთრი დაპირისპირების კედელი, ეროვნული თანხმობისთვის საუცხოო პირობებს ქმნის საქართველოს პარლამენტის პოზიცია და დადგენილება. ყველაფერი ეს იმედს გვინერგავს, რომ ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისის სიძნელეები, დაპირისპირება, ერის ორად გაყოფა და სხვა მანკიერებანი მხოლოდ მეხსიერებაში დარჩება, ვითარცა თავისებური რელიქვია, ისევე როგორც წალენჯიხელთა გადაწყვეტილებით მდინარე მაგანაზე ახალი ხიდის გვერდით ხელუხლებლად დატოვებული აფეთქებულის ნაშთები, რაც, ერთი მხრივ, იმის მუდმივი შეხსენებაც იქნება, რომ მსგავსი რამ ჩვენს ისტორიაში არ უნდა განმეორდეს, და იმისიც, თუ როგორ საფუძველზე დაიწყო ახალი საქართველოს შენება.

მაგრამ უნდა კი ყველას, ცხადია, მტრულად განწყობილ შინაურ თუ გარეულ ძალებს ვგულისხმობ, ახალი საქართველოს ხილვა? ჭეშმარიტად დამოუკიდებელი, ამაყი და ყოველმხრივ წელგამართული საქართველოსი?

არ უნდათ და ყოველ ღონესაც ხმარობენ არეულობისთვის ნოყიერი ნიადაგის შესაქმნელად. ამიტომაც არის, რომ ამ ბოლო ხანს, სისტემატურად გაისმის მუქარანარევი გაფრთხილება შემოდგომისთვის მოსალოდნელი დესტაბილიზაციისა და არეულობის შესახებ, რომელიც თურმე სამეგრელოდან უნდა დაიწყოს.

არ მოხდება ეს!

ყოველ შემთხვევაში, არ უნდა მოხდეს, რადგან მეორე ძმათამკვლელ დაპირისპირებას, სამოქალაქო ომს, ნგრევასა და პარტახს მატერიალურადაც და მორალურადაც დაუძლურებული საქართველო უკვე ველარ გაუძლებს.

მით უფრო სამეგრელო, რომელმაც ყველაზე მეტად იწვნია ზემოაღნიშნულის მთელი სიმწარე.

გვინდა და გვჭირდება ეს ქართველებს?

ნუ დაიფიცებ სხვის დედას და სხვის ომში ნუ იომებო, უთქვამს ბრძენს.

იმ ახალი დაპირისპირებისა და ომის დაწყება, რომელსაც „ისინი“ საშემოდგომოდ „გვიგეგმავენ“, საქართველოსა და ქართველ ხალხს რომ არ სჭირდება, ფაქტია.

იგი იმათ, „სხვებს“ სჭირდებათ.

ამიტომაც არ უნდა ვიომოთ „სხვის“ ომში.

თუ მაინცა და მაინც, იმ სხვას ვეომოთ, ერთიანი ძალებით, საბოლოოდ ამოსაძირკვავად...

წარსულის ყველაზე დიდი გაკვეთილი ის არის, რომ მისი მწარე გამოცდილებიდან სათანადო დასკვნებს ვერ ვაკეთებთ, გაკვეთილად ვერ ვიყენებთო, ნათქვამია.

თითქოს ჩვენზე უთქვამთ.

მაგრამ ამჯერად მაინც გავტეხოთ ნავსი, გამოვიყენოთ წარსულის გაკვეთილი და ნუ გავახარებთ მტერს.

აწი მაინც ნუ დავწვავთ, ავაფეთქებთ და გადავკეტავთ ერთმანეთთან დამაკავშირებელ ხიდებს.

ყოველ შემთხვევაში, სამეგრელოში ახალი ჯანყის წამოწყების თუ დესტაბილიზაციის ტალღის აგორების სურვილი არავის არა აქვს.

ორიოდ დღის წინ დავბრუნდი იქიდან და ვიცი იქაურების აზრი.

იქაური ნორმალური ხალხისა, რა თქმა უნდა.

ასეთი კი, საბედნიეროდ, სამეგრელოს მოსახლეობის გადამწყვეტი უმეტესობაა.

ისინი ხელისუფლებისგან მხოლოდ ყველგან გამეფებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლასა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ და ელიან, რისთვისაც მისი თანადგომისთვის მზად არიან.

ამიტომაც ნურვინ ეცდება სამეგრელოს სახელის გამოყენებასაც კი საკუთარი ქვენა ზრახვებისთვის.

საქართველოს ხერხემალი — სამეგრელო არასოდეს გაიმეტებს სრულიად საქართველოს ხერხემალში გადასატეხად.

არც ვინმეს მისცემს ამის გაკეთების საშუალებას.

როგორც რაჟა სარჩიმელია იტყოდა, — ნამდვილად ასეა ეს, დათა ბატონო!

**რუსლან რუსია.**

ფაქტი

# საქართველოს კონტროლის პალატა ძველთან ერთად ახალ გვარებსაც ასახელებს

**და სათბობ-ენერგეტიკის სისტემის ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოვლენილი უხეში დარღვევების ფაქტებზე შესაბამისი ხელმძღვანელობის წინაშე სვამს მათი თანამდებობრივი მიზანშეწონილობის საკითხს...**

**მალხაზ ყიფშიძე** — სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე;

**დავით ზუბიტაშვილი** — სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი 1996-98 წლებში, ამჟამად ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის მოადგილე;

**ვაჟა მეტრეველი** — სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს" გენერალური დირექტორი 1996-97 წლებში, ამჟამად სააქციო საზოგადოება „ელექტროგადაცემის" მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარე;

**ემზარ ჩაჩხიანი** — სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს" გენერალური დირექტორი 1997-99 წლებში, ამჟამად სახელმწიფო სტრუქტურაში არ მუშაობს;

**გიორგი ბადურაშვილი** — სახელმწიფო კომპანია „საქენერგოგენერაციის" გენერალური დირექტორი 1996-99 წლებში, ამჟამად საჯარო სამართლის იურიდიული პირი, „ენერგოგენერაციის" სექტორის უფროსი;

**შოთა მაისურაძე** — სააქციო საზოგადოება „საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორი;

**ტარიელ ბიწაძე** — სააქციო საზოგადოება „თბილსრესის" გენერალური დირექტორი;

**ზურაბ მენაბდე** — „თბილსრესის" გენერალური დირექტორი 1997-98 წლებში, ამჟამად შპს „საქენერგო-2000"-ის აღმასრულებელი დირექტორი;

**ვახტანგ ტალახაძე** — სააქციო საზოგადოება „თბილსრესის" ტექნიკური დირექტორი;

**ნოდარ ბულბულაშვილი** — სააქციო საზოგადოება „თბილსრესის" მთავარი ბუღალტერი;

**დავით შარიქაძე** — სააქციო საზოგადოება „თბილსრესის" საწარმოო ტექნიკური განყოფილების უფროსი;

**ივერი შალამბერიძე** — სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე 1996-1998 წლებში, ამჟამად კავშირი (ასოციაცია) საქართველოს ელექტროენერგეტიკის საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი;

**ვლადიმერ პაპიაშვილი** — სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მთავარი ბუღალტერი 1996-1999 წლებში, ამჟამად კავშირი (ასოციაცია) საქართველოს ელექტროენერგეტიკის საბითუმო ბაზრის მთავარი ბუღალტერი;

**თეიმურაზ ყიფიანი** — „საქენერგოს" გენერალური დირექტორის მოადგილე 1996-97 წლებში, ამჟამად კავშირი (ასოციაცია) საქართველოს ელექტროენერგეტიკის საბითუმო ბაზრის ეკონომიკისა და განვითარების დირექციის დირექტორი.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრის ივანე ჩხარტიშვილის, სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის მიხეილ უკლებასა და საჯარო სამართლის იურიდიული პირი „ენერგოგენერაციის" თავმჯდომარის მამუკა ნიკოლაიშვილისადმი კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის წარდგინებაში ნათქვამია:

სათბობ-ენერგეტიკის სისტემაში არსებულ უამრავ ობიექტურ სიძნელეს კიდევ უფრო ამძიმებს ჩამოთვლილ ხელმძღვანელთა მხრიდან საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მართვისადმი გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რაც გამოიხატება სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ ეკონომიკურად დაუსაბუთებელი ხელშეკრულებების გაფორმებაში, მყიდველებსა და მომწოდებლებს შორის ურთიერთანგარიშსწორების მიზნით განხორციელებულ უკონტროლო ჩათვლებში, აღრიცხვიანობის მოშლაში, რითაც საქართველოს ენერგეტიკის და შესაბამისად, სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა ათეულ მილიონობით ლარი შეადგინა, რამაც დარგი ღრმა კრიზისამდე, თითქმის უპერსპექტივო მდგომარეობამდე მიიყვანა. სახელდობრ, „საქენერგო" დებიტორული დავალიანებების ამოღების მოტივით ხშირად მიმართავდა დისკონტის (ფასდაკლებით) აქტივების სხვადასხვა შუამავალ კერძო ფირმაზე გადაცემას, მაგრამ ამ ღონისძიებამ არათუ გააუმჯობესა კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, არამედ პირიქით, ამ მეთოდის ხელაღებით და უკონტროლო გამოყენებამ კიდევ უფრო გაზარდა დებიტორულ დავალიანებათა მქონე ორგანიზაციების რაოდენობა და საკუთრივ დავალიანებების მოცულობა.

**სათბობ-ენერგეტიკის სისტემაში არსებულ უამრავ ობიექტურ სიძნელეს კიდევ უფრო ამძიმებს ჩამოთვლილ ხელმძღვანელთა მხრიდან საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მართვისადმი გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება**

საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმმა მიზანშეწონილად მიიჩნია კონტროლის პალატის შესახებ საქართველოს კანონის 51-ე და 53-ე მუხლების თანახმად, შესაბამისი ხელმძღვანელების წინაშე დაისვას მ. ყიფშიძის, დ. ზუბიტაშვილის, ვ. მეტრეველის, გ. ბადურაშვილის, შ.მაისურაძის, ტ. ბიწაძის, ვ. ტალახაძის, ზ. მენაბდის, დ. შარიქაძის, ნ. ბულბულაშვილის, ი. შალამბერიძის, თ. ყიფიანის და ვ. პაპიაშვილის თანამდებობრივი მიზანშეწონილობის საკითხი.

კონტროლის პალატის ხელთ არსებული ინფორმაციით ე. ჩაჩხიანი და ი. თოლორაია ამჟამად სახელმწიფო სტრუქტურებში არ მუშაობენ. ამასთან, საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის შეფასებით, მომავალში აუცილებელია მიმდინარე რევიზია-შემოწმების შემდგომი სრულყოფა, ოპერატიულობისა და ხარისხიანობის ამაღლება, ახალი და ეფექტიანი მეთოდების დანერგვა, მიზანშეწონილად მიიჩნიეს საქართველოს პროკურატურის ორგანოებთან თანამშრომლობის გაღრმავება და განმტკიცება, სამართალდაცვის სისტემის მუშაკებთან წინასწარი სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სხვა.

დოკუმენტი

## საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილება

**სათბობ-ენერგეტიკის სისტემის ხელმძღვანელი მუშაკების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოვლენილი უხეში დარღვევის ფაქტებზე წარდგინების შესახებ**

საქართველოს კონტროლის პალატის პრეზიდიუმი **ადგენს:**

— მოწონებულ იქნეს საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის ს. მოლაშვილის მოხსენება „სათბობ-ენერგეტიკის სისტემის ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოვლენილი უხეში დარღვევის ფაქტებზე წარდგინების" შესახებ.

წარდგინება დაეგზავნოთ: სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს, ქონების მართვის სამინისტროს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირ „ენერგოგენერაციას".

**საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ს. მოლაშვილი.**

2000 წლის 14 ივლისი.

## საქართველოს პროკურატურა იწყებს კონტროლის პალატიდან გადაგზავნილი ყველა მასალის შესწავლას

ენერგეტიკის სფეროში არსებული სამართალდარღვევების ფაქტების საქართველოს კონტროლის პალატიდან გადმოგზავნილი მასალების საფუძველზე პროკურატურაში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებით შეწყვეტისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის კანონიერების შესწავლის მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, შეიქმნა კომისია 12 კაცის შემადგენლობით, გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის ანზორ ბალუაშვილის თავმჯდომარეობით.

კომისიას დაევალა, შეისწავლოს ენერგეტიკის სფეროში არსებულ სამართალდარღვევის ფაქტებზე კონტროლის პალატიდან 1995-2000 წლებში გადმოგზავნილი ყველა მასალა, მათ საფუძველზე აღძრული ყველა სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტისა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის კანონიერება. თითოეულ შესწავლილ მასალასა და სისხლის სამართლის საქმეზე შედგება წერილობითი ცნობა (დასკვნა). კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს კომისიის მუშაობაში კონტროლის პალატის, სხვა სამართალდამცავი ორგანოების და დაინტერესებული უწყებების, საექსპერტო დაწესებულებებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ექსპერტებისა და სპეციალისტების მონაწილეობა. მუშაობის შედეგები გენერალურ პროკურორს უნდა მოხსენდეს ამა წლის 24 ივლისამდე.

კომისიის წევრები მოღვაწეობის სფეროების მიხედვით:

ანზორ ბალუაშვილი (თავმჯდომარე), თამაზ კოღუა, ორდე ბებია, რამაზ ელენტი, ნუგზარ ქავთარაძე, ანზორ ხვადაგიანი, კახა კობერიძე, ვაჟა ჯანყარაშვილი, რამაზ ხმალაძე, ვაჟა გელაშვილი, ლევან ქუთათელაძე, გელა ბადრიაშვილი.

გამოძიება ბრალს სდებს

კაცმა რომ თქვას, კორუფცია, მისი ნაირ-ნაირი გამოვლინებით, ქართველებს პირდაპირ ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი. „ვეფხისტყაოსნიდან" ის გავიხსენოთ, ავთანდილი ვეზირს რომ ეაჯება, როსტევანთან მიმუამდგომლე ტარიელის დასახმარებლად გამიშვას და სამაგიეროდ ჩემგან „ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეიწირეო".

ეს კლასიკა. ახლა ფოლკლორი: პირდაპირ ქრესტომათიული „შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო"? რწყილისა და ჭიანჭველას ეპოპეიდან...

ისე რომ, „ხელის ჭუჭყის" სიყვარული ოდითგან მოგვდგამს. მაგრამ მაინც გაგიკვირდება. ზოგიერთი ბრალდების საქმეს რომ გაეცნობი.

## ყოვლად გასაოცარი და გარეშე კაცისთვის აუხსნელი

1999 წლის 18 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს" თანამშრომელთა მიმართ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე.

1997 წლის 3 დეკემბრიდან 1999 წლის 19 დეკემბრამდე „საქენერგოს" გენერალური დირექტორი ემზარ ჩაჩხიანი გახლდათ. მან ამ თანამდებობაზე ვაჟა მეტრეველი შეცვალა და ერთობ საჭოჭმანო მემკვიდრეობა მიიღო.

ახლავე მოგახსენებთ რაზეც ვლაპარაკობ.

ბატონ ვაჟა მეტრეველს 1997 წლის 24 ივნისს გაფორმებული ჰქონდა სამმხრივი ხელშეკრულება სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული ქართული ბანკის" გენერალურ დირექტორ ანტონ ინგოროყვასა და შპს „ჯი-ეფ-ტი-სის" გენერალურ დირექტორ მალხაზ ბაქანიძესთან. ამ ხელშეკრულების საფუძველზე „საქენერგომ" „გაერთიანებული ქართული ბანკის" წინაშე 1786,3 ათასი ლარის საკრედიტო ვალდებულებების დასაფარავად „ჯი-ეფ-ტი-სის", რომლის საწესდებო კაპიტალიც მხოლოდ... 1000 დოლარს შეადგენდა, (!!!), გადასცა თავისი დებიტორებისაგან 2874 ათას ლარზე საგადასახადო მოთხოვნის უფლება და საგარანტიო წერილი 670 ათასი ლარი სესხის მისაღებად.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ მალხაზ ბაქანიძე დღეს დაპატიმრებულია, ოღონდ არა მხოლოდ „საქენერგოსთან" დაკავშირებული საქმის გამო. ეს მისი უზარმაზარი სისხლის სამართლის საქმის მხოლოდ ერთი ეპიზოდია. მას გამოძიება ედავება, რომ თაღლითური გზით გაიტაცა განსაკუთრებით დიდი ოდენობის სხვისი ქონება, სულ 931500 ლარი. აქედან: თბილისის სახელმწიფო საავიაციო საწარმოო გაერთიანების 427 ათასი ლარი, კულტურის სამინისტროს — 314 ათასი და საქართველოს ტელეკომიდან ჩარიცხული — 190,5 ათასი ლარი. შარშან მ. ბაქანიძის საქმე განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს გადაეგზავნა, მან კი იგი ერთი წლის შემდეგ უკან დააბრუნა, ე. ჩაჩხიანის საქმესთან არის გასაერთიანებელიო. გენერალურ პროკურატურას ეს გადაწყვეტილება უსაფუძვლოდ მიაჩნია და უზენაეს სასამართლოში საჩივრის შეტანას აპირებს.

თუ მ. ბაქანიძის საოცრად დახლართულ და რთულ საქმეში მეტნაკლებად გავერკვიე (იქ სათანადო მომზადებისა და მეგზურის გარეშე ეშმაკიც კი ფეხს წაიტეხს), შევეცდები იგი შემდგომში მკითხველს წარვუდგინო.

მაგრამ ახლა კელავ „საქენერგოს" დავუბრუნდეთ.

ხელშეკრულების საფუძველზე, 1997 წელს, 25 ივნისს „საქენერგოდან" „ჯი-ეფ-ტი-სის" მეშვეობით რკინიგზის დეპარტამენტს გადაეცა 300 ათასი ლარის აქტივი, იმავე წლის 2 სექტემბერს შპს „კარლოს" — 800 ათასი ლარის აქტივი, ხოლო 13 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო საავიაციო გაერთიანებას — 500 ათასი ლარის აქტივი.

მერე ვაჟა მეტრეველი სხვა სამუშაოზე გადავიდა. მის ადგილზე კი ემზარ ჩაჩხიანი მივიდა.

1997 წლის 3 დეკემბრიდან სახელმწიფო კომპანია „საქენერგოს" გენერალური დირექტორად დანიშნულ ემზარ ჩაჩხიანისთვის ცნობილი გახდა, რომ შპს „ჯი-ეფ-ტი-სის" „საქენერგოს" წინაშე შესრულებული არ ჰქონდა 1997 წლის 24 ივნისს გაფორმებული სამთა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

ლოგიკის თანახმად, მას უნდა შეეწყვიტა ამ საეჭვო ფირმისთვის აქტივების გაცემა და ადრე გაცემულის უკან დაბრუნება მოეთხოვა.

მან ეს არ გააკეთა.

პირიქით.

გამომძიებელთა ენით რომ ვთქვათ, მან ბოროტად გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა და ამ სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, მაშინვე — 5 დეკემბრის წერილით 595 ათასი ლარის აქტივი ისევ „ჯი-ეფ-ტი-სის" მეშვეობით გადასცა შპს „ტრიუმფს".

მალხაზ ბაქანიძემ 1997 წლის 24 ივნისის ხელშეკრულებით მისაღები 2874 ათასი ლარის აქტივიდან მხოლოდ 2195 ათასი ლარის აქტივისა და „საქენერგოს" მიერ გაცემული საგარანტიო წერილით მიღებული 670 ათასი ლარის რეალიზება მოახდინა, მოკლედ, არ შეასრულა „საქენერგოს" მიმართ ნაკისრი ვალდებულებები, ასევე არ დაფარა „გაერთიანებული ქართული ბანკის" დავალიანება.

იმავე წლის 29 დეკემბერს „გაერთიანებული ქართული ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ანტონ ინგოროყვამ წერილით მიმართა ემზარ ჩაჩხიანს, დღეისათვის „ჯი-ეფ-ტი-სის" ბანკის წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებული არ აქვსო და „საქენერგოს" მოსთხოვა იმ შეუსრულებელ ვალდებულებათა გადახდა.

ლაპარაკი იყო, არც მეტი, არც ნაკლები, 2860,9 ათას ლარზე.

ემზარ ჩაჩხიანს, როგორც თანამდებობის პირს, იმ 1997 წლის 24 ივნისის ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლით უნდა ეხელმძღვანელა და დავის გადასაწყვეტად სასამართლოსთვის მიემართა.

მან ეს არ გააკეთა, არ შეასრულა მასზე, როგორც გენერალურ დირექტორზე დაკისრებული მოვალეობა. უფრო მეტიც, მან ბოროტად გამოიყენა თანამდებობა და სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ 1997 წლის, 31 დეკემბერს წერილობით დაეთანხმა „გაერთიანებულ ქართულ ბანკს", თანახმა ვარ, 1997 წლის 24 ივნისის ხელშეკრულება გავაუქმოთ, ახალი საკრედიტო ხელშეკრულება გავაფორმოთ და „ჯი-ეფ-ტი-სის" შეუსრულებელი ვალდებულებები „საქენერგოს" გადავაწეროთო.

ამის შემდეგ „გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა", როგორც იტყვიან, ალალად და უსაყვედუროდ, ანუ სრულიად კანონიერად, „საქენერგოს" მიმდინარე ანგარიშიდან ჩამოაწერა 2466,3 ათასი ლარი და მასზე დარიცხული სესხის პროცენტი — 502,2 ათასი ლარი.

ემზარ ჩაჩხიანმა ეს გენერალურ დირექტორად დანიშნიდან ზუსტად ერთ თვეში მოახერხა.

გამოძიება მიიჩნევს, რომ მან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით და სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო ქმედებით სახელმწიფოს სულ 3367200 ლარის ზარალი მიაყენა.

რა ედო საფუძვლად ამ ყოვლად გასაოცარ და გარეშე კაცისთვის აუხსნელ ქმედებას, ჯერჯერობით გაურკვეველია.

ჩადენილი დანაშაულისათვის ემზარ ჩაჩხიანი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაშია მიცემული. მას ჯერ კიდევ გენერალურ დირექტორად მუშაობის პერიოდში (1999 წლის 16 ივლისს) წარედგინა ბრალი. კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს ბრძანებით აღმკვეთ ღონისძიებად აერჩია გაუსვლელობის ხელწერილი. მალე, ალბათ სასამართლო დაიწყება.

ასე იყო ეს უცნაური საქმე...

**ალეკო ასლანიშვილი.**

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურამ გამოძიებით დაამთავრა სისხლის სამართლის საქმე „ზუგდიდის ენერგოკომპანიის" ყოფილი დირექტორის ბ. ბესქანიძის და მთავარი ბუღალტრის ნ. სულუხიას მიმართ, რომლებმაც სახელმწიფო ბიუჯეტს დაუმალეს 57 ათასი ლარი. მათ უკვე დაედოთ მსჯავრი.

ტრანსპორტის პროკურატურა იძიებს ავიაკომპანია „ჯორჯიან ექსპრესის" გენერალური დირექტორის ჯ. ხახუტაიშვილის საქმეს, რომელიც ბიუჯეტისათვის ჩარტერული რეისებიდან მიღებული 213.000 ლარის დამალვაში, იმხილება.

ამ დღეებში ამხილეს ნინოწმინდის რაიონის სოფელ ემტიას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მთავარი ბუღალტერი მერტიჩ მქოიანი, რომელმაც ბიუჯეტს 40 000-ზე მეტი ლარი დაუმალა.

თბილისის პროკურატურა იძიებს შპს „რატიმის" თანამშრომელთა საქმეს, მათ 1998-1999 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტს 28.600 ლარის გადასახადი დაუმალეს.

აფხაზეთის პროკურატურა იძიებს თ. ბერაიას დანაშაულს. მან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით აზერბაიჯანიდან შემოტანილი 7,7 ათასი ლიტრი ბენზინი ისე განაბაჯა, რომ „აფხაზეთის დემოკრატიის ფონდთან" არსებულ სამშენებლო სამმართველოს თანამშრომლებს დ. გაბისონიას, ბ. მაჭავარიანს და თ. ხვედელიძეს არ გადაახდევინა მავნე ნივთიერებებით დაბინძურების გადასახადი 232 ათასი ლარის ოდენობით. თ. ბერაიასთან ერთად დანაშაულის ჩადენაში იმხილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბაჟო სამმართველოს ყოფილი უფროსი დ. ხარაიშვილი.

შპს „კასპიცემენტის" გენერალურმა დირექტორმა რ. დურგლიშვილმა თავი აარიდა 10 ათასი დოლარზე მეტი საბაჟო გადასახადის გადახდას. დანაშაულის ჩადენაში, მას ხელი შეუწყვეს გორის საბაჟოს იმპორტ-ექსპორტის განყოფილების თანამშრომლებმა გ. ქეენიშეილმა და გ. ანიშეილმა, დგინდება დანაშაულის სხვა ეპიზოდებიც.

პოზიცია

# არ ვარგა ასეთი დუმილი

## წერილი ჩემს მეგობარ მთავრობის წევრს

კასს ინფორმაციის დეფიციტს რომ შეატყობდნენ, ქვეყერში ხომ არ ზიხარო, ეტყოდნენ. ახლა ასე არ არის, დღეს ქვევრშიც „რეკამს ეგ დალოცვილი" (გაიხსენე მობილური ტელეფონის ორიგინალური რეკლამა). შენ არაფერს მიყვები, მაგრამ მე ყველაფერს ვიგებ. ინფორმაცია რომ არ მიდიოდეს, ასეთ ადგილს დღეს ამ დუნიაზე ვერსად იპოვი, მაგრამ რად გინდა, ტყუილია თუ მართალი, ვერ გაიგებ. თანაც იმდენ რამეს გიყვებიან, იმდენად საეჭვოს და ურთიერთგამომრიცხავს, რომ თავბრუს გახვევენ. ერთი ერთს ამბობს, მეორე — მეორეს (აქ სიმღერასთან რომ გვქონდეს საქმე, რა გვიჭირდა). დილას გულს გაგიხეთქავენ, უზარმაზარი ფინანსური დარღვევა აღმოვაჩინეთ, რამაც სახელმწიფოს ამდენი და ამდენი მილიონი ლარის ზარალი მიაყენაო, საღამოს უდრტვინველად „დაგამშვიდებენ".

მაღალი ტრიბუნიდან ხშირად ისმის — კორუფციას ყველამ უნდა ვებრძოლოთო. ცხადია, ეს აუცილებელია, ამის გარეშე ხომ ვხედავთ, სადამდე დავეშვით. ამიტომაც, იმედს გვისახავს ყოველი ასეთი განცხადება, ვისგანაც უნდა მოდიოდეს ის, მაგრამ ეს იმედი მალე ნელდება, როცა მას საქმე არ მოყვება, მეისრეებს ვერევით, ხოლო „კრიმები" კი პატივით არიან გარემოსილი (სხვათა შორის, ნადირს სწევეია სუსტი მსხვერპლის ამორჩევა).

ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნებული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის შემუშავების შესახებ" და პრეზიდენტის განცხადება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე, ხომ იმის დასტურია, რომ სახელმწიფოში ნომერ პირველი პრობლემა სწორედ ეს არის.

მე სიხლმოწყურებული კაცი რომ არ ვარ, შენ კარგად იცი, დასჯა-განკითხვა მეც ისევე არ მიყვარს, როგორც ყველა ჰუმანისტსა და გულმოწყალეს, მაგრამ... თუ დამნაშავეს თავისას არ მიუზღავ, როგორღა გინდა უკეთურება აღკვეთო.

დაჩემებული გვაქვს კორუფცია, კორუფციაო... უცხო სიტყვებით კეკლუცობამ კარგა ხანია გაგვიტაცა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ლათინურ სიტყვაში (რაც ქართულად მოსყიდვას ნიშნავს) ვერ თავსდება დანაშაულის ყველა ის ფორმა, რაც ასე ძალუმად მოსდებია ჩვენს ყოფას. ხედავ ბოროტმოქმედთა ფანტაზია რა შორს წავიდა? ჩვენ კი „კორუფციით" ვიფარგლებით.

მე ვიცი, რაზეც ამ ბარათში ვწერ, უშუალოდ შენ და მარტო შენ სულაც არ გეხება. საერთოდ, არ მყავს მხედველობაში კონკრეტული პირი. მე შენში ვაიგივებ ხელისუფლებას და, თუ კაცი ხარ, ნუ გაგულისდები, გაუძელი, თვალი კარგად გაახილე, ყურებიდან ბამბა გამოიღე და შეეცადე ჩემი და სხვისი, რიგითი მოქალაქის პოზიციიდან შეხედო ყველაფერს.

აგერ, ვილაცა ხმამაღლა ასახელებს პიროვნებას, რომელმაც თურმე დიდი ოდენობის თანხა დააკლო ბიუჯეტს. ჩვეულებრივ, ამაზე ხალხში იტყვიან სახელმწიფოს ფული შეუჭამიაო. რაც გინდა, ის დაარქვი, მაგრამ ამაზე შენ ხომ უნდა შეიბერტყო ყური? ჩვენ იქნებ მართლა ვიჯერებთ ყველაფერს და გვგონია, ხელისუფლება ხელს აფარებს გამფლანგველსა და არამზადას და იმიტომ არ იღებს ხმას. ხელს ჰაძლევს ეს? ან იმ საბრალოს რას ერჩი, ვისაც ფულის შეჭმა ბრალდება, ხომ წარმოგიდგენია, რა დღეში იქნება — „დამიჭერენ, არ დამიჭერენ, დამიჭერენ, არ დამიჭერენ" მკითხაობაში ამოხდება სული.

კაცი უტიფრად რომ აცხადებს, არ ემალავ, მილიონერი რომ ვარო, გულგრილად როგორ უსმენ? შენ ხომ ძალიან კარგად იცი, ერთ და ორ წელიწადში პატიოსანი გზით, რაც უნდა სასწაულმოქმედი ბიზნესმენი იყოს, მილიონერი ვერ გახდება. რატომ არაფერს ეტყვი? გააჩუმე მაინც, ხალხს რომ არ აღიზიანებდეს.

ბოლოს და ბოლოს, ეს ქვეყანა მართლა ჩალით ხომ არ არის დახურული? შენ არც ისეთი მიუხვედრელი ხარ და არც იმდენად უდარდელი, რომ ასე ჩაიგუბო წყალი პირში. ამოიღე, მე კაცო, ხმა, თორემ ხომ ხედავ, მეც კი ამოვიღე ენა, როგორც იქნა, გველირსა ამწების ამუშავება. ბინათმშენებლობამ მოიცვა ქვეყანა. აგერ ერთი მოხელე მილიონად ღირებულ საცხოვრებელ სახლს იშენებს, ეგერ მეორე — ფეშენებელურ აგარაკს. ამდენი ციხე-დარბაზი და სრა-სახლი ფეოდალურ ხანას არ ახსოვს. ამას რა სჯობია! ეს როგორ უნდა გწყინდეს კაცს, როგორ უნდა გამფოთებდეს, მაგრამ ქვეყანაში სიმდიდრე-სიღარიბის ბალანსი კრიტიკულ ზღვარს რომ გადაცდება და ქონებრივი კონტრასტი ადამიანთა ფსიქიკას მოშლით დაემუქრება, ხომ უნდა ჰკითხო კაცს, საიდან და როგორო?

ჩვენ რომ ვეკითხებით, უსირცხვილოდ „გვემტკაცებენ", რომ ზოგს ბიძა უშენებს, ზოგსაც სიდედრი ან სიმამრი და ასე შემდეგ, ისე ახოცავენ ხელს ახლობლებსა და ნათესავებს, გეგონებათ ისინი აქაურები კი არა, უცხოპლანეტელები არიან და ამ ქვეყნის არაფერი მოეკითხებათ, არაფერი მოეთხოვებათ. რიგით მოკვდავთათვის კი სულერთია, სიძე ჩაუყოფს ხელს ჯიბეში თუ სიმამრი.



ვთქვათ და ყველაფერი დავიჯერეთ, ყველაფერს შევურიგდით, არც ის გამოვიძიეთ, საიდან დააგროვეს ამხელა კაპიტალი, არც ის ვიკითხეთ, რა სინდისით შლიან ასე ფართოდ ხელებს, როცა მათ სისხლსა და ხორცს შიმშილით სული ძრება. ამ ათასობით კვადრატული მეტრი ფართის მქონე სახლებში ვინ უნდა აცხოვრონ, ვისთვის ქარგავენ და აყარაყებენ ამ მრავალსართულიან აპარტამენტებს? იქნებ, არ იციან, სად წაიღონ ის ხელგაწვდილი ბავშვის წილი ფული.

ან ეს ჩინური კედლით შემოზღუდული აგარაკები რაღაა, ხუთი მეტრი სიმაღლისა და ორი მეტრი სისქის რკინა-ბეტონის ყრუ ღობეს რა დანიშნულება აქვს? ასეთი ნაგებობა მეზობლის თვალის დასავსებად ან უზნეო ძალლისაგან კრუხ-წიწილის დასაცავად არ შენდება. ყველაფერი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ვილაცის თავდასხმის შიში გასჩენიათ... ნეტავ, ვისგან ელოდებიან საშიშროებას?

მე ვიცი შენი ხასიათი, ამას არ გამიმხელ, მაგრამ რა გგონია, ხალხმა არ იცის? ასე რამ გაგაგიჟათ, თქვე კაი ხალხო, ასე რამ დაგაბრმავათ? რად გინდათ ასეთი სიცოცხლე, თქვე კაი დედმამისშვილნო, ვის შერჩენია ეს წუთისოფელი? „ისე კი ნუ იცხოვრებ, თითქოს ათი ათასი წლის ისტორია გიდევს წინ და ახლოა აღსასრული", — გვირჩევს მარკუს ავრელიუსი. გეცხოვრათ ნორმალურად! იმ უთავბოლო წაჯექ-უკუჯექობის დროს თუ რაიმე ქონება ჩაგივარდათ ხელში, გაგენაწილებინათ მეზობლებისთვის, დარწმუნებული ვარ, ბევრს გაწვდებოდა სულის მოსათქმელად, ფეხზე დასაყენებლად და თქვენც უსაზღვრო სიყვარულითა და სითბოთი იქნებოდით გარემოსილი. მარტოსულები იღუპებიან, ჩემო კარგო. იმ საშიშროებას, თქვენ რომ ელოდებით და მისგან დასაცავად უშველებელი კედლები ამოგყავთ, ხალხის სამართალი ჰქვია და მისგან ვერარა ღობე ვერ დაგიცავთ. ის მოუგერიებელი რისხვაა, რომელიც ზოგს ადრე დაატყდება თავს და ზოგს გვიან. აცდენით კი არავის არ აცდება, ეს იცოდეთ!

ახლა ხალხი იმაზე ნერვიულობს, ვილაცამ ხმა რომ დაარხია, ერთი ჩვენი ფასდაუდებელი განძი უცხოელს ორ გრომად გააქვსო. გაგვაგებინეთ, ხალხნო, მართალია თუ არა ეს. თუ სინამდვილეა, რას შერებით, თქვე ოჯახაშენებულნო, როგორ იმეტებთ ეროვნულ სიმდიდრეს? რას ეუბნებით ცხონებულ ექვთიმეს, ასე რომ დაჰკანკალებდა თითოეულ ბორჯღალს? თუ ეს სულაც არ შეეფერება სინამდვილეს, მოსთხოვეთ პასუხი მატყუარას, ამოგლიჯეთ ის ცრუპენტელა ენა, ნერჭებს რომ გვიშლის ყველას და ლამის სისხლი ჩაუქციოს ზოგიერთ ჩვენს „მეციხოვნეს" და მის უცხოელ პარტნიორს, საეჭვოდ ხმაშეწყობილნი ბრეხტის გმირივით რომ ღიღინებენ, — რასაც ვაკეთებთ, ყველაფერს ლაზათიანად ვაკეთებთო.

მე მთელი ჩემი ცხოვრება განათლების სისტემას ვემსახურები და, წარმოიდგინე, რა ხასიათზე დამაყენებდა ცნობა ამ დარგისათვის განკუთვნილი საბიუჯეტო თანხის მორიგი სეკვესტრის შესახებ. კარგად მოგეხსენებათ, როგორ ფინანსდება ჩვენი განათლება, მეცნიერება, კულტურა და თუ იმასაც შეამცირებ, ე.ი. საბოლოოდ უკეტავ ერს ინტელექტუალური განვითარების ყველა გზას და ასპარეზად მომსახურების სფეროს უტოვებ.

თუ გიფიქრია ამაზე?

გაჭირვებამ და მწუხარებამ იცის ეჭვის მოძალება, ამიტომ ყველაფერი ნათელი და გამჭვირვალე უნდა იყოს. ყოველ კითხვას პასუხი უნდა გაეცეს, თორემ აირია ქვეყანა, დაიბნა ხალხი. კაცმა არ იცის, ვინაა მართალი და ვინ — მტყუანი, ვინ — მოყვარე და ვინ — მტერი. ეს უკუღმართი ინფორმაცია კი მოდის და მოდის. გინდა დაიჯერე, გინდა არა. ყველა სიგლახეს დემოკრატიას რატომ ვაბრალებთ? ჩვენ კარგად ვიცით, დემოკრატია განუკითხაობა არ არის, არც ქაოსია დემოკრატია. „დემოსიც" ვიცით რას ნიშნავს და „კრატიაც". უინსტონ ჩერჩილი ამბობდა — „დემოკრატია საზიზღარი რამაა, მაგრამ კაცობრიობას მასზე კარგი ჯერ არაფერი მოუგონიაო".

... არ ვარგა ასეთი დუმილი. ავის მომასწავებელია ის. ხომ ხედავთ, როგორ იღრუბლება ჩვენი ცა, როგორი ყორნისფერი დასდებია ქვეყანას. „ცოდვას უყვარს სიბნელე და დუმილიო", ამბობს გაბრიელ ეპისკოპოსი. ამ ბრძენი კაცისა მაინც შევისმინოთ. პირდაპირ შევხედოთ ერთმანეთს თვალებში, გაეფანტოთ ბურუსი, ნათელი მოვფინოთ ქვეყანას. სიმართლეზე ადვილი სათქმელი არაფერია. ყველას მივუჩინოთ თავისი საქმე (ყველაფერს ერთ კაცს ხომ არ მოვთხოვთ?!), დარწმუნდეს ქვეყანა, რომ პატიოსანი შრომითაც შეიძლება ლუკმა-პურის მოპოვება. ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ, რომ საკუთარი ქვეყნის ყვლეფით სამშობლოს ვღალატობთ, ჩვენს შვილებს, ხალხს, ენასა და სარწმუნოებას ვუთხრით ძირს — ერჩებით გალოკილი თითივით შიშველნი და... ოხრად გვრჩება სხვისი ნაალაფარით ნაგები სრა-სახლები, თავისი ღობე-გალავნებით.

**ლევან ჩიქვანაია.**

# საქართველოს ორგანული კანონი

## „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1995, №31-33 მუხ. 671) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 23-ე მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვების: „და ზემოაღნიშნულ პირობას ვერ აკმაყოფილებენ", შემდეგ ჩაემატოს: „გარდა დამოუკიდებლად მონაწილე იმ პარტიებისა, რომლებსაც ამ პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად მოპოვებული აქვთ კომისიის წევრის დანიშვნის უფლება ან შედიან საარჩევნო ბლოკში, რომლის ერთ პარტიას მაინც მოპოვებული აქვს კომისიის წევრის დანიშვნის უფლება,".

2. 25-ე მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვების: „და ზემოაღნიშნულ პირობას ვერ აკმაყოფილებენ", შემდეგ ჩაემატოს: „გარდა დამოუკიდებლად მონაწილე იმ პარტიებისა, რომლებსაც ამ პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად მოპოვებული აქვთ კომისიის წევრის დანიშვნის უფლება ან შედიან საარჩევნო ბლოკში, რომლის ერთ პარტიას მაინც მოპოვებული აქვს კომისიის წევრის დანიშვნის უფლება,".

3. 57-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 57. ხელახალი არჩევნები ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში და პარლამენტის წევრის ადგილმონაცვლეობის წესი;"

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის 53-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად არჩევნების ჩაუტარებლად გამოცხადების შემთხვევაში, 53-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად პარლამენტის წევრის აურჩევლობის შემთხვევაში, აგრეთვე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში იმართება ხელახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს ოთხი თვისა და იგი ეწყობა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით. არჩევნების თარიღს, საარჩევნო ღონისძიებათა ჩატარების წესსა და ვადებს განკარგულებით ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.";

გ) მე-2 პუნქტში სიტყვები „გამოკლებული პარლამენტის წევრის ნაცვლად" შეიცვალოს სიტყვით „ხელახალი".

4. 66-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. 2000 წელს ჩასატარებელ არჩევნებზე გავრცელდეს „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 26-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი წესი".

5. 72-ე მუხლის ტექსტი ჩაითვალოს პირველ პუნქტად და მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 პუნქტი:

„2. შეუწყდეს უფლებამოსილება საარჩევნო ბლოკის მიერ დანიშნულ კომისიის წევრს, თუ ამ კანონის შესაბამისად კომისიის წევრის დანიშვნის უფლება ბლოკში შემავალ ორ პარტიას მაინც აქვს; სხვა შემთხვევაში ბლოკის მიერ დანიშნული წევრი ჩაითვალოს ბლოკის წევრთა ჩამონათვალში პირველად დასახელებული პარტიის მიერ დანიშნულ წევრად".

II. კომისიის წევრის დანიშვნის უფლების მქონე პარტიამ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი უნდა დანიშნოს ამ კანონის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 30-ე დღისა.

III. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 2000 წლის 28 ივნისი.**

დოკუმენტი

# საქართველოს კანონი

## საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №13-14, 8.04.1998) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 48-ე მუხლის მე-3 ნაწილში სიტყვები „214-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით" შეიცვალოს სიტყვები „214-ე მუხლის მე-2-მე-6 ნაწილებით".

2. 62-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები „223-225-ე, 220-228-ე" შეიცვალოს სიტყვებით „220-226-ე".

3. 242-ე მუხლის:

ა) მე-4 ნაწილს ბოლოში დაემატოს შემდეგი წინადადება: „მიღებულ საჩივარს სასამართლო განიხილავს 15 დღის ვადაში";

ბ) მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნული მოსამართლის დადგენილება შეიძლება 10 დღის ვადაში გასაჩივრდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში, რომელიც საჩივარს განიხილავს 15 დღის ვადაში, ამ კოდექსის 243-ე მუხლით დადგენილი წესით".

4. 558-ე მუხლში სიტყვები „სასამართლო გადაწყვეტილებით ან მისი შუამდგომლობით" შეიცვალოს სიტყვებით „მისი შუამდგომლობით და სასამართლოს გადაწყვეტილებით".

5. 612-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 612. თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისათვის მკაცრი რეჟიმის პირობების შეცვლა

1. სასამართლოს მსჯავრდებული ნაკლებად მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაჰყავს ამ დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, რომელიც შეთანხმებულია დაწესებულების კომისიასთან, ანდა მსჯავრდებულის ან მისი დამცველის შუამდგომლობით.

2. თუ სასამართლო უარს იტყვის მსჯავრდებულის ნაკლებად მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანაზე, ამავე საკითხზე წარდგინების ან შუამდგომლობის ხელახალი განხილვა შეიძლება მხოლოდ 6 თვის შემდეგ.

3. სასამართლოს მსჯავრდებული შედარებით მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაჰყავს ამ დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, რომელიც შეთანხმებულია დაწესებულების კომისიასთან.

4. მსჯავრდებულის გადაყვანა საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესაძლებელია 3 წლამდე ვადით, ხოლო მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან საპყრობილეში – 1 წლამდე ვადით.

5. სასამართლოს შეუძლია ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული ვადები გააგრძელოს 1 წლამდე ვადით, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, რომელიც შეთანხმებულია ამ დაწესებულების კომისიასთან. დაწესებულების დირექტორს შეუძლია შესაბამისი წარდგინებით მიმართოს სასამართლოს იმ შემთხვევაშიც, როცა მსჯავრდებულის მიმართ ადრე გაგრძელებული იყო რეჟიმის შეცვლის ვადა".

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 2000 წლის 28 ივნისი.**

# საქართველოს კანონი

## „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

I. „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.98) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებები და ცვლილებები:

1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-8 მუხლის მე-8 პუნქტი არ ვრცელდება სასაქონლო ნიშნით გაფორმებულ მოხმარების იმ საგნებსა და ვაჭრობის ხელმშეწყობ მოწყობილობებზე, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება შესაბამისი ნორმატიული აქტით".

2. კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში სიტყვებს: „რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე" დაემატოს სიტყვები „აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა", ხოლო მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზომით (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით (გარდა ტელეპროდუქციისა) არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას".

3. კანონის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. სპონსორობა.

ამ კანონის მიხედვით, სპონსორობა არის ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ სხვა ფიზიკური და იურიდიული პირის საქმიანობაში წვლილის შეტანა (ფულადი სახსრების, ქონების, ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგების, მომსახურების გაწევის და გაწეული მომსახურების, სამუშაოს შესრულების სახით) სპონსორის მიერ წარმოებული საქონლის რეკლამის გავრცელების პირობით. სპონსორული შენატანი განიხილება რეკლამის ღირებულებად, ხოლო სპონსორი და დასპონსორებული, შესაბამისად, რეკლამის დამკვეთად და რეკლამის გამავრცელებლად. სპონსორს უფლება არა აქვს ჩაერიოს რეკლამის მწარმოებლისა და გამავრცელებლის საქმიანობაში. სპონსორობის უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომელთა ნაწარმის ან საქმიანობის გავრცელებაც აკრძალულია ამ კანონით".

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.**

**თბილისი, 2000 წლის 30 ივნისი.**

მემუარები

ერთ-ერთი მოგონება, რომელიც ამ სხდომას უკავშირდება, სწორედ ვოზნესენსკის ეხება. სწორი არ იქნებოდა, მეთქვა, ეს კაცი, რომელიც პირველად ვნახე, მომეწონა, რომ იტყვიან, გული შემივარდა-მეთქი. იყო სხვა რამ: დამახსომდა არა იმიტომ, რომ მომეწონა, არამედ იმიტომ, რომ რაღაცით გამაკვირვა, ეტყობა, იმით, რომ ასე მოურიდებლად და თამამად ლაპარაკობდა, ასე გაბედულად განმარტავდა, სტალინის კითხვების პასუხად, სხვადასხვა ცვლილებებს, ამა თუ იმ მიზეზის გამო რომ შეიტანეს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის პრემიების კომიტეტის პირვანდელ გადაწყვეტილებებში, ასე მტკიცედ და მკვეთრად რომ იცავდა თავის თვალსაზრისს. ერთი სიტყვით, იმაში, თუ როგორ იქცეოდა იგი, იყო ერთგვარი დისონანსი იმის ტონალობასთან შედარებით, რასაც სხვები ამბობდნენ, – და სწორედ ეს დამახსომდა.

რაც შეეხება ლიტერატურას და ხელოვნებას, დამახსომდა ისტორია, გარეგნულად სავსებით იუმორისტული, მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანაზიარად, ორივე მხრივ ერთგვარი ცინიკურობით შემოსილი. განიხილავდნენ ფილმს „ადმირალი ნახიმოვი". როდესაც ჟდანოვმა, როგორც კომისიის თავმჯდომარემ, სხდომას მოახსენა ამ ფილმისათვის პირველი პრემიის მიკუთვნების შესახებ და ჩამოთვალა ყველა, ვისთვისაც უნდა მიეცათ პრემია ფილმის გამო, სტალინმა ჰკითხა, ყველაფერი თქვით ამ ფილმთან დაკავშირებითო? მე მგონი, როცა ეკითხებოდა, წინასწარ იცოდა, რომ არა, ყველაფერი არ ეთქვა, და გულში მოვემზადე მომავალი სეირისათვის.

– არა. ყველაფერი არა, – თქვა ჟდანოვმა.

– რა არა?

– აი, არის წერილი, ამხანაგო სტალინ.

– ვისგან?

– ჟდანოვმა დაასახელა ერთი ძალიან ცნობილი და ძალიან კარგი მსახიობის გვარი.

– რას გწერთ?

იგი გვწერს, – თქვა ჟდანოვმა, – რომ პოლიტიკურად მთლად სწორი არ იქნება, თუ მას არ შეიყვანენ ამ ფილმის მონაწილე პრემიით დაჯილდოებულ მსახიობთა რიცხვში, ვინაიდან იგი ასრულებს თურქი ფაშას, ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგის როლს, და თუ მას პრემიას არ მივცემთ, ეს შეიძლება გამოიყურებოდეს როგორც ფილმში ჩვენი მოწინააღმდეგის როლის არასწორი შეფასება, ძალთა თანაფარდობის დამახინჯება.

ვერ ვიტყვი, რომ ზუსტად ასე ილაპარაკა, მაგრამ დაახლოებით ასე გადმოსცა წერილის არსი ჟდანოვმა.

სტალინს ცალყბად გაეცინა, მერე კი ღიმილით იკითხა:

– პრემიის მიღება უნდა, ამხანაგო ჟდანოვ?

– უნდა, ამხანაგო სტალინ.

– ძალიან უნდა?

– ძალიან უნდა.

– ძალიან გთხოვათ?

– ძალიან გვთხოვს.

– რაკი ასე უნდა, რაკი ასე გვთხოვს, უნდა მივცეთ კაცს პრემია, – თქვა სტალინმა, რომელსაც სახეზე ღიმილი ჯერ არ მოსცილებოდა. მერე უეცრად დასერიოზულდა და დასძინა: – აი იმ მსახიობს, კოშკა მატროსს რომ თამაშობს, არ უთხოვია პრემია?

– არ უთხოვია, ამხანაგო სტალინ.

– მაგრამ ისიც ხომ ასევე კარგად თამაშობს, ოღონდ ჯილდოს არ ითხოვს. არ ითხოვს კაცი, ჩვენ კი მაინც დავაჯილდოოთ. თქვენ როგორ გგონიათ?

ამ სათხოვრის შინაარსის გარდა, რომელიც ჟდანოვმა მიამბო, შემდგომი ამბები სიტყვა სიტყვით მახსოვს და მზად ვარ, თავი დავდო ნათქვამის სიზუსტისათვის. ოღონდ, მისი კომენტირების არავითარი სურვილი არა მაქვს. რაკი ვოზნესენსკი ვახსენე, ხოლო ის ორ წელიწად-ნახევრის შემდეგ დაიღუპა – სულ არაფრის გამო, ეგრეთ წოდებულ ლენინგრადის საქმესთან დაკავშირებით, მოვიყვან აქ ვოზნესენსკისთან დაკავშირებულ ერთ მოგონებას, ოღონდ, არა ჩემსას.

იმ სხდომიდან ოცდაათი წლის შემდეგ, რომელზეც ვოზნესენსკის ქცევამ ჩემი ყურადღება მიიპყრო, ერთ-ერთმა მაშინდელმა მინისტრმა – ივანე კოვალიოვმა, რომელთან ერთადაც აღმოვჩნდი ერთ დიდ საავადმყოფოში, გაიხსენა, როგორ ახლდა სტალინს რკინიგზის მინისტრად ყოფნისას ერთ-ერთ პირველ ომისშემდგომ მოგზაურობაში, რომელიც დროის მიხედვით დაახლოებით იმავე წლებს ემთხვევა, მე რომ ვიხსენებ, და როგორ გაიგონა სტალინისაგან საქებარი სიტყვები ვოზნესენსკიზე:

– აი, ვოზნესენსკი, რით გამოირჩევა და რით სჯობია იგი სხვა გამგეებს, – როგორც კოვალიოვმა ამიხსნა, სტალინი ზოგჯერ ასე ირონიულად, „გამგეებად" იხსენიებდა პოლიტბიუროს წევრებს, რომლებიც მათდამი საქვეუწყებო რამდენიმე სამინისტროს საქმიანობას კურირებდნენ. – სხვა გამგეები, როდესაც რაიმე უთანხმოება წამოეჭრებათ ხოლმე, ჯერ ცდილობენ, ერთმანეთში მოაგვარონ ეს უთანხმოებანი, და მხოლოდ ამის შემდეგ, უკვე შეთანხმებული სახით, გამაცნონ. მაშინაც კი, თუ ერთმანეთში ვერ მორიგდებიან, სულ ერთია, ქაღალდზე ათანხმებენ, და ჩემთან შეთანხმებული ვარიანტი მოაქვთ. ხოლო ვოზნესენსკი, თუ არ არის თანახმა, არ თანხმდება მის ქაღალდზე შეთანხმებას. შემოდის ჩემთან საწინააღმდეგო აზრი, თავისი უთანხმოებებით. მათ ესმით, რომ მე ვერ მეცოდინება ყველაფერი, ამიტომ სურთ, ფაქსიმილედ გამომიყენონ. მე არ შემიძლია, ყველაფერი ვიცოდე. მე ყურადღებას ვაქცევ უთანხმოებებს, საწინააღმდეგო მოსაზრებებს, ვცდილობ, გავერკვიო, რატომ წარმოიშვა ისინი, რამია საქმე. ესენი კი დამიმალავენ. მისცემენ ხმას და დამალავენ, რათა მე ფაქსიმილე დავუსვა. სურთ, ფაქსიმილედ გამიხადონ. აი, რატომ მირჩევნია მათს შეთანხმებულ აზრებს ვოზნესენსკის საწინააღმდეგო არგუმენტები.

აი, კოვალიოვის მოგონებით, ასე ლაპარაკობდა მაშინ, ერთი თუ ორი წლით ადრე, სანამ გაანადგურებდა, სტალინი ვოზნესენსკიზე და ამ კაცის მუშაობის სტილზე, რომელიც სტალინს მაშინ მოსწონდა.

ამას რომ ვისმენდი ოცდაათი წლის შემდეგ, ტანში გამცრა.

ახლა კი იმ მეხვედრის შესახებ, რომელიც ჩავიწერე ორმოცდარვა წლის პირველ აპრილს, ამ შეხვედრიდან მეორე დღეს. აი, ეს ჩანაწერი ჩემი ზოგიერთი მაშინდელი კომენტარით, ხოლო იმ დამატებას, რომელიც ახლა საჭიროდ მიმაჩნია, გავაკეთებ მას შემდეგ, რაც სიტყვა სიტყვით მოვიყვან მთელ მაშინდელ ჩანაწერს მთელი მაშინდელი კომენტარითურთ.

აი ისიც, ეს ჩანაწერი:

„მინდა, ცხელ კვალზე ჩავიწერო ძირითადი, რაც ითქვა ლიტერატურის საკითხებზე სტალინური პრემიების გუშინდელ, 1948 წლის 31 მარტის განხილვასთან დაკავშირებით.

ამჯერად სტალინთან გამოგვიძახეს მწერლებს – ფადეევსა და სქელტანიანი ჟურნალების რედაქტორებს: პანფიოროვს, ვიშნევსკის, მე და გრუზინს. პრემიაზე წარდგენილ ნაწარმოებთა განხილვისას სტალინმა სიტყვა ჩამოაგდო იმაზე, რომ პრემიების რაოდენობა ფორმალური ელემენტია, და თუ გაჩნდა უფრო მეტი პრემიის ღირსი ნაწარმოები, ვიდრე პრემიებია დაწესებული, მაშინ შეიძლება პრემიების რიცხვიც გაიზარდოს. ეს პრაქტიკულად მაშინვე გაკეთდა, კერძოდ, აქამდე არარსებული მესამე ხარისხის პრემიების დაწესების გზით.

თავისი აზრი იმის შესახებ, რომ ფორმალური მოსაზრებებზ არ უნდა იყოს გადამწყვეტი, სტალინმა რამდენჯერმე გაიმეორა შემდეგაც, სხდომის დროს, და საერთოდ იმაში, თუ როგორ უძღვებოდა სტალინი განხილვას, სრულიად ნათლად გამოიკვეთა ტენდენცია – გაგვეფართოებინა განსახილველი ნაწარმოებების წრეც და განსახილველი ავტორების წრეც, და თუ აღმოჩნდებოდა, საკმარისი რაოდენობის საყურადღებო ნაწარმოებები, მაშინ უფრო ფართოდ დავაჯილდოოთ ისინი პრემიით. ვფიქრობ, ალბათ, სწორედ ამ წრის გაფართოებასთან დაკავშირებით იყო, რომ ასეთ სხდომაზე პირველად გამოუძახეს ყველა სქელტანიანი ჟურნალის რედაქტორს.

მთელ რიგ ნაწარმოებთა განხილვისას სტალინი გამოთქვამდა მოსაზრებებს, რომლებსაც ჩვენთვის ზოგადსალიტერატურო მნიშვნელობა ჰქონდა. როდესაც განიხილავდნენ ერენბურგის „ქარიშხალს", ერთ-ერთმა დამსწრე (ცენტრალური კომიტეტის ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის კომისიის სახელით მომხსენებელმა დ. შეპილოვმა. – კ. ს.) ახსნა, თუ რატომ წამოაყენა კომისიამ წინადადება, შეეცვალათ კომიტეტის გადაწყვეტილება, და რომანისათვის მიეცათ არა პირველი, არამედ მეორე ხარისხის პრემია; ხაზი გაუსვა „ქარიშხლის" ნაკლოვანებებს და წიგნის მთავარ ნაკლად მიაჩნია ის, რომ ფრანგები მასში რუსებზე უკეთ არიან გამოსახული.

სტალინმა გაიკვირვა:

– ასეა განა? განა ფრანგები რომანში უკეთ არიან გამოსახული? მართალია ეს?

აქ შეჩერდა და დაელოდა, სანამ თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ სხდომის სხვა მონაწილენი.

## კონსტანტინე სიმონოვი

# ჩემი თაობის კაცის თვალით

თარგმნა **არჩილ მანჯგალაძემ.**

(გაგრძელება იქნება).

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 181-187**

პრესა

# „ომეგას" დიუსელდორფშიც აღტაცებით შეხვდნენ

ჩვენს სინამდვილეში „ომეგა", ალბათ, ერთადერთი ჟურნალია, რომელიც დროულად მიეწოდება მკითხველს. მთელი რიგი ჟურნალების მარტ-აპრილის ნომრები ჯერაც არ არის გამოსული, რაც ფრიად დასანანია. „ომეგა" კი შესაძლებლობას გვიქმნის მეშვიდე ნომერი ივლისშივე წავიკითხოთ. სწორედ ამ ნომრიდან შევიტყვეთ აღიარების შესახებ, რომელიც დიუსელდორფში, მსოფლიოს წამყვანი პოლიგრაფიული ფირმების უკანასკნელ მიღწევათა დათვალიერებაზე რომ მოუპოვებია „ომეგას". „აღიარების სათავეებთან" – ასე ჰქვია თათა ბერეჟიანის წერილს, რომელიც უცხოელ სპეციალისტთა შორის, ქართული ჟურნალით გამოწვეულ აღტაცებაზე გვიამბობს: „ნუთუ ყველაფერი ეს თქვენს სტამბაში არის დაბეჭდილი?.. მერე, ამ ჟურნალის დამბეჭდავნი მაინც ითხოვთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად თანამშრომლებს მოევლენთ თქვენთანო?" – გაჰკვირვებიათ გერმანელ პარტნიორებს. მესანიშნავი მასალებია თავმოყრილი წინამდებარე ნომერში, რომელთა გაცნობა ვრცელ ინფორმაციასაც გაწვდის და სააზროვნოდ და სულის ზრდისთვისაც მდიდარ საბადოს გვთავაზობს.

„საბჭოთა რომეო და ინგლისელი ჯულიეტა" (მოამზადა ლევან ინაშვილმა) საბჭოთა დაზვერვის გამოცდილი აგენტის გიორგი აგაბეკოვისა და ინგლისელი ქალიშვილის იზაბელ სტრიტერის მგზნებარე სიყვარულზე მოგვითხრობს.

უაღრესად საყურადღებოა ქეთევან ამირეჯიბის საუბარი ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან მარინე ჩიტაშვილთან, რომელიც დღევანდელ საჭირბოროტო საკითხებზე შეუფარავად, ადამიანური ტკივილითა და პროფესიული ანალიზით მსჯელობს.

რუბრიკაში „უკეთეს დღეთათვის" დაბეჭდილი გივი ალხაზიშვილის წერილი „ხან მიწისა ვარ"... აკაკი წერეთლის ღვაწლს წარმოაჩენს ჩვენში მარგანეცის მოპოვების საქმეში.

მოთა მამულაძე გონიო-აფსაროსის მრავალმხრივ საინტერესო არქეოლოგიურ მასალას წარმოგვიდგენს თავის წერილში „გათხრები გონიო-აფსაროსში".

იშვიათი მიგნებებითა და მახვილი ირონიით გამოირჩევა ჩვენი გამოჩენილი პოეტის ტარიელ ჭანტურიას დაკვირვებანი საერთო სათაურით „დინოზავრიდან დიზაინამდე", რომელიც წლების განმავლობაში ახალ-ახალი მონაპოვრებით ივსება. ამჯერად, „ომეგაში" ვაჭაშნიკებთ ბატონი ტარიელის ფიქრსა და განსჯას, სიფხიზლითა და იუმორით აღსავსე ნააზრევს.

„არქიტექტურა ხელოვნებაა. ეს კი გამორჩეული უნარია, გამოხატო ემოციები და სხვა ადამიანებშიც გააღვიძო. ეს ნიშნავს, შეინარჩუნო ბავშვობა და თამაშის აზარტი, გაოცებისა და აღტაცების უნარი", – ეს სიტყვები არქიტექტორ მოთა ბოსტანაშვილს ეკუთვნის, რომელსაც იგი ჟურნალისტ ნანა ჯოხარიძესთან საუბარში ამბობს.

შთამბეჭდავია გია მურღულიას „ეცადე შენს თავს აჯობო", რომელიც მან უილიამ ფოლკნერის წიგნის „გულის ჭიდილი საკუთარ თავთან" (თარგმანი პაატა და როსტომ ჩხეიძეებისა) განხილვაზე წარმოთქვა.

რეალურად არსებულ ზღაპარზე, დანიელ სვაროვსკის ბროლის სამყაროზე გვიამბობს ნინო მაჭავარიანი. 1995 წელს ფირმა „სვაროვსკიმ" თავისი 100 წლის იუბილე მუზეუმის შექმნით აღნიშნა, აქ თავმოყრილი უნიკალური კოლექციის სანახავად ავსტრიაში ყოველწლიურად 600 000 ტურისტი ჩადის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

„კეთილი საქმის კეთება არასოდეს ყოფილა იოლი"... ნინო სიხარულიძის წერილი ეძღვნება გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში გამართულ გამოფენას „გიყვარდეს მოყვასი შენი", რომლებმაც მართლაც საშური ექსპოზიცია შესთავაზეს ჩვენს საზოგადოებრიობას.

„ომეგას" წინა ნომრებში დაბეჭდილ მასალებზე თავიანთ გამოხმაურებებს გვთავაზობენ ინგა მილორავა, ნუგზარ მატაიძე და ნუგზარ მუზაშვილი. პირველი მათგანი თომას მანის ნოველის „უთავბოლობანა და ნაადრევი გულისთქმა" დავით წერედიანისეულ სრულქმნილ თარგმანს ეხება, მეორე – ზურაბ ლეჟავას მოთხრობას „არსება, რომელიც შენ გიყვარს" ნუგზარ მუზაშვილი კი კახა კაციტაძის „ორიენტაციების" თემას ეხმიანება და თავისებურად აგრძელებს კიდეც მას.



ბევრ საინტერესო ამბავსა და ისტორიას შეიცავს რუბრიკები „მოზაიკა" და „ნაკვესები". ჟურნალი ტრადიციულად უხვად არის ილუსტრირებული და გაუნელებელი ცნობისწადილით იკითხება, დასაფიქრებელ თემებს წამოჭრის შემდგომი განსჯისა და საუბრისათვის.

**გიორგი ლალიაშვილი.**


# განცხადება

## ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვების სპეციალისტისა და ფინანსური მართვის ჯგუფის ბუღალტრის ვაკანსიების დასაკავებლად

**საქართველოს ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის მსოფლიო ბანკის პროექტის განმახორციელებელი ცენტრი აცხადებს კონკურსს მსოფლიო ბანკის მიერ ფინანსირებადი ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვების სპეციალისტისა და ფინანსური მართვის ჯგუფის ბუღალტრის ვაკანსიების დასაკავებლად.**

**სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ინიციატივით, მსოფლიო ბანკისა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის დახმარებით მომზადდა საქართველოს ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის მიზანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და კერძო მეურნეობის შემოსავლების გაზრდა საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის მომავალი გაუარესების შეჩერების და მუშა მდგომარეობაში შენარჩუნების გზით, რაც მიღწეულ უნდა იქნას:**

1. სამელიორაციო ასოციაციების ჩამოყალიბებით, რომლებიც მომავალში პასუხისმგებელი იქნებიან საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების ექსპლუატაციაზე, მოვლა-შენახვაზე და წყლის ეფექტურ გამოყენებაზე;
2. საირიგაციო და სადრენაჟო ინფრასტრუქტურის შეკეთებითა და რეაბილიტაციით;
3. საირიგაციო წყლის მართვის გაუმჯობესების პროგრამის განხორციელებით;
4. მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დეპარტამენტის მმართველობითი უნარის გაუმჯობესებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვების სპეციალისტისა და ფინანსური მართვის ჯგუფის ბუღალტრის თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისაგან აუცილებელია ქვემოთ ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო ნორმების დაკმაყოფილება:

**შესყიდვების სპეციალისტის თანამდებობისათვის:**

- ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი/ირიგაციისა და დრენაჟის ინჟინერი;
- 10 წლის მუშაობის გამოცდილება;
- 5 წლის მუშაობის გამოცდილება მსოფლიო ბანკის ან სხვა უცხოური დონორის მიერ ფინანსირებად პროექტებში;
- შესყიდვების მართვის ცოდნა; გამოცდილება შესყიდვების ჩატარებაში.
- პროექტის ხელმძღვანელობასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის შუამავალი ფუნქციის შესრულება და მათი ინფორმირება;
- საერთაშორისო გუნდებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმოწერის წარმოების გამოცდილება;
- ქართული და ინგლისური ენების თავისუფლად ფლობა, ხოლო რუსული ენის საფუძვლიანი ცოდნა.
- ადგილობრივ ან საზღვარგარეთ სწავლის (ტრეინინგის გავლის) სურვილი;
- კომპიუტერის ცოდნა.

**ფინანსური მართვის ჯგუფის ბუღალტრის თანამდებობისათვის:**

- უმაღლესი ეკონომიკური/საბუღალტრო განათლება;
- 5 წლის მუშაობის გამოცდილება;
- ორი წლის გამოცდილება საბუღალტრო აღრიცხვაში;
- საბუღალტრო აღრიცხვისა და საფინანსო საქმის ცოდნა;
- მსოფლიო ბანკის ან სხვა უცხოელი დონორების მიერ დაფინანსებულ პროექტებში და/ან ერთობლივ კომპანიებში მუშაობის გამოცდილება;
- ქართული და რუსული ენების კარგად ცოდნა და ინგლისური ენის საფუძვლების ცოდნა.

შესყიდვების სპეციალისტი იმუშავებს პროექტის მენეჯერის საერთო ხელმძღვანელობით და ანგარიშვალდებულ იქნება პროექტის ტექნიკური მენეჯერის წინაშე, ხოლო ფინანსური მართვის ჯგუფის ბუღალტერი იმუშავებს პროექტის მენეჯერის საერთო ხელმძღვანელობით და ანგარიშვალდებული იქნება მის წინაშე.

დავალებების ხანგრძლივობა განისაზღვრება დაახლოებით 8 თვით, შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით.

ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის შესყიდვების სპეციალისტისა და ფინანსური მართვის ჯგუფის ბუღალტრის დეტალური ტექნიკური დავალებები კანდიდატებს შეუძლიათ მიიღონ ქვემოთაღნიშნულ მისამართზე.

დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ბიოგრაფიები (CV) ინგლისურ და ქართულ ენებზე კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომების/მოწმობების ასლებთან ერთად. განცხადების მიღება იწარმოებს წინამდებარე განცხადების გამოქვეყნებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში 11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე ქვემოთაღნიშნულ მისამართზე:

**ირიგაციისა და დრენაჟის რეაბილიტაციის პროექტის განმახორციელებელი ცენტრი, თბილისი 380008, მაჩაბლის ქ. №8, ტელეფონი/ფაქსი (995 32) 921467; 936162.**

თეატრალური გაზეთი

# სახიობა

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველთვიური დამატება

№7

...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

**სანდრო ახმეტელი.**

## ჩვენი პუბლიკაცია

# ორი ესკიზი



„სურამისა ციხეო,
სურვილითა გნახეო, —
ჩემი შვილი ზურაბი
კარგად შემინახეო“

**ხალხური.**

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ქრესტომათიული მოთხრობაა!

ასევე შეიძლება ითქვას ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის ერთ-ერთ გამორჩენილ დადგმაზე „სურამის ციხეზე“ (ავტორი სიმონ მთვარაძე, რეჟისორი ალექსანდრე თაყაიშვილი. 1932-33 წლების სეზონი), რომ იყო ჭეშმარიტად ქრესტომათიული სპექტაკლი ომამდელ მოზარდთათვის, სპექტაკლი, რომელიც ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა ნორჩ მაყურებელზე როგორც დადგმის ხელოვნებით, ასევე მსახიობთა თამაშით (გ. დარისპანაშვილი და გ. აბაშიძე – დურმიშხანი, ბ. გამრეკელი – ოსმან-აღა, ა. ღვინიაშვილი და ი. დონაური – ვარდო, თ. თვალიაშვილი და გ. კუპრაშვილი – ზურაბი, ნ. სირბილაძე – მელანო, ა. ყიასაშვილი – თავადი ზივი და სხვ).

დღიდან თეატრის დაარსებისა (1928-29 წწ.), მისი მესვეურნი ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ მოზარდთა სცენაზე ეროვნული რეპერტუარი, რომელზეც აღიზარდა თაობები, მის სცენაზე გათამაშებულმა დრამამ თუ კომედიამ შთააგონა ჩემი თაობის გამორჩენილ მსახიობს რამაზ ჩხიკვაძეს თეატრისათვის დაეკავშირებინა ბედი და ალბათ, არა მარტო მას...

„სურამის ციხემ“ დიდხანს იცოცხლა სცენაზე და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რითაც დაგამახსოვრდებოდათ ეს საოცრად ემოციური სპექტაკლი, იყო დეკორაცია, რომელიც ეკუთვნოდა მხატვარ პეტრე ოცხელს.

„სურამის ციხის“ გარეშე ამ თეატრის ისტორიის პირველი ეტაპი არ მოიაზრება. ამასვე აღნიშნავს ჩემი კოლეგა, თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე თეატრის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილ ალბომის წინასიტყვაობაში (შემდგენელი კოტე ნინიკაშვილი, 1978 წ.).

„თეატრის აფიშას დიდხანს ამშვენებდა „გიქორი“, „ქაჯანა“, „ლადო კეცხოველი“, „სურამის ციხე“, ამ დადგმების გარეშე წარმოუდგენელიცაა ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის ისტორია. ვერც ერთი სხვა სპექტაკლი ჩვენების სიხშირით ვერ შეედრება „სურამის ციხეს“, იგი 500-ჯერ იქნა ნაჩვენები (ეყრდნობა ამ თეატრის მეისტორიის ანა ღვინიაშვილის წიგნს „მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი“, 1956 წ.).

1940 წელს ეს სპექტაკლი მოსკოველებსაც უნახავთ და დიდი წარმატებაც ჰქონია, რაც სათანადოდ ასახულა პრესაშიც („იზვესტია“, „კომსომოლსკაია პრავდა“).

„ს. მთვარაძის პიესა „სურამის ციხე“ თავისი მგზნებარებით, რომანტიკული პათოსით, დეკადის უძლიერესი სპექტაკლია („იზვესტია“), „სურამის ციხე“ დათვალიერების მშვენებად აღიარეს – ერთ-ერთ მისაბაძ და საყურადღებო დადგმად – „აქ ბევრი რამაა ისეთი, რაზედაც უნდა ვისწავლოთ“.

პეტრე ოცხელი – ქართული თეატრის ისტორიის განუყოფელი ნაწილი, ტრაგიკული ბედის პიროვნება!

...60-70-იან წლებში მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის მხატვარი იყო შალვა ქორქოლაძე, – უკეთილშობილესი, უფაქიზესი ადამიანი და ხელოვანი. ერთხელ მან მითხრა, საჩუქარი მაქვს შენთვისო და მალე მომიტანა კიდეც. ჩემთვის სრულიად მოულოდნელი და მართლაც ძვირფასი ორი ესკიზი პეტრე ოცხელისა – სწორედ „სურამის ციხისთვის“ რომ შეუქმნია ხელოვანს.

– თეატრის რემონტის დროს ფოიეში, ნაგვის გროვაში შევამჩნიე, დამენანა, გამოვარჩიე, მოვაწესრიგე და მოგართვიო...

სულთათანა მის ხსოვნას – ასეთი კარგი სახსოვარი რომ დამიტოვა... ცხადია, იცოდა, რომ ნებისმიერი თბილისელისთვის „სურამის ციხე“ დაუვიწყარი ბავშვობისდროინდელი მოგონება იყო.

**ნანა ღვინეფაძე.**

**2000 წლის მკათათვის 11.**





## პრემიერის შემდეგ





# „ვახსენებთ იმას, რაც დავიწყებულია“

**რობერტ სტურუა** ერთ-ერთ ბოლოდროინდელ საუბარში ასეთ თვალსაზრისს გამოთქვამს: **„როცა რიჩარდ მესამეს უყურებს ადამიანი (ნახევარი დარბაზი რიჩარდის მსგავსია), კიცხავს რიჩარდს, სპექტაკლის მერე მიდის შინ, ცოტა ხანს მიჰყვება ეს განცდა, დილით კი ისევ აგრძელებს თავის რიჩარდულ ცხოვრებას; ჩვენ ვერ ვასწორებთ ვერაფერს, ვერ ვცვლით ადამიანს, უბრალოდ, ვახსენებთ იმას, რაც დავიწყებულია“**. ეს სიტყვები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახლა, როცა ჩვენ უკვე ვიცნობთ რობერტ სტურუას „კაცია-ადამიანს?!“, რომელმაც თავზარდამცემი გულახდილობით გააოგნა თანამედროვე ქართველი მაყურებელი, ილია ჭავჭავაძის „მოსვლა“ რუსთაველის თეატრში შოკისმომგვრელი აღმოჩნდა! რობერტ სტურუამ შეუძლებელი შეძლო. მისი „კაცია-ადამიანი?!“ სასწაულებრივი მხატვრული მოვლენაა, რომელიც სულხორციანად გძრავს და გაშფოთებს, ამქვეყნად ჩვენი მოვლენის არსსა და დანიშნულებაზე მტანჯველი ფიქრით საშველს აღარ გაძლევთ. ეს ჩვენი საქართველოა, ჩვენი ცხოვრებაა ათადან-ბაბადან... ვიდრე ჩვენს დღეებამდე, როცა ყველაზე მეტად გვმართებს გონიერება და სიფხიზლე, თუ გვსურს ღირსეული არსებობა და თვალის გასწორება მომავლისათვის.

შეიძლება ეს სპექტაკლი ვერ ცვლის ადამიანს, ვერ ასწორებს ვერაფერს, მაგრამ განა უბრალო მისიაა გაახსენო ის, რაც დავიწყებულია?!

რობერტ სტურუამ ილია ჭავჭავაძის გენიის საკადრისი სახილველი შექმნა. იგი ძალზე ახლოსაა მწერალთან თავისი პოზიციითა და კრედოთი. რეჟისორმა მიაღწია იმას, რომ შეენარჩუნებინა მძლავრი, ილიასეული პუბლიცისტური სულისკვეთება და მხატვრულადაც მიუწვდომელ სიმაღლეებს გვაზიარა. ორსაათიან უანტრაქტო სპექტაკლში სტურუამ შეძლო მთელი ქართული ყოფისა და სულიერების გამოხატვა — დაწყებული პოლიტიკური სისტემით, ფილოსოფიური მოძღვრებით, ისტორიითა და კულტურით დამთავრებული. ქართული ხასიათის სიავ-კარგის, ჩვენი ბედოვლათობის ასეთი სიმძაფრითა და ტკივილით ამეტყველება სცენაზე მე არ შემხვედრია. სტურუამ ილიას დარად სარკე მოგვიტანა და შიგ ჩაგვახედა, რათა ჩვენი სინამდვილე დავინახოთ, გავიცნობიეროთ მოზღვავებული უკეთურებანი, რომელიც ძალუმად უტევს ჩვენს ცნობიერებას, ხლეჩს და არყევს საერთო მიზნისკენ სწრაფვას. ერთბაშად ეს არის სპექტაკლი-სამსჯავრო და განსაწმენდელიც. იგი დაგვანახებს უძირო უფსკრულს, რომელიც დანთქმით ემუქრება ჩვენს არსებობას... და ეს ყოველივე სპექტაკლში პლაკატური სიტყვებითა და მოწოდებებით როდი ხორციელდება, ეს ინტონაცია მოაქვს ჩვენამდე მთელი სანახაობის ვიზუალურ და ბგერით ესთეტიკას, სადაც არაფერია შემთხვევითი და უმნიშვნელო, ყოველი მოძრაობა და ჩქამი დატვირთულია ღრმა, ტევადი შინაარსით, რომელიც ბევრ რამეზე გვიხელს თვალს. სტურუა სცენის კომპოზიტორია, იგი ქმნის სასცენო თხზულებას, რომელიც მუსიკალური ქმნილების დარად მოქმედებს ჩვენს შეგრძნებებზე. რეჟისორის ბოლო ათწლეულის ესთეტიკურმა მონაპოვრებმა „კაცია-ადამიანში“ მოიყარა თავი, რამაც მთელი სისავსით გამოავლინა სტურუას ძიებათა მასშტაბი და ცხოველმყოფელობა.

სტურუა სცენური მაგიის მოწმედ გვაქცევს, აქ ყველაფერი მის ნებას ემორჩილება, ეს სხვა გალაქტიკაა, რომელშიც უმაღლესი მათემატიკა და უზენაესი ხელოვნება სუფევს.

სამსახიობო შესრულების ნამდვილი ფეიერვერკია „კაცია-ადამიანი?!“ ჟანრი ლოლაშვილი-ლუარსაბის ტრაგიკომიკური ნიღაბი ქართული თეატრის ჭეშმარიტი მონაპოვარია, სპექტაკლი მხოლოდ ახლა იწყებს სიცოცხლეს და ჟანრი ლოლაშვილის გმირი სულ უფრო მეტი ელვარებით გამოიბრწყინებს.

არაჩვეულებრივ სცენურ ფერებს აგებს თათული დოლიძე; მსახიობის დამოკიდებულება პარტნიორების მიმართ, როლის პლასტიკური გააზრება და მთელი მისი არსებობა ამ სივრცეში უაღრესად მეტყველი და ქმედითია.

მთავარი გმირების გარდა, კიდევ ხუთი მსახიობია დაკავებული სპექტაკლში; დავით უფლისაშვილი, ქრისტან სარალიძე, დათო დარჩია, ნანუკა ხუსკივაძე და დარეჯან ხარშილაძე. მართლაც უნივერსალური მსახიობები არიან, თითოეული მათგანი რამდენიმე როლს ასრულებს, გარდასახვის ამგვარი უნიკალური სტილისტიკით სტურუამ ახლებურად წარმოგვიდგინა ისინი, რასაც შესანიშნავად ულებენ ალღოს ეს მსახიობები. სხვა სპექტაკლებში ხუსკივაძეს, ძირითადად, დედოფლების და წამყვანი როლების თამაში უწევს, მაგრამ მისმა მონაწილეობამ „კაცია-ადამიანში“ ყველა შთაბეჭდილება გადაფარა, ჩვენს წინაშეა ნამდვილი ვირტუოზის გასაოცარი მრავალსახეობა.

მირიან შველიძის სცენოგრაფია თავისი გამომსახველობითა და საგანთა სამყაროს ალეგორიებით სპექტაკლის წამყვანი მოტივია. ასეთი განათება, მუქწერის უჩვეულო სიმდიდრე და დახვეწილობა სულ სხვა განზომილებასა და სიღრმეს ქმნის. სად არ შეგვხვედრია და ვის არ გამოუყენებია თეატრალური კვამლი სცენაზე, მაგრამ მსგავსი მხატვრული ძალით ამეტყველება, რაც სტურუამ შეძლეს „კაცია-ადამიანის“ დასაწყისში, როცა ბურუსში გახვეული პერსონაჟები, თითქოს საუკუნის ფარდა გაარღვიეს და ჩვენსკენ მოემართებიან, ასეთი მძლავრი თეატრალური შთაბეჭდილება სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში, რადგან მას სცენის დიდი მესიტყვენი და მესაიდუმლენი ქმნიან.

მას შემდეგ რაც „კაცია-ადამიანი?!“ ვნახე, ძალიან ხშირად მახსენდება თავს, იმდენად ძლიერი მისით მოგვრილი „ესთეტიკური შოკი“, რომ მასზე მშვიდი განსჯა ძალიან მიჭირს, დროის დისტანცია უკეთ გამოაჩენს ამ სპექტაკლის უზომოზარ მნიშვნელობას, ისიც მჯერა, რომ ამ სპექტაკლს ხანგრძლივი სცენური სიცოცხლე ეწერება.

**გიორგი ლალიაშვილი.**





სახიობა

საქართველოს რესპუბლიკა

№ 189. შაბათი, 15 ივლისი, 2000 წელი.

## უკვდავი სახელები

ასი წელი შესრულდა ედუარდო დე ფილიპოს დაბადებიდან. დრამატურგი, რეჟისორი, მსახიობი – ასეთად წარმოგვიდგება იტალიური და მსოფლიო თეატრალური სამყაროს გამორჩეული ფიგურა.

სიკვდილამდე სამი წლით ადრე, 1981 წელს იტალიის პრეზიდენტმა ალესანდრო პერტინიმ ედუარდო დე ფილიპო სიცოცხლეშივე სენატორად გამოაცხადა. ამაში გამოიხატა ის დიდი აღიარება და დამსახურება, რაც ამ დიდ ხელოვანს მიუძღვის იტალიური და მსოფლიო კულტურის წინაშე.



დე ფილიპო დაიბადა ნეაპოლში 1900 წლის 24 მაისს, პირველად ექვსი წლისამ ითამაშა მეორეხარისხოვანი როლი ედუარდო სკარპეტას პაროდიაში „გეიშა“.

1909-10 წლებში ედუარდო დე ფილიპო დასთან, ციცინასთან ერთად ჩაირიცხა დასში, რომელსაც სკარპეტას შემდეგ მისი ვაჟი – ვინჩენცო ჩაუდგა სათავეში.

1911 წელს იგი შედის კოლეჯში, თუმცა, დროდადრო მაინც ახერხებს სცენაზე გამოსვლას.

1913-14 წლებში ედუარდო დე ფილიპო რეჟისორ ენრიკო ალტიერისთან, მოგვიანებით, ასევე პოპულარულ რეჟისორ ფედერიკო სტელასთან ერთად გამოდის სცენაზე. თუ დრამებში ედუარდოს პატარა, მეორეხარისხოვანი როლები ჰქონდა, ფარსებში პირიქით, – მნიშვნელოვან როლებს ასრულებდა. ალტიერის დასი გამოდიოდა „ტეატრო ორფეოსში“, „სან ფერდინანდოსა“ და „ტრიანონში“, სამუშაო მეტად რთული იყო. დღეში სამ სპექტაკლს თამაშობდნენ.

1918 წელს ედუარდო დე ფილიპო ომში წავიდა, ომის დამთავრების შემდეგ კი ისევ თეატრს დაუბრუნდა. 1920 წელს იგი კვლავ სამხედრო ფარაჯას იცვამს. ზაფხულში, როცა კი საშუალება ეძლევა, გამოდის სხვადასხვა ქალაქთა სცენებზე. ედუარდო დე ფილიპოს, როგორც მოაზროვნისა და დრამატურგის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს მისმა წინამორბედებმა: პეტიტომ, სკარპეტამ და ვივიანიმ. ედუარდო დე ფილიპომ შემოქმედებითად შეითვისა პეტიტოს სრულყოფილი კომიზმი, ტექსტის ფილიგრანული დახვეწილობა, სკარპეტასა და ვივიანის მკაცრი რეალიზმი, მაგრამ მიუხედავად მათი სიდიადისა, ისინი მაინც რაღაცით მეორადნი იყვნენ. თავისი პიესების სიუჟეტებს ხშირად იღებდნენ „კომედია დელ არტეს“, კარლო გოლდონის პიესებიდან, ედუარდო სკარპეტა თარგმნიდა კიდეც ფრანგულიდან ვოდევილებს, მაგრამ გადაკეთება, გადამუშავება კი, როგორი ბრწყინვალეც არ უნდა იყოს იგი, მაინც გადაკეთებაა (თუმცა ამით სრულიად არ მცირდება მათი დამსახურება) და მაინც, ნეაპოლის თეატრის შექმნა ედუარდო დე ფილიპოს სახელთანაა დაკავშირებული.

გარდა კომედიებისა, ედუარდო დე ფილიპოს კალამს ეკუთვნის მრავალი სცენარი ფილმებისათვის, პოეტური კრებულები, სპეციალურად ტელევიზიისთვის დაწერილი სცენარები. იგი ლუიჯი პირანდელოს, ბეტის, მოლიერის და ალტავილას, პეტიტოს პიესებსაც დგამდა. განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია დე ფილიპოზე ლუიჯი პირანდელოსთან ურთიერთობამ.

1944 წელს ედუარდო ქმნის საოჯახო ტრიოს – უფროს ძმა პეპინოსა და ტიტონასთან ერთად. მოგვიანებით „დე ფილიპოების იუმორისტული თეატრი“ დაიშალა. ამას სხვა მიზეზებთან ერთად, ერთმა გარემოებამაც შეუწყო ხელი. პეპინო დე ფილიპო, რომელიც ამავე დროს ბრწყინვალე სახასიათო მსახიობი იყო, თავის პიესებს მხოლოდ ლიტერატურულ იტალიურ ენაზე წერდა და სასტიკად აკრიტიკებდა ძმას, რადგან ედუარდო თავის პიესებში უხვად იყენებდა დიალექტებს, განსაკუთრებით ნეაპოლიტანურს. მას ბევრი პიესა მხოლოდ ამ დიალექტზე აქვს დაწერილი. ედუარდო დე ფილიპო მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს ლიტერატურული ენით ამეტყველებდა, ხოლო მასას, დაბალ ფენას – დიალექტზე. ეს მეთოდი თავისებური კოლორიტისა და რეალისტური სურათის შექმნაში ეხმარებოდა, საშუალებას აძლევდა უკეთ აესახა უსამართლობა, დაეხასიათებინა გმირები, კანონზომიერად განელაგებინა ისინი იერარქიის კიბეზე.

1945 წელი აღინიშნა ედუარდო დე ფილიპოს ტრიუმფალური გამოსვლით ნეაპოლის ან კარლოსის თეატრში საკუთარი პიესით „ნეაპოლი-მილიონერთა ქალაქი“, რომელიც თვითონვე დადგა და მთავარი როლიც მანვე განასახიერა. შემდგომში ამ პიესამ საქვეყნო აღიარება მოუტანა მას.

1954 წელს დე ფილიპომ საკუთარი სახსრებით შეაკეთა და საზეიმოდ გახსნა სან ფერდინანდოს თეატრი, რომელიც დაბომბვის შედეგად მიწასთან იყო გასწორებული.

დე ფილიპოების ოჯახი ადრეც თეატრალურ ოჯახად ითვლებოდა, ახლა კი მთელი დინასტიაა: ედუარდოს ვაჟი ლუკა დე ფილიპო და პეპინო დე ფილიპოს ვაჟი ლოჯი – წამყვანი კომიკური მსახიობები და რეჟისორები არიან.

იტალიელი კრიტიკოსები ედუარდო დე ფილიპოს თეატრს ხშირად ერთი მსახიობის თეატრს უწოდებენ, რადგან მთავარ როლს იგი ყოველთვის თავისთვის წერდა და თავადვე ანსახიერებდა. ასეთი თეატრი ყოველთვის საჭიროებს შემოქმედებით მემკვიდრეს: სწორედ ამგვარი ნიჭიერი მემკვიდრე და ერთგული თანაშემწე იყო მისთვის მისი შვილი ლუკა დე ფილიპო, თუმცა მამასთან ხშირად შემოქმედებითი პაექრობაც ჰქონდა.

„სახელგანთქმული მსახიობისა და რეჟისორის შვილობა ადვილი არ არის, ყოველთვის ემუქრება მისი აჩრდილად ქცევის საშიშროება“... წერს ლუკა დე ფილიპო. იგი წლების მანძილზე გრძნობდა გენიალური მამის ტვირთს და პირველად სცენაზე გამოსვლა დაიწყო ლუკა დელა პორტას სახელით, რასაც თავად შემდეგნაირად ხსნიდა: „როცა დე ფილიპოს სახელს ატარებ, შენზე წინდაწინვეა შემუშავებული აზრი, რაც ძალზე ბევრს ითხოვს. შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში კი, ბუნებრივია, არ შეგწევს ძალა გაამართლო ასეთი მოთხოვნა“...

ედუარდო დე ფილიპოს პიესებს ახასიათებთ ღრმა რეალიზმი. პიესებმა „ნეაპოლი – მილიონერთა ქალაქი“, „ფილუმენა მარტურანო“, „ჩემი ოჯახი“, „შაბათი, კვირა, ორშაბათი“, „დე პრეტორე ვინჩენცო“, „კომედიის ხელოვნება“, „კონტრაქტი“ – მოიარეს თითქმის ყველა დიდი თეატრის სცენა. მაყურებელი ყოველთვის დიდი ოვაციებით ხვდებოდა მის პიესებს ღრმა ჰუმანიზმისა და ცხოვრებისეული სიმართლის გამო. დე ფილიპოს პიესებში წამოჭრილი იყო ისეთი საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც ერთნაირად აღელვებდა ყველა ქვეყნის მაყურებელს.

„ვფიქრობ, ჩემი კომედიები ტრაგიკულია. ისინი ტრაგიკულია მაშინაც, როცა გვაცინებენ. თუ დაუკვირდებით, შეამჩნევთ, რომ მათში მთელი კაცობრიობის ისტორიაა ასახული“...

იტალიელმა კრიტიკოსმა ვიტო პანდოლფიმ დე ფილიპოს „მოლაპარაკე პაუზებისა და მყვირალა სიჩუმის მსახიობი“ შეარქვა... და მართლაც, გასაოცარი ზომიერების გრძნობა ახასიათებს შემოქმედს, განსაკუთრებით პათეტიკურ სცენებში. თითოეული ჟესტისა და გამოხედვის ბუნებრიობა, პლასტიკურობა საშუალებას აძლევს დე ფილიპოს არ გადალახოს საზღვარი, რომლის იქით მაყურებელი ამჩნევს არტისტულ ტექნიკას და აღარ უჯერებს მსახიობს. ასეთ სცენებში სულ მცირეოდენ სიყალბეს, ინტონაციის უზუსტობასაც კი შეუძლია უაღრესად ტრაგიკული სცენა კომიკურ სცენად აქციოს.

იგი პირველად კინემატოგრაფიაში 1932 წელს გამოჩნდა, თავის ძმა პეპინოსთან და მომღერალ ტიტო სკიპასთან ერთად ფილმში „სამი ფრაკიანი მამაკაცი“.

იქამდე გადაიღეს ფილმში „სამკუთხა ქუდი“, რომელშიც ესპანელი გუბერნატორის როლს თამაშობდა, მისი ძმა პეპინო – ცოლის საყვარელს. ფილმი თითქოსდა ჩვეულებრივ სიყვარულის სამკუთხედზე იყო აგებული, მაგრამ ვითომ შემთხვევით, იქვე ნაჩვენები იყო უზომო გადასახადებით შეწუხებული ხალხი, როგორ ძარცვავდნენ მას მაღალი ჩინოვნიკები, მთავრობის წარმომადგენლები, როცა მუსოლინის ფილმი უნახავს, საშინლად აღშფოთებულა და უბრძანებია, დაუყოვნებლივ მოეხსნათ ეკრანებიდან. ედუარდო დე ფილიპო კმაყოფილიც დარჩენილა, ასე რომ აღუშფოთებია მის თამაშს დუჩე. ედუარდო დე ფილიპოს დამსახურებაა კინოში, შემდგომში უკვე ცნობილი იტალიელი კინოვარსკვლავის, ტოტოს მოყვანა. ისინი ახალგაზრდობიდანვე იცნობდნენ ერთმანეთს. სპეციალურად მისთვის დაწერა როლი ფილმში „ნეაპოლელები მილანში“. ეს იყო ტოტოს პირველი სერიოზული კომიკური როლი კინოში.

ცნობილი იტალიელი მწერალი დომენიკო რეა წერდა: „ადამიანი, ვისაც სინდისი სუფთა არა აქვს, ედუარდო დე ფილიპოს სპექტაკლის ნახვის შემდეგ, თეატრიდან შემცბარი გამოდის და კუდამოძუებული მიდის შინ, თითქოს ვინმეს გაეწკეპლოს“...

1972 წელს გამომცემლობა „ეინაუდიმ“ დასტამბა ედუარდო დე ფილიპოს შედევრების ორტომეული, რისთვისაც ლინჩეის აკადემიამ მას ანტონიო ფელტრინელის საერთაშორისო პრემია მიანიჭა.

პრემიის გადაცემისას, სამადლობელ სიტყვაში, ედუარდო დე ფილიპომ აღნიშნა: „მინდა გესაუბროთ ჩემზე, ჩემს მუშაობაზე. ყველაფერი – სიძულვილი, აღშფოთება თუ სხვა ემოცია, პირველად გულში ჩნდება. ამით ის მინდა ვთქვა, რომ იდეები ჯერ გულში იბადებიან, მერე კი – გონებაში. შემდეგ იწყება ჩემი ძირითადი სამუშაო – ვუწოდებ მას ტვინს. აქ ისინი იღებენ კონკრეტულ ფორმას, რაც თავის მხრივ, ბადებს პერსონაჟებს. შემდეგ მათ ვაძლევ სათქმელს, თავის თავი რომ გამოხატონ. ამის გამო წუთი არ არის ჩემს ცხოვრებაში, რომ გამახვილებული არ მქონდეს თვალი და ყური, რათა არ გამომრჩეს რაიმე ადამიანის სულის ხვეულებიდან. ვაკვირდები მათ, რომ გამოვხატო სიმართლე, ღრმა ჰუმანიზმი. მართალი რომ ვთქვა, იდეა თავისთავად და ადვილად იბადება, ძნელია მისთვის ფორმის მიცემა. ჩემი პერსონაჟების ცხოვრება რომ ავსახო და თემა თეატრალურად გავიაზრო, ამისათვის ყოველთვის საჭიროა ეგრეთ წოდებული დაკვირვების პუნქტი. ერთ-ერთი ასეთი ადგილი ჩემთვის იყო ნეაპოლის სასამართლო.

ვის არ ნახავდით აქ, მეძავებს, ქურდებს, მსხვერპლსა თუ დამნაშავეს, ვაჟკაცსა და მხდალს, სხვადასხვა ჯურის არამზადებს, ბრიყვებს, ტუტუცებს, ანგელოზებს, რომლებსაც სჯეროდათ ეშმაკისა და ეშმაკებს, რომლებსაც სჯეროდათ ანგელოზებისა. ისინი დღესაც ჩემთან არიან. ხშირად შეუნიშნავთ ჩემს ნათესავებს თუ ახლობლებს, როგორ ძლებ მარტო, რატომ გიყვარს განმარტოებაო. მათ არ იციან, რომ მარტო არასოდეს არა ვარ, – ის ხალხი არასოდეს მტოვებს და გამუდმებით მათ ვესაუბრები, ვსწავლობ მათ ცხოვრებას, ვეკამათები, თანავუგრძნობ, ვუსმენ მათ წუხილს დამსხვრეულ ოცნებებზე. ისინი ხორცს ისხამენ ჩემს პიესებში, ყალიბდებიან პერსონაჟებად, ასაზრდოებენ მთელ ჩემს შემოქმედებას. ჩემი მუშაობა მთავრდება სიტყვა „დასასრულით“. ამის შემდეგ იწყება ახალი ეტაპი. ესაა მუშაობა მსახიობებთან და მაყურებლებთან... დიახ, მაყურებელთან. ნუ გაგიკვირდებათ, რადგან არა მარტო მაშინ, როცა რეჟისორულად ვამუშავებ პიესას, მანამდეც, წერის პროცესშიც მაყურებელი ყოველთვის ჩემთანაა. თუ კომედიაში ორი, ხუთი ან რვა პერსონაჟია, მეცხრე – ჩემთვის მაყურებელია. მას ყოველთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებ, რადგან მხოლოდ მას შეუძლია პასუხი გასცეს ჩემს კითხვებს“...

1984 წლის 25 ნოემბერს გარდაიცვალა ღვაწლმოსილი დე ფილიპო. მადლიერმა იტალიელმა ხალხმა დიდი პატივით დაკრძალა ხელოვანი. მრავალრიცხოვან ყვავილებსა და თაიგულებს შორის ედუარდო დე ფილიპოს ფეხებთან პატარა დაფნის რტო იდო. ის მისმა მეგობარმა და მისი ნიჭის დიდმა თაყვანისმცემელმა მხატვარმა რენატო გუტუზომ მიიტანა მასთან გამოთხოვებისას, როგორც პოეტთან... დიახ, **ედუარდო დე ფილიპო პოეტიც იყო, ნეაპოლელი ხალხის დიდი პოეტი. ის იყო არა მარტო რეჟისორი, მსახიობი და დრამატურგი, როგორც საერთოდ აღნიშნავენ ხოლმე, არამედ კომპოზიტორიც, მხატვარიც – იგი მთლიანად განასახიერებდა თეატრს.**

# იგი მთლიანად განასახიერებდა თეატრს

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა ნაწყვეტი რენატო გუტუზოს მოგონებიდან... „ბედნიერება მქონდა მასთან მემუშავა მისი პიესის „კონტრაქტის“ გაფორმებაზე. ის მიკითხავდა სცენებს, უფრო სწორად, თითოეულ გმირს ათამაშებდა, მე იქვე ვთავაზობდი ესკიზებს კოსტუმებისათვის, საერთოდ, რეკვიზიტს – სტენოგრაფიისათვის. დადგა სპექტაკლის დღე და ედუარდო სცენაზე შემოვიდა არა იმ კოსტიუმით, რაც წინასწარ შევიმუშავეთ და დავამზადეთ, არამედ უხეში შალის ძაფით მსხვილად ნაქსოვი პერანგით. ამ პიესაშიც იგი მთავარ როლს – ჯერონტას თამაშობდა. პირველად ძალიან მეწყინა, ერთი პირობა დარბაზის დატოვებაც ვიფიქრე, მაგრამ სპექტაკლის მსვლელობისას ისე ჩაჯდა ეს ჩასაცმელი სპექტაკლში, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი მის ნიჭიერებაში... ჯერონტას როლს ის პერანგი უფრო უხდებოდა (კომედიის მიხედვით „მკვდრეთით აღადგენდა ადამიანებს“). დავრწმუნდი, რომ ის დიდი მხატვარიც იყო. სპექტაკლმა ჩემზეც და მაყურებელზეც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, ამით, ჩემი აზრით, თავის პერსონაჟს მეტი მნიშვნელობა შესძინა“...

ქართველი მაყურებლისათვის კარგად არის ცნობილი დე ფილიპოს „ნეაპოლი, მილიონერთა ქალაქი“. ამავე სახელწოდების ფილმით და სპექტაკლით, „ფილუმენა მარტურანო“ („ქორწინება იტალიურად“). მარჯანიშვილის სახელობის თეატრში „ნეაპოლი – მილიონერთა ქალაქის“ გარდა, დაიდგა „კომედიის ხელოვნება“, „ხელშეკრულება“. გორის თეატრში „მოჩვენებები“, რუსთავის თეატრში „ცილინდრი“ და სხვ.

დე ფილიპოს თეატრს ვერ აურევ სხვაში. იგი თვითმყოფადია. ასევეა მისი კომედიებიც, მათ გაუძლეს არა მარტო დროს, ყველაზე მთავარ მსაჯულს, არამედ დამკვიდრდნენ როგორც ლიტერატურული ნაწარმოებები. მისი საუკეთესო პიესები დღესაც წარმატებით იდგმება მსოფლიოს სხვადასხვა სცენაზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კარგი პიესა მაშინვე კარგავს თავის მიმზიდველობას და ღირებულებას, როგორც კი დაიბეჭდება. ედუარდო დე ფილიპოს პიესებს ეს არ მოელით, რადგან ეს მაღალმხატვრული ლიტერატურა გახლავთ.

**ზაირა სტურუა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარდის დახურვის წინ

# „კუკარაჩა“ ონის სცენაზე

ამ დღეებში ონელმა მაყურებელმა ნახა ნოდარ დუმბაძის მოთხრობის „კუკარაჩას“ მიხედვით დადგმული სპექტაკლი, რომლის რეჟისორია გელა ისიანი. საკმაოდ გახმაურებული ნაწარმოებით ახალი სიტყვის თქმა ერთობ რთული იყო, მაგრამ სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა პიესას მოუძებნა ორიგინალური და თანამედროვე ხედვა, ახლებური კომპოზიციური გადაწყვეტა. სათეატრო კულტურით აღბეჭდილ სპექტაკლში მრავლად მოიძებნება ცოცხალი, ლამაზი სცენები. სპექტაკლმა აალელვა და ააფორიაქა მაყურებელი. თითქოს ყველას გაუჩინა თავისი საფიქრალი. მოყვარული მსახიობები: გ. ლობჟანიძე, ლ. შერაზადიშვილი, ე. ჩალაძე, ნ. ალბირიშვილი, მ. ჯაფარიძე, ლ. ღვდელაძე, თვით დამდგმელი რეჟისორი გ. ისიანი დიდი გატაცებით განასახიერებენ თავიანთ პერსონაჟებს.

წარმოდგენის რეჟისორი და მხატვარი ძალზე ახლოს აღმოჩნდნენ ერთმანეთთან თავიანთი შემოქმედებითი მისწრაფებებით. ამან დაბადა მთლიანი, ლოგიკურად გამართული სპექტაკლი. მხატვარ თ. გამყრელიძის სცენოგრაფია ძალიან მკაცრი, სადა და მეტყველია.

სახალხო თეატრის ახალმა წარმოდგენამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა იმაში, რომ ონელებს უყვართ თავიანთი თეატრი და რომ შემოქმედებითი კოლექტივი მოკლებული არ არის მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელმძღვანელობის ყურადღებას და მხარდაჭერას. მაგრამ ნუ გავიგებთ ისე, რომ თეატრში ყველაფერი თავის რიგზე იყოს, სიძნელეები და სატკივარი არ ჰქონდეს. უწინარესად, როგორც ყველგან, აქაც გაჭირვებაა. თეატრის კოლექტივს სჭირდება შევსება, განსაკუთრებით ახალგაზრდებით. მართალია, ბოლო დროს სახალხო თეატრმა შემოიკრიბა ახალგაზრდობა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. სასურველია თეატრმა თავისი სპექტაკლი გაიტანოს მეზობელ რაიონებში. მოყვარულ მსახიობთა მოწადინება და თეატრალური ხელოვნებისადმი სიყვარული გვარწმუნებს, რომ კვლავაც მრავალგზის აიხდება ფარდა თეატრის სცენაზე.

**ნუნუ გომართელი.**







# „ჯიბის თეატრიც“ არსებობს

ეს სახელი მეგობრებმა შეარქვეს ახალბედა რეჟისორის ლელა ჭინჭარაულის სახელოსნოში დამკვიდრებულ თეატრალურ დასს. თავდაპირველად იგი სტუდიად გაიხსნა თანამედროვე ხელოვნების გალერეაში, სახელწოდებით „ვარდისფერი დირიჟაბლი“. აქ ისწავლებოდა სახვითი ხელოვნების ისტორია, მეტყველება, პლასტიკა და მსახიობის ოსტატობა. შემდეგში ყველაფერმა ამან თეატრალური დასის ჩამოყალიბების იდეა გაუჩინა თეატრალური ინსტიტუტის მაშინდელ სტუდენტს, მომავალ რეჟისორს ლელა ჭინჭარაულს და რადგან მუზეუმის გარემო ვერ შეიზღუდავდა განუწყვეტელ რეპეტიციებს, სტუდიამ მარჯანიშვილის ქუჩაზე №30 ნომერში დაიდო ბინა ვაჟა ჭინჭარაულის ოფისში — დამეგობრდნენ ისედაც მეგობარი მამა-შვილი ჭინჭარაულები და შეუდგნენ მუზების მსახურებას.

სწორედ აქ დაიბადა ზედიზედ ორი სპექტაკლი: ო. ჰენრის „სანამ ავტომობილი იცდის“ და რიჩარდ ბახის „მიუწვდომელი არაფერია“ (ინსცენირება ნიკა რამიშვილის). ამ სპექტაკლებში გაცხადდა ლელა პირველად როგორც რეჟისორი და პირველი პროფესიული სიხარულიც აქ იგრძნო. ამ სპექტაკლებში ერთად თამაშობდნენ პროფესიონალი მსახიობები და სტუდიის ბავშვები. სწორედ ეს ერთად თამაში გახდა საკმარისი აღმაფრენისა. ბავშვები საოცარი სერიოზულობით მუშაობდნენ და მათი დატვირთვაც თანდათან იზრდებოდა.

შემდეგ აქ დაიდგა მანანა დოიაშვილის პიესა „თავფარავნელი ჭაბუკი“, რომელიც დიდი ბიძგი აღმოჩნდა „პაწაწუნა თეატრის“ (ასე ეწერა მაშინ ცარცით თეატრის კარებზე) წინსვლისათვის. მიუხედავად გაუსაძლისი ზამთრის პირობებისა, თეატრი შესაშური ენთუზიაზმით განაგრძობდა ბრძოლას გადარჩენისათვის. ლელა ჭინჭარაული შეუპოვრობით შრომობდა და უხაროდა კიდეც რწმენა რომ ემატებოდა. „თავფარავნელმა ჭაბუკმა“, მართლაც, დიდი ძალა შემატა „ჯიბის თეატრს“. მაყურებელმა აქეთ გზა ისწავლა და როცა სერიოზული განაცხადით გაჩნდა ახალი აფიშა ახალი სპექტაკლის შესახებ, ბევრმა ვერ დამალა თავისი განცვიფრება „პატარ-პატარა აფეთქების“ გამო. ეს იყო მარსელ მიტუას „აკომპანიატორი“. შეიძლება აქვე ითქვას, რომ სპექტაკლის წარმატება თავის თავზე მთლიანად აიღო თეატრალური ინსტიტუტის ახლადკურსდამთავრებულმა, მეტეხის თეატრის მსახიობმა ნინო ფილფანმა. ძალიან დაინტერესდა იგი ლელა ჭინჭარაულთან მუშაობით და საოცარი უშუალობით გადმოსცა ჩრდილში მარტოდ დარჩენილი ხელოვანის ტრაგიზმით აღსავსე ხასიათი.

სწორედ ამ სპექტაკლით დახურა თავისი პირველი სეზონი ლელა ჭინჭარაულის „ჯიბის თეატრმა“, სადაც მოიწვიეს რეჟისორი გოდერძი ჩოხელი, მსახიობი მურმან ჯინორია, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, ჟურნალისტები და ამ თეატრის გულშემატკივრები. იყო შენიშვნებიც, ოვაციებიც, საინტერესო წინადადებებიც... ასე რომ, მომავალი სეზონი ამ თეატრისთვის, ალბათ, ბევრი ლამაზი დღეებით იქნება სავსე...

მამ ასე, თეატრის მისამართია: თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №30, ტელეფონი 95-14-11: „ჯიბის თეატრი“ ელის თავის ახალ მაყურებელს.

**ქეთევან ტაბატაძე.**

**სურათებზე:** მსახიობი ნინო ფილფანი, (მარსელ მიტუას „აკომპანიატორი“); რეჟისორი ლელა ჭინჭარაული (მარცხნიდან პირველი) სტუდიის ბავშვებთან.

მომავალი

# პატარა მარიამის კარგი განაცხადი

მარიამ მაღრაძე ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ქართული სამუსიკო გიმნაზიის მეოთხე კლასის წარჩინებული მოსწავლეა ვიოლინოს განხრით, თუმცა, არანაკლებ კარგად ეუფლება ფორტეპიანოსაც. ასაკის მიუხედავად, მან უკვე გააცნო თავი მუსიკალურ საზოგადოებრიობას, შარშან ხელოვნების მუშაკთა სახლში მან პირველი სოლო კონცერტი გამართა და ყურადღება მიიქცია შესრულების ლაღი მანერით, ფერადოვანი მღერადი ბგერით, ტექნიკით.

მარიამი პირველი მსოფლიო საყმაწვილო დელფიადის მონაწილეა, სისტემატურად მონაწილეობს კლასის საჩვენებელ თუ საანგარიშო კონცერტებზე. პროფესორ ბორის ჭიაურელის მიერ შექმნილ ბავშვთა კვარტეტში იგი პირველ ვიოლინოზე უკრავდა: აი, რას ამბობს ბატონი ბორისი: მე ხშირად ვუსმენ მარიამს ღია აკადემიურ თუ სოლო კონცერტებზე, იგი თავდაჯერებული და სტაბილურია სცენაზე, არაჩვეულებრივი მუსიკალური ნიჭით, აბსოლუტური სმენით დაჯილდოებული. აქვს ანსამბლურობის კარგი შეგრძნება და სწორი ინტუიცია სხვადასხვა ეპოქისა თუ სტილის ნაწარმოებებისა, გამოირჩევა არაჩვეულებრივი მეხსიერებით. მას ყველა მონაცემი აქვს, რათა გახდეს ჩინებული მევიოლინე.

შარშან მარიამ მაღრაძემ მონაწილეობა მიიღო საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე კონკურსში, წლოვანებით ძალიან პატარა იყო და რიგგარეშე უკრავდა.

საგულისხმოა, აგრეთვე, რომ მარიამმა საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სიმფონიურ ორკესტთან ერთად შეასრულა ბახის სავიოლინო კონცერტი ლა მინორი, ხოლო როიალზე ბახის საფორტეპიანო კონცერტი ფა მინორი, ნორჩ მუსიკოსს წარმატება ხვდა წილად. დირიჟორობდა საქართველოს სახალხო არტისტი გივი აზმაიფარაშვილი. ამ ცოტა ხნის წინათ სამუსიკო გიმნაზიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მარიამ მაღრაძის მეორე სოლო კონცერტი, პროგრამაში იყო: ბახის სავიოლინო კონცერტი №1 ლა მინორი, პირველი ნაწილი, ბახის საფორტეპიანო კონცერტი №5 ფა მინორი, შარლ ბერიოს კონცერტი №9 ლა მინორი, ო. თაქთაქიშვილის სონატა დო მაჟორი მერი დავითაშვილის პოემა, ბელა ბარტოკის რუმინული ცეკვები, დვორჟაკის ბოშური სიმღერა, ბრამსის უნგრული ცეკვა №6, დაუკრა ბრწყინვალედ, ახლახან კი, თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრის სიმფონიურ მუსიკის დარბაზში გაიმართა ოთარ თაქთაქიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა დათვალიერება-კონკურსის გალა კონცერტი. მარიამ მაღრაძემ კონკურსში შეასრულა ბახის კონცერტი №1 მი მინორი, ბრამსის ცეკვა №6 სოლ-მაჟორი, გალა კონცერტზე ო. თაქთაქიშვილის სონატის პირველი ნაწილი დაუკრა და აიღო პირველი ადგილი, რისთვისაც წარდგენილია პრეზიდენტის სტიპენდიაზე. მას მხარს უჭერს ლიანა ისაკაძე: „მე მოვისმინე პატარა მევიოლინე მარიამ მაღრაძე, რომელმაც თავისი განსაკუთრებული ნიჭით გამაოცა, მას აქვს ბუნებრივი მუსიკალობა, აბსოლუტური სმენა, კარგი ტექნიკური მონაცემები, პოეტურობა და სათნოება, ვფიქრობ, მისი სახით საქართველოს შეემატება კიდევ ერთი სასახელო მუსიკოსი“. აღსანიშნავია, აგრეთვე, მარიამის საპატიო სიგელები, დიპლომები, მათ შორის საქალაქო კარნახის წერის კონკურსში გამარჯვებისათვის. მარიამ მაღრაძის პედაგოგია ნინო ხბდუშელიშვილი, იგი მარიამის დედაა და მისი კონცერტმაისტერი. დედაშვილმა მშვენიერი ანსამბლი შექმნეს. ნინო ხბდუშელიშვილი მარიამს ფორტეპიანოს ასწავლის ფოცხვერაშვილის სახელობის მე-7 სამუსიკო სკოლაში. მარიამი ვიოლინოს ხელოვნებას ეუფლება მანანა ქანთარიასთან, რომელსაც გამოვლილი აქვს პროფესორ შოთა შანიძის კლასი. იგი წლების განმავლობაში ცხოვრობდა გერმანიაში, სადაც იმაღლებდა თავის პედაგოგიურ და სავიოლინო ხელოვნებას, მონაწილეობდა მრავალ კონკურსში. მარიამ მაღრაძეს თავისი პედაგოგები განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებიან მეცადინეობის პროცესში, ისინი ერთხმად აძლევენ რეკომენდაციას პრეზიდენტის სტიპენდიის მოსაპოვებლად.



**იზა ნადირაძე,**
მუსიკისმცოდნე.

## ფოტოგამოფენა





ეს ორი ფოტოსურათი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორის მოადგილე ოთარ ზაუტაშვილის არქივიდან არის. მასზე აღბეჭდილი არიან ქართული თეატრალური ხელოვნების ღვაწლმოსილი წარმომადგენლები 50-იან წლებში. ერთი შეგვახსენებს გიორგი მდივნის პიესის „ტერეზას დაბადების დღის“ მონაწილეებს ერთ-ერთი რეპეტიციის შემდეგ. ესენი არიან: სალომე ყანჩელი (მარცხნიდან), თამარ თარხნიშვილი, გიორგი მდივანი, გიორგი საღარაძე, დიმიტრი ალექსიძე, აკაკი ხორავა, მედეა ჩახავა, ემანუილ აფხაიძე. აღსანიშნავია, რომ გიორგი მდივანი საგანგებოდ ჩამოსულა მოსკოვიდან.

მეორე ფოტოზე აღბეჭდილია ვერიკო ანჯაფარიძისა და ვასო ყუშიტაშვილის სტუმრობა რუსთაველელებთან, თეატრის ვერანდაზე მათთან ერთად სხედან ელენე საყვარელიძე, თამარ თეთრაძე, იამზე ტყავაძე, ლამზირა ჩხეიძე, ჯემალ ღაღანიძე და ოთარ ზაუტაშვილი.

## მუსიკალური სალონი

# ხანგრძლივი პაუზის შემდეგ

ამას წინათ სამეფო უბნის თეატრმა მომღერალ მანანა მენაბდეს უმასპინძლა. მოწვეული სტუმრები უდავოდ მრავალფეროვანი და სასიამოვნო საღამოს მოწმენი გახდნენ, რაც თავად მომღერლის არაერთგვაროვანმა, ორიგინალურმა საშემსრულებლო სტილმა და მანერამ განაპირობა.

კონცერტში წარმოდგენილი მდიდარი რეპერტუარი, როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე, მომღერალმა საკუთარი ლექსებითა და იგავ-არაკებით გაახატოვნა.

მანანა მენაბდე უკვე 10 წელიწედია გერმანიაში ცხოვრობს და მოღვაწეობს, მაგრამ როგორც თავად აღნიშნა, ის საოცარი განცდა, რასაც მშობლიური მიწის მონატრება ჰქვია, წუთით არ ტოვებს მას. ამ განცდით შექმნილმა პოემებმა ავტორის სულიერი სამყარო, ხილვა და მრწამსი მსმენელისათვის ხილული გახადა.

ქალბატონმა მანანამ რამდენიმე მუსიკალური ნომერი დასთან, თინათინთან და ძმისშვილთან – ოტოსთან ერთად შეასრულა, დაპირებული სიურპრიზი კი ვიდეომასალის სახით შემოგვთავაზა, წარმოდგენილი იყო საფრანგეთში გადაღებული ათწუთიანი ფილმი ოტოს მონაწილეობით და ნაწყვეტი ფილმიდან „არსენა“, რომელშიც მომღერალი არსენას დედის როლს ასრულებს.

საღამოზე მანანა მენაბდემ ჩვეული ოსტატობით წარმოაჩინა ორიგინალურად გააზრებული სიმღერები დები იმხნელების რეპერტუარიდან, გაიჟღერა ბესიკის ლექსებზე ჯაზურ სტილში შექმნილმა კომპოზიციებმა.

მანანა მენაბდე საზღვარგარეთ ქართული სიმღერის პოპულარიზაციას ეწევა. უცხოელ მსმენელს მხოლოდ ქართულ რეპერტუარს სთავაზობს. უცხო ქვეყანაში კი მოგეხსენებათ, ძნელია ეროვნული კულტურა აუდიტორიისათვის ადვილად აღსაქმელი გახადო. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საესტრადო სიმღერას საზღვარგარეთ მსმენელი მაინცდამაინც არ ჰყავს, მანანა მენაბდემ შეძლო ქართული მუსიკა არა მარტო მიეტანა უცხოელ მსმენელამდე, არამედ შეეყვარებინა კიდეც... აი, რას ამბობს მომღერალი:

– უცხოელმა მსმენელმა, ისევე მიიღო ქართული სიმღერა, როგორც თქვენ, თუმცა გარკვეული მეტ-ნაკლებობა შეინიშნება. მე მყავდა ფანების ერთი ჯგუფი 20-მდე კაცი, რომელიც ყველგან დამყვებოდა. ყოველთვის მიკვირდა, როგორ ახერხებდნენ სტუდენტი გოგო-ბიჭები ამას, რა სახსრებით. გერმანიაში მართალია, სხვაგვარი მასშტაბია და არც ასეთი ფანები მყავს, მაგრამ, ვფიქრობ, ხალხმა მიიღო და გაითავისა ჩემი სიმღერა.

მანანა მენაბდის შემოქმედება უღიარებია ჯაზის ცნობილ გერმანელ კრიტიკოსს ბერტ ნოგლიკს. ლაიფციგში გამართული ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ (რომელშიც ქალბატონ მანანასთან ერთად მონაწილეობდნენ ზაზა მიმინოშვილი და ზურა გაგნიძე) მას შთამბეჭდავი სტატია დაუწერია, რომელშიც ხაზგასმით აღინიშნა მომღერლის შემოქმედებაში ფოლკლორისა და ჯაზის საოცარი შეთავსება და ეროვნულ ტრადიციებში წვდომის უნარი.

რაოდენ გაუგებარიც უნდა იყოს ქართველი „კონსერვატორებისათვის“ ფოლკლორში ჯაზური ელემენტების შეტანა, მანანა მენაბდის შემოქმედება სწორედ ამ ორი ფენომენის შერწყმაზეა აღმოცენებული.

– აქ შეუთავსებელი არაფერია, – აღნიშნავს მომღერალი, – ჯაზი იგივე ფილოსოფიაა. მთავარია ეროვნულ ფესვებზე დაყრდნობა, ბგერათა თანწყობა, რომ ლექსის ხალიჩა არ გაგექცეს. უნდა იპოვო შენი სათქმელი და მასზე დააყრდნო თანამედროვე მუსიკა. სიმღერაში წვდომისთვის აუცილებლად უნდა დაეუფლო კილოებს, უნდა იცოდე, მაგალითად, კახური სიმღერის რამდენი ვარიანტი არსებობს, ისწავლო, რას ამბობს პირველი ხმა, მეორე, მესამე, ბანი და მხოლოდ სიმღერის ასეთი შესწავლის შემდეგ, შეიძლება შექმნა ღირებული და კარგი კომპოზიცია.

თუ მხატვარმა არ იცის, როგორ ააგოს სხეული სწორად, რა განზომილებაში, ის ფორმას ვერასოდეს მოძებნის. ასეა მუსიკაშიც, მელოდიის ასაგებად უნდა გააცნობიერო, როგორ შეათავსო რიტმი, მონახაზი და მუსიკალური ბგერა. და თუ ეს იცი, ყველანაირი ჯაზური კომპოზიციის შექმნა შეგიძლია.

ასე რომ, სრულიად გამართლებულად მიმაჩნია ამ სახით ქართულ ფოლკლორში ჯაზური აზროვნების ელემენტების შეტანა.

მანანა მენაბდე მომავალ წლამდე დაემშვიდობა ქართველ მსმენელს. მომავალში იგი აპირებს განახლებული პროგრამით წარსდგეს ქართველი თაყვანისმცემლების წინაშე, მანამდე კი ორ ახალ ალბომს გვთავაზობს სახელწოდებით „იმედის გვირილა“.

**შორენა თავაძე,**
**ანა ჯანიკაშვილი.**

## თაობა

# მაყურებელი არ მოჰკლებიათ

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრმა დახურა თავისი 25-ე საიუბილეო სეზონი. დიდი ქართველი რეჟისორისა და პედაგოგის მიხეილ თუმანიშვილის მიერ რუდუნებით დაარსებულმა თეატრმა საერთაშორისო ასპარეზზე მიღწეული წარმატებებით არაერთხელ გაახარა ქართველი მაყურებელი. უპირველეს ყოვლისა კი, თეატრი ამაყობს, საკუთარ კედლებში – საყვარელი მაყურებლისაგან მიღებული აპლოდისმენტებით.

რაოდენ გასახარია, რომ მოსახლეობის უსახსრობის მიუხედავად, თეატრს არ მოჰკლებია მაყურებელი.

ამის უმთავრესი მიზეზი კი ის არის, რომ თეატრს ყოველთვის კარგად ესმოდა და დღესაც ახსოვს მისი დამაარსებლის, ბატონ მიშას მოწოდება – „არ დაკმაყოფილდეთ მიღწეულით, ყოველთვის ეცადეთ ახალ-ახალი რეალური მიზნების დასახვასა და ცხოვრებაში განხორციელებას, თეატრი ჰგავს ოჯახს, რომელიც ყოველდღიურ მოვლასა და მზრუნველობას მოითხოვს, მაყურებელს უნდა გულში სწვდებოდეს ის, რასაც შენ მას სცენიდანეუბნები“.

როგორც თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგემ მანანა ანთაძემ ჩემთან საუბარში აღნიშნა – თავს ბედნიერად თვლის თეატრში ბატონ მიშასთან გატარებული ნაყოფიერი შემოქმედებითი წლებით. უდიდესი ენერგიისა და ნიჭიერების, თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული პიროვნების გვერდით მოღვაწეობამ ბევრი რამ სასიკეთო შეგვძინაო ახალგაზრდებს, – ბრძანა ქალბატონმა მანანამ.

თეატრს ყოველთვის ესმოდა ერის მაჯისცემა. ძნელბედობის ჟამს, იმ დროს, როცა ხალხში უიმედობამ იჩინა თავი – თეატრმა მაყურებელი შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმრის“ საყურებლად მიიწვია.

დღეს, როცა ჩვენში, ზოგიერთი თეატრის სცენაზე თავი იჩინა წმინდად კომერციულმა სპექტაკლებმა, თუმანიშვილის სახელობის თეატრი არ ღალატობს ჭეშმარიტი ხელოვნების საფუძვლებს.

გასაგებია, დღეს უფულოდ ვერაფერს იზამ, მაგრამ არ შეიძლება სულიერება შეეწიროს მატერიალურობას. გადაილალა ხალხი ქუჩაში მოსმენილი უხამსი სიტყვებით და თუ სცენაზეც იგივეს მოისმენს, – მაშინ რომელ სუფთა, გამართულ ქართულ მეტყველებასა და ჯანსაღ აზროვნებაზეა საუბარი?

რას ისწავლიან შვილები ჩვენგან?

საგულისხმოა, რომ ჩვენი საერთო მორალური კრიზისის დროს, თეატრი სცენაზე დასადგმელად ირჩევს ფსიქოლოგიურ დრამას – „კილი და დე“, რომელიც ჯერ არ დაბადებული არსების სიცოცხლის სიწმინდესა და თაობათა შორის ურთიერთობის აუცილებლობაზე ამახვილებს მაყურებლის ყურადღებას. ცნობილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის მოთხრობების მიხედვით – სპეციალურად თეატრის 25-ე საიუბილეო წელთან დაკავშირებით თეატრის მთავარი რეჟისორის ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის მიერ დადგმულმა სპექტაკლმა – „ნუ მიგვატოვებ, მზეო“ მაყურებელი კიდევ ერთხელ აავსო უდიდესი შინაგანი კმაყოფილებით, ნოდარ დუმბაძე ხომ სწორედ ის შემოქმედია, რომლის სევდანარევი იუმორი მალამოსავით სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

სპექტაკლმა, რომელსაც საკადრისად გამოეხმაურა თეატრალური კრიტიკა, თითოეულ ჩვენგანს შეახსენა სახარებისეული იგავი, – სამარიტელ კეთილ კაცზე, – რომელიც მოგვიწოდებს უფლის შეგონებით, სანამ დრო გვაქვს, სიკეთე მოვიმოქმედოთ მოყვასის მიმართ და რომ სიყვარული დღეს ისეთივე აუცილებელია ჩვენთვის, ჩვენი გადარჩენისთვის, როგორც წყალი, მზე და ჰაერი.

უპირველეს ყოვლისა კი, თეატრი დაინტერესებულია პრობლემებით გადაღლილ დროში ანუგეშოს თავისი მაყურებელი, მოუწოდოს სიყვარულისა და სიკეთისაკენ.

თეატრის შესასვლელში აღმართული მიხეილ თუმანიშვილის ძეგლი, რომელიც თითქოსდა სიმბოლურად სიყვარულით იწვევს მაყურებელს თეატრის კედლებში, დასტურია იმისა, რომ თეატრი მოხარულია მიიღოს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია თეატრალური სამყარო.

**მამუკა ფილიშვილი.**

სარედაქციო კოლეგია:
**გურამ გოგიაშვილი, ნანა ღვინეფაძე (რედაქტორი), რუსუდან მუხიგულაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ზურაბ ოიკაშვილი.**

№189. შაბათი, 15 ივლისი, 2000 წელი.

# ჩინეთი უკმაყოფილოა გარიგების გაუქმების გამო



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ აშშ ჩაერია მორიგებაში, რომლის თანახმადაც ისრაელს ჩინეთისათვის უნდა მიეყიდა 250 მილიონი დოლარის ადრეული გაფრთხილების საავიაციო რადარული სისტემა.

– არც ერთ ქვეყანას არა აქვს უფლება, ერეოდეს ჩინეთისა და სხვა სახელმწიფოების ორმხრივ ურთიერთობაში, – განუცხადა ხუთშაბათს ჟურნალისტებს ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ჟუ ბანძაომ. – სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის ფუძემდებელი პრინციპია მიღწეულ შეთანხმებათა შესრულება.

ისრაელის ხელისუფალთა მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ გარიგების გაუქმების შესახებ ოთხშაბათს გაიჟღერა ამერიკა-პალესტინა-ისრაელის სამმხრივ კემპ-დევიდის შეხვედრაზე.

აქამდე აშშ მთავრობამ რამდენჯერმე მკაცრად დაგმო გარიგება, ასე რომ, ისრაელის ბოლო გადაწყვეტილება, მთელ რიგ მეთვალყურეთა აზრით, მიღებულია ამერიკელთა ზეწოლით, რომლებსაც სურთ, განიმტკიცონ პოზიციები ახლო აღმოსავლეთისადმი მიძღვნილ მოლაპარაკებაზე.

ამერიკის შეიარაღების დარგის სპეციალისტებს წინათაც არაერთგზის განუცხადებიათ, რომ **Phalcon-Awacs** სისტემა ხელს შეუწყობს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების თვალთვალს ჩინეთსა და ტაივანს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში. აშშ კონგრესის ლიდერები დაემუქრნენ ისრაელს, რომ მკვეთრად შეუმცირებენ საფინანსო დახმარებას იმ შემთხვევაში, თუ მორიგება განხორციელდა.

აშშ თავდაცვის მინისტრს უილიამ კოენს, რომელიც ოთხდღიან ვიზიტად იმყოფება პეკინში, მოუხდა, პირადად მოესმინა ჩინეთის მხარის უკმაყოფილება სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარესთან ძიან ძემინთან შეხვედრისას.

**„Awacs“** სისტემა რუსეთის **ილ-76** თვითმფრინავებზე უნდა განელაგებინათ. **Phalcon**-ი საშუალებას იძლევა, ერთდროულად აღმოაჩინონ ავიალაინერში განლაგებული საკომანდო პუნქტიდან და დააზიანონ დიდი რაოდენობის თვითმფრინავები და სხვა სამიზნეები. პენტაგონის წარმომადგენელთა თქმით, ნებისმიერი კონფლიქტის შემთხვევაში, სისტემამ შეიძლება მკვეთრად შეცვალოს ჩინეთის სასარგებლოდ რეგიონში დამკვიდრებული ძალების ბალანსი.

გარდა ამისა, გამოითქვა შემფოთება, რომ ეს მოწყობილობა დაეხმარება ჩინეთის არმიას, საფრთხე შეუქმნას ამერიკის ხომალდებს იმ შემთხვევაში თუ ვაშინგტონი გადაწყვეტს, სამხედრო დახმარება გაუწიოს ტაიბეის.

გამოაცხადა რა ისრაელის გადაწყვეტილება გარიგების გაუქმების შესახებ თელ-ავივის წარმომადგენელმა გადი ბალტიანსკიმ აღიარა, რომ მისი განხილვის დროს „მხედველობაში იქნა მიღებული ამერიკის საწინააღმდეგო მოსაზრებანი“, – წერს დასასრულ იან ლედერი, ბი-ბი-სის მიმომხილველი.

**სურათზე: რუსული წარმოების ილ-76. ჩინეთს სწორედ ასეთ თვითმფრინავებზე უნდა განელაგებინა ადრეული გაფრთხილების სისტემები.**

# იაპონელებმა ქოლესტერინი დაამარცხეს



**რევოლუციური აღმოჩენა მოახდინეს მედიცინაში იაპონელმა მეცნიერებმა. მათ შეძლეს ეპოვათ მოლეკულა, რომელიც მთლიანად გადაწყვეტს ადამიანის ორგანიზმში ქოლესტერინის მაღალი დონის პრობლემას. გარდა ამისა, JTT-705 მოლეკულა აღკვეთს ღვიძლისა და თირკმლის დაავადებებს, აგრეთვე, ასწავლის ორგანიზმს დაკარგული ქსოვილების აღდგენას.**

როგორც ბრიტანული ჟურნალი „Nature“ იუწყება, იაპონელ მეცნიერთა მიერ აღმოჩენილ მოლეკულას შეუძლია არა მარტო დაიცვას არტერიები ქოლესტერინის მაღალი დონის შედეგებისაგან, არამედ, აგრეთვე, გაანადგუროს კიდეც უკვე არსებული დანაშრევები. ადამიანის ორგანიზმში ქოლესტერინის მომატებას შედეგად მოსდევს სისხლძარღვებისა და არტერიების ჩახერგვა. ეს ხდება არტერიების კედლებზე ცხიმოვანი მასების დაშრევების მიზეზით და მისი შედეგია ისეთი მძიმე დაავადებანი, როგორიც არის ათეროსკლეროზი. აქამდე არსებობდა ქოლესტერინთან ბრძოლის მხოლოდ ერთი მეთოდი – სპეციალური დიეტა. მაგრამ ვერც ის იყო საკმარისი. სწორედ ამიტომ, იაპონელ მეცნიერთა აღმოჩენას მედიკოსები სენსაციად მიიჩნევენ. ეს მოლეკულა – თავისებური შრატი ქოლესტერინის მომეტებული დონის წინააღმდეგ – პლაზმისაგან გამოიმუშავებს პროტეინის უჯრედებს. ხოლო ამ პროტეინის ერთ-ერთ კომპონენტს აქვს უნარი, მთლიანად გაანადგუროს არტერიების კედლებზე დალექილი ცხიმგროვებები. მეცნიერებმა უკვე მოსინჯეს ახალი პრეპარატი კურდღლებზე, და შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იაპონელი სწავლულები დარწმუნებული არიან, რომ **JTT-705** ხელს შეუწყობს ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზებას და ზოგიერთი დაავადების თავიდან აცილებას. ამჟამად მკვლევარებს სურთ, დაადგინონ შეძლებს, თუ ვერა ახალი მოლეკულა, აღადგინოს ადამიანის სხვადასხვა ორგანოების დაზიანებული ქსოვილები. პროექტის ერთ-ერთი მონაწილის აზრით, ორგანიზმს აქვს თვითაღდგენის უნარი. საჭიროა მხოლოდ „მათრახი გადაჰკრა“, – წერს ანეტა სოკოლნიკოვა „გაზეტა. რუ“-ს გუშინდელ ნომერში.

# ბალკანეთი: მეწისმეწად ცხელი ზაფხული

**ბერძენი მეხანძრეები ებრძვიან ტყის ხანძრებს, რომელთა რაოდენობამ უკვე ასს გადააჭარბა; ცეცხლი ლაღად გრძნობს თავს ძლიერი ქარისა და მაღალი ტემპერატურის წყალობით, რომელიც სამხრეთ ევროპის მთელ ტერიტორიაზე დამყარდა.**

პელოპონესის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სამი სოფლის მცხოვრებნი უკვე გახიზნეს; ერთ-ერთი ხანძარი ვერ დაიმორჩილეს უძველესი ქალაქის კორინთოს ხელისუფლება, თუმცა, მათი თქმით, განთქმულ ნანგრევებს თითქმის არაფერი ემუქრება.



ტყის ხანძრების მეორე კერა – სამოსის კუნძულზე – ლოკალიზებულია, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მთელი ტყეების დაახლოებით 20 პროცენტი გაანადგურა.

რამდენიმე ათეული ტყის ხანძრის შესახებ იუწყებიან ბულგარეთიდანაც, რომლის ხელისუფალნი კვლავ იძულებული გახდნენ გამოეცხადებინათ საგანგებო წესები.

ამ ბოლო დღეებში ცეცხლმა შთანთქა სახლები და ჭირნახული სამხრეთ საფრანგეთში, იტალიაში, ხორვატიაში, სერბეთში, მაკედონიაში, კოსოვოსა და რუმინეთში.

მეზობელ თურქეთში კი ამასობაში უკვე დაიღუპა 18 კაცი: ტემპერატურა აქ ცელსიუსის 46 გრადუსს აღწევს. სულ კი რეგიონში პაპანაქებამ რამდენიმე ათეული კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა.

თურქეთის მთავრობამ ყველა თავისი მოსამსახურე ორკვირიან შვებულებაში გაუშვა, რათა სიცხეს დამალვოდნენ. მანისის პროვინციაში, ქვეყნის დასავლეთში ევაკუირებულია სამი სოფლის მოსახლეობა. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით ტყის ხანძრებმა ძალზე შეაწუხეს მანაკალის პროვინციის მცხოვრები.

ქალაქ ესკიკეხირის მახლობლად, ქვეყნის დასავლეთში, ლიანდაგს ასცდა რკინიგზის შემადგენლობა. დაშავდა 15-მდე კაცი. ადგილობრივ ხელისუფალთა თქმით, ესეც სიცხის ბრალია, ვინაიდან მზეზე გავარვარებული ლიანდაგი იღუნება ვაგონების სიმძიმის ქვეშ.

თურქეთის ზოგიერთ გზაზე აიკრძალა მძიმე სატვირთო ავტომობილების გავლა: არის საფრთხე, რომ ისინი თავიანთი საბურავებით დააზიანებენ დარბილებულ ასფალტს.

საბერძნეთში ასობით მეხანძრეა მობილიზებული ცეცხლთან საბრძოლველად. ხოლო ტურისტები ამასობაში ტოვებენ სამოსის კუნძულს. ამ და მეზობელი ბერძნული პროვინციების ხელისუფლებმა საგანგებო წესები გამოაცხადეს. მართალია, მათი თქმით, კუნძულზე დარჩენილ ტურისტებს არ ემუქრება საფრთხე, მაგრამ ჰაერი აქ ისეა გაჯერებული კვამლითა და ფერფლით, რომ სუნთქვა ჭირს.

ამ კვირის დამლევს ჰოლანდიის მთავრობამ წამოაყენა სპეციალური გეგმა რეგიონიდან თავისი მოქალაქეების გამოსაყვანად. მაგრამ ათას ხუთასამდე ბრიტანელი და ზოგიერთი გერმანელი ტურისტი ჯერჯერობით ამჯობინებს ადგილზე დარჩეს. სულ საბერძნეთში უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე აღირიცხა ტყის ხანძრების 150-მდე კერა. როგორც ბი-ბი-სის ათენელი კორესპონდენტი იუწყება, ცეცხლით გამოწვეული ზარალი უზარმაზარია. მაგრამ ხელისუფალნი არარად აგდებენ ამ ზარალს, რადგან პრაქტიკულად არავინ დაღუპულა, და ეს არის მთავარი. ქვეყნის მთავრობის



მისამართით გაისმის კრიტიკა: მას ბრალად სდებენ უნიათობას. ხოლო ხელისუფალნი ყველაფერს სიცხეს და იმ კომპანიების მოქმედებას აბრალებენ, რომლებიც ცეცხლის წაკიდების გზით ითავისუფლებენ ადგილს ახალი მშენებლობისათვის.

**სურათებზე: გიგანტური ცეცხლის ენები დომოკოსში, ათენის ჩრდილო-დასავლეთით; თურქეთის ხელისუფალნი ამტკიცებენ, რომ ეს სიცხის გამო მოხდა.**



# ფრანგებმა მატა ჰარის თავი დაჰკარგეს

**პარიზის ანატომიის მუზეუმში საგანგებო შემთხვევაა, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. ფორმალინიან ქილებში ჩაწყობილი ადამიანის თავების უნიკალური კოლექციიდან გაქრა სამუზეუმო სიამაყე – განთქმული მატა ჰარის თავი. როგორც ჩანს, ეს ერთი თვის წინათ მოხდა. მაგრამ დანაკარგი აღმოაჩინეს მხოლოდ ახლა, როდესაც საფრანგეთის მთავრობამ უეცრად გადაწყვიტა, დახუროს მუზეუმი.**

მუმიფიცირებული თავების სამუზეუმო კოლექციაში ასზე მეტი ექსპონატია. ძირითადად, ეს არის ცნობილი დამნაშავეების თავები, რომლებიც დახვრიტეს, ჩამოახრჩვეს ან გილიოტინაზე „დაასეკვესტრეს“ მე-19 საუკუნის დამლევსა და ახლანდელი ასწლეულის დამდეგს. მაგრამ კოლექციის „ვარსკვლავი“ უდავოდ იყო განთქმული ჯაშუშის მატა ჰარის თავი. მისი ნამდვილი სახელია მარგარიტა ზელე. იგი ჰოლანდიაში დაიბადა 1876 წელს და თავისი ფსევდონიმი აიღო მალაიზიური ენიდან, რომელშიც მატა ჰარი „ახალი ცისკრის თვალისჩინს“ ნიშნავს. პროფესიონალი მოცეკვავე, რომელიც ინდურ და იაპონურ ცეკვებზე იყო დასპეციალებული, მატა ჰარი, თავის დროის ულამაზეს ქალად ითვლებოდა. მაგრამ საქვეყნოდ სახელი გაიგდო იმ ნიჭის მეოხებით, რომლითაც მოჯადოებულ მამაკაცებს სახელმწიფო საიდუმლოებებს სცინცლავდა, მერე კი სხვათა საიდუმლოებებს გულუხვად უზიარებდა მრავალი ქვეყნის დაზვერვებს.

მატა ჰარი 41 წლის იყო, როდესაც საფრანგეთის ხელისუფლებმა დახვრეტა მიუსაჯეს როგორც გერმანიის ჯაშუშს. სიკვდილით დასჯის შემდეგ სხეულს თავი მოჰკვეთეს და ანატომიის მუზეუმში წაიღეს. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, მატა ჰარი კვლავინდებურად ნუსხავდა მამაკაცებს. მუზეუმის თანამშრომელთა თქმით, ბევრი მედიკოსი სტუდენტი საათობით მისჩერებოდა ქილათმიანი მშვენიერის თავს და თვალი ვერ მოეწყვიტა მისთვის. ხოლო 1918 წელს მატა ჰარის თავმა პოპულარობის ყველა რეკორდს გადააჭარბა. თუმცა, ფორმალინში გატარებულმა წლებმა ერთგვარი დაღი დაასვეს მოცეკვავის სილამაზეს, სავსებით შესაძლებელია, რომ ქილა ჯაშუში ქალის მორიგმა თაყვანისმცემელმა მოიპარა. მაგრამ მუზეუმის თანამშრომელთა თქმით, ახლა უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, სახელდობრ, ვინ ჩაიდინა ქურდობა. თუ მუზეუმს დახურავენ, უნიკალური კოლექცია, ასე იქნება თუ ისე, გაქრება.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, ლევან ბოჭორიშვილი.

ს/ს „ტრანსუერის“ ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე დაინტერესებულმა პირებმა გთხოვთ მოგვმართოთ ამა წლის 30 ივლისამდე. ქ. თბილისი, ახელედიანის II ჩიხი №10, ტელ: 30-17-86; 92-09-07. ადმინისტრაცია.

## ცხოვრების ჯანსაღი წესი



# ესეც – სამი

ბედნიერი ბავშვობა სხვა რაღაა, თუ არა ზაფხულის თაკარა მზისგან გარიდება და თანატოლებთან ერთად დაუვიწყარი დღეების გატარება.

გუშინ თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს თავკაცებმა მორიგი საჩუქრით გაახარეს მოზარდები – ბავშვთა სპორტული ბანაკი ისნის რაიონში გაიხსნა, რომელიც სამგორისა და გლდანის (საგურამო) შემდეგ უკვე მესამეა, მალე კი დედაქალაქის ათივე რაიონს გაახალისებს. დაგვეთანხმებით, მოძრავ თამაშებში, მინი-ფეხბურთსა და მხიარულ სტარტებში ჩართული ნორჩები მოსაწყენად ვერ მოიცლიან.

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**



## ჩოგბურთი

# პროფესიონალები თბილისის კორტებზე

ლეილა მესხის სახელობის ჩოგბურთის აკადემიის ჩინებული კორტები მეშვიდე დღეა მასპინძლობს პროფესიონალ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირს „ჯეოსელის“ თასზე“, რომელიც პირველად ეწყობა საქართველოს დედაქალაქში. ასპარეზობენ მექსიკის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, ბულგარეთის, რუმინეთის, რუსეთის, უკრაინისა და სხვა ქვეყნების უძლიერესი ჩოგნის ოსტატები. საპრიზო ფონდი 30 ათას დოლარს შეადგენს.

საკვალიფიკაციო ტურნირში 20 ქართველი ჩოგბურთელი ჩაება, რომელთა მთავარ ამოცანას 32 უძლიერესს შორის გასვლა წარმოადგენდა, სადაც საპრიზო ფონდი გაცილებით მაღალი იყო. ახლა გაგაცნობთ საკვალიფიკაციო ტურნირის შედეგებს ჩოგნის ქართველი ოსტატების მონაწილეობით: ზვიად ცერცვაძე-პაველ ლობანოვი (რუსეთი) – 6:7, 3:6, გიორგი დიქტოპულო (ბათუმი) – ოთარ ენუქიძე – 2:6; 2:6 (ამ უკანასკნელმა პირველ წრეში ტურნირი დაატოვებინა გიორგი ნაჭყებიას – 6:2, 6:4), გიორგი მარგიშეილი-ლაშა ჯანაშია – 7:5, 6:0, დევი ენუქიძე-გივი გიორგაძე – 6:1, 6:3, მიხეილ ჩადუნელი-ტიგრან მარტიროსიანი – 6:7, 6:2,2:6, თემურ ლომთათიძე (რუსეთი) – დეიან გრეხემი (დიდი ბრიტანეთი) – 7;5, 5:7, 6:4. ზედიზედ 3 მეტოქე ჩამოიცილა თბილისელმა გიორგი რევაზიშვილმა. თავდაპირველად მან 7:6, 7:5 ამერიკელ კრისტოფ ლაის დააყრევინა ფარხმალი. მეორე საკვალიფიკაციო ტურში ჩვენმა ჩოგბურთელმა საათნახევარი მოანდომა (6:3, 4:6, 6:2) იტალიელი მანფრედ მარგიჩის დამარცხებას. წარმატებამ ფრთები შეასხა ქართველ სპორტსმენს, რომელმაც 2:1 სძლია გერმანელ ვოლფ კიმერლინგს და ძირითად ბადეში აღმოჩნდა.

მეუპოვარი საკვალიფიკაციო მატჩების შემდეგ 32 უძლიერესს შორის, რამდენიმე მასპინძელმა გაიკაფა გზა, მაგრამ მათ ღირსეული მეტოქეობა ვერ გაუწიეს აღიარებულ ფავორიტებს. ირაკლი უშანგიშვილმა 1:6, 4:6 დათმო რუს არტემ დერებასკოსთან, ზემოთ აღნიშნული გიორგი რევაზიშვილი, რომელმაც დიდი, ენერგიაშმოანდომა ძირითად ბადეში გასვლას, 3:6, 2:6 დამარცხდა მოლდაველ ევგენი პლუგაროვთან. თბილისელმა კონსტანტინე ბურჭულაძემ 3:6, 2:6 წააგო გერმანელ სებასტიან ფიტცთან, ხოლო ჩვენმა მოსკოველმა თანამემამულემ თემურ ბენიაშვილმა 0:6, 2:6 დათმო პაექრობა უზბეკ ჩოგბურთელ აბდურახმან მაკხინოვთან. როგორც ხედავთ, ძირითად „ბადეში“ არც ერთი ქართველი აღარ იმყოფება და მთავარი პრიზებისათვის უცხოელი ჩოგბურთელები იბრძოლებენ. ვაჟთა წყვილების თანრიგის სასტარტო შეხვედრა დათმო ელადიმერ გაბრიჩიძე-დათო კაჭარავას დუეტმა, რომლებიც ევგენი სმირნოვ-სერგეი კრატიუკს (რუსეთი) ხვდებოდნენ.

**შოთა ბოკერია**

## კონტაქტები

# ქართველი სპორტის მოღვაწენი აზერბაიჯანში

ქართველ და აზერბაიჯანელ ხალხებს მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან. ეს ურთიერთობები დღითი დღე მტკიცდება, რომელშიც საკუთარი წვლილი სპორტსმენებსაც შეაქვთ. ამ მიმართულებით კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდგა – თბილისის მერიის სპორტის სამმართველომ და ბაქოს ახალგაზრდობისა და სპორტის სამმართველომ ახალი კონტაქტები დაამყარეს. ბაქოში თბილისის მერიის სრულუფლებიანი წარმომადგენლის თეიმურაზ ქერიმოვის მიწვევით აზერბაიჯანის დედაქალაქში ოთხ დღეს იმყოფებოდნენ თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილე მარინე თარხნიშვილი და ამავე სამმართველოსთან არსებული ტანვარჯიშული სახეობების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორი როზა ბერიკაშვილი. მათ აზერბაიჯანელ კოლეგებთან ერთად ხელი მოაწერეს ერთობლივ ხელშეკრულებას, რომელიც დელეგაციების გაცვლა-გამოცვლას, სპორტული ღონისძიებებისა და კონფერენციების გამართვას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას ითვალისწინებს.

– მადლობელი ვართ თბილისის მერიისა, რომელმაც ბაქოელ კოლეგებთან კონტაქტების გასაღრმავებლად აქტიური დახმარება გაგვიწია, – მითხრა მარინე თარხნიშვილმა, – დიდი გულისხმიერება და ყურადღება გამოიჩინა ჩვენდამი ბატონმა თეიმურაზ ქერიმოვმაც. მან შეგვახვედრა აზერბაიჯანის დედაქალაქის მერიისა და სპორტის სამმართველოს ხელმძღვანელობას, გაგვაცნო იქაური ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტსკოლის დირექტორ არიფ კაფაროვს, რომელმაც ჩვენი სკოლის 2 მწვრთნელი და 10 ტანმოვარჯიშე საკუთარი სახსრებით დაბა ნაბრანის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებაზე მიიწვია.

ორი მოძმე ქვეყნის დედაქალაქების სპორტულ ორგანიზაციათა ახლო კონტაქტები კიდევ უფრო განამტკიცებს ქართველებისა და აზერბაიჯანელების ურთიერთობას.

**ლექსო ცინცაძე.**

**სურათზე: მარცხნიდან – ბაქოში თბილისის მერიის სრულუფლებიანი წარმომადგენელი თეიმურაზ ქერიმოვი, ტანვარჯიშულ სახეობათა სპორტსკოლის დირექტორი როზა ბერიკაშვილი, თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსის მოადგილე მარინე თარხნიშვილი და ხაჩმაზის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე შაჰინ ყურბანოვი დაბა ნაბრანის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის შესასვლელთან.**



## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## ფიცარნაგზე ვუხმობთ ავტორს II ნაწილი

გაგრძელებთ ვარჯიშების სერიას საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტიზმის სექციის მასწავლებლის ნიკოლოზ სარალიძის შესრულებით.

როგორც მკითხველისთვის ცნობილია, იგი ტრენაჟორ „ძალა-2000“-ის ავტორია და თვითონვე გვაძლევს ამ ინსტრუმენტთან მუშაობის მაგალითს. უნდა აღინიშნოს, რომ იგივე ვარჯიშები შეიძლება შესრულდეს მხოლოდ შტანგით. ამით ჩვენ მხოლოდ მოძრაობის სწორხაზოვნების სიზუსტეს დავკარგავთ.

შტანგის ამოწევა ხელების ბოლომდე მოხრით, ვიწრო ჭიდით (სურ 1,2). შტანგის საწყისი სიმაღლე დაფიქსირებულია სპეციალური სარჭებით. ათლეტი ეწევა შტანგას ტანთან ახლოს ნიკაპთან შეხებამდე. ვარჯიში ავითარებს ტრაპეციისებრ და მხრის დელტისებრ კუნთებს. ვარჯიშს ეთმობა 4-6 მისვლა 8-8 გამეორებით.

**შტანგის ამოწევა ხელების ოდნავ მოხრით, საშუალო ჭიდით (სურ 3,4).** ღერძის საწყისი სიმაღლე ფიქსირებულია. წონას ვეწევით ტრაპეციისებრი კუნთების ძალით, ბოლო ეტაპზე ვახმართ ხელებს. მუშაობს კუნთების იგივე ჯგუფი, რაც პირველ შემთხვევაში, ოღონდ იზრდება სავარჯიშო წონები. სრულდება 6 მისვლა 8-8 გამოერებით.

**ზურაბ ჟავჟანიძე.**

**ნაზი გოგიშვილის ფოტო.**









## ჭოველი მხრიდან

### აგასი – ავარიაში

სახელგანთქმული ამერიკელი ჩოგბურთელი ანდრე აგასი უიმბლდონის ტურნირიდან სამშობლოში დაბრუნებისას საავტომობილო ავარიაში მოხვდა და ზურგი დაიზიანა.

ლას-ვეგასში აეროპორტიდან შინ მიმავალი ჩოგბურთელის მანქანას უკანიდან სხვა ავტომანქანა შეასკდა. დევისის თასზე ამერიკის ნაკრების ოფიციალური ექიმის ჯორჯ ფარიდის განცხადებით, მსოფლიო საჩოგბურთო ელიტის ერთ-ერთ ლიდერს მხარს ზევით არ შეუძლია მარჯვენა ხელის აწევა, რადგან ტკივილები აწუხებს და სწორედ ამიტომ, ალბათ, მონაწილეობას ვერ მიიღებს დევისის თასის ნახევარფინალურ მატჩში ესპანელების წინააღმდეგ, რომელიც 21-23 ივლისს უნდა გაიმართოს სინტანდერში.

მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა ამერიკული ნაკრების კაპიტანი ჯონ მაკინროი. მან სასწრაფოდ უნდა გამოძებნოს შესაფერი შემცვლელი, რადგან საეჭვოა, რომ პიტ სამპრასმაც შეძლოს ამ მატჩში მონაწილეობა.

### მეხუთე ოლიმპიადას უმიზნებს

ექვსი ოლიმპიური მედლის მფლობელი, 38 წლის ამერიკელი მძლეოსანი ქალი ჯეკი ჯოინერ-კერსი ჩაება საკრამენტოში დაწყებულ აშშ ჩემპიონატში, რომელმაც უნდა დაასახელოს სიდნეის ოლიმპიადაში მონაწილე მძლეოსნები. ვეტერანი სპორტსმენი იასპარეზებს სიგრძეზე ხტომაში.

იგი თავის მეხუთე ოლიმპიადას უმიზნებს. მან დიდი სპორტი 1998 წელს მიატოვა, მაგრამ ახლა, უკანასკნელ მომენტში სიდნეიზე ფიქრმა არ მოასვენა და ისევ სტარტზე დააყენა.

### ისევ სარბენ ბილიკებზე

– მეგონა სამუდამო პატიმრობა მომისაჯეს დანაშაულისათვის, რომელიც არ ჩამიდენია, – განაცხადა მერლინ ოტიმ, მას შემდეგ, რაც მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის არბიტრაჟმა იგი გაამართლა დოპინგ-სინჯის ვითომდა დადებითი რეაქციის გამო მისი დისკვალიფიკაციის შემდეგ, იგი 12 თვის განმავლობაში არ გამოსულა სარბენ ბილიკებზე.

და აი, ოთხშაბათს რეაბილიტაციიდან 9 დღის შემდეგ, სარდინიაში იგი, კვლავ ჩაება შეჯიბრებაში. იამაიკელმა 40 წლის მორბენალმა 100 მეტრზე სირბილში იასპარეზა და გაიმარჯვა. ახლა იგი ოცნებობს სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, რაც მისთვის მეექვსე ოლიმპიადა იქნება.

მერლინ ოტი, რომელიც ახლა სლოვენიაში ცხოვრობს, 20-22 ივლისს მონაწილეობას მიიღებს იამაიკის წინასაოლიმპიადო შესარჩევ ჩემპიონატში. ის 100 და 200 მეტრზე სირბილში იასპარეზებს.

### ანანდი – ერთპიროვნული ლიდერი

გერმანიის ქალაქ დორტმუნდში მიმდინარე საჭადრაკო სუპერტურნირზე ერთპიროვნულად ლიდერობს ინდოელი დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი. მან პრინციპულ ბრძოლაში ინგლისელი მაიკლ ადამსი დაამარცხა, ახლა მას 4 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან კრამნიკი და ადამსი 3-3, „ჭკვიან მანქანას“ კი – 2,5 ქულა აქვს.

**სპორტის რედაქცია.**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ცოლ-ქმარი ვარო მაღრაძე და ზაქარია დევნოზაშვილი – 9 შვილის მშობლები.
1913 წელი.
სურათი მოგვაწოდა დოდო ჩაბელიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

*მკითხველებს, ვისი მოწოდებული ფოტოებიც დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში, ვთხოვთ, მოაკითხონ დედნებს.*

## ღიმილის დოზა



უცოლო კაცის დევიზი: უმჯობესია რძე მაცივარში, ვიდრე ძროხა სამზარეულოში.

* * *

დაბრუნდა რაინდი ბრაიარი ლაშქრობიდან, ეახლა მეფეს და მეფე ეკითხება:
– ჩემო ერთგულო ბრაიარ, ვხედავ, რომ ცოცხალი ხარ და მიხარია. ახლა მომიყევი, შენს ხელმწიფეს როგორ შემოუმტკიცე სხვა ქვეყნები.
– თქვენი სახელის განსადიდებლად, – უპასუხებს რაინდი ბრაიარი, – მუსრი გავავლეთ თქვენს მტრებს, გადავწვით მათი სოფლები და ქალაქები თქვენი ქვეყნის სამხრეთით...
– სამხრეთით რომ მტრები არა მყავს?! – იყვირა მეფემ.
– ნუ შეშფოთდები, მეფევ, ამიერიდან გეყოლება!

* * *

სტიუარდესა თვითმფრინავის სალონში შეამჩნევს მამაკაცს, რომელიც კანკალებს, მოკუნტულა და ფრჩხილებს იკვნეტს:
– ხომ არ ინებებდით ჭიქა ვისკის? – ეკითხება.
კაცი თავის თავს ებრძვის და ბოლოს დათანხმდება.
სტიუარდესას მოაქვს ვისკი.
ცოტა ხანში, ხედავს, რომ ის კაცი იმავე დღეშია და მეორე ჭიქას შესთავაზებს. კაცი ახლა უფრო იოლად დათანხმდება. მესამედ არაყს გადააკვრევინებს, და როდესაც სულ დამშვიდდება, სტიუარდესა იტყვის:
– პირველად ვნახე კაცი, ასე რომ ეშინოდეს ფრენის.
– ქალიშვილო, – უპასუხებს კაცი, – ფრენის კი არ მეშინია, ვცდილობ სმას გადავეჩვიო.

* * *

ერთი მეორეს უყვება:
– ცოლმა პურზე გამაგზავნა. შევედი ერთ მაღაზიაში – არც შავი პური აქვთ, არც თეთრი. მეორეში, მესამეში, მეოთხეში იგივე ამბავი დამხვდა.
– მერე რა ქენი?
– წითელი ვიყიდე.

* * *

– საჭმლის უკეთ მონელების მიზნით ვსვამ ლუდს; მადა თუ არა მაქვს, ვსვამ თეთრ ღვინოს; დაბალი წნევის დროს – წითელ ღვინოს; მაღალი წნევის დროს კონიაკს ვსვამ; თუ ანგინა მჭირს – არაყს.
– წყალს?
– საამისო ავადმყოფობა ჯერ არ შემყრია.

**ფონდი „ჰორიზონტი“ აცხადებს სოციალური დახმარების პროგრამას საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.**

**პროექტის ბიუჯეტი შეიძლება მერყეობდეს 10 000-დან 20 000 ამერიკული დოლარის ფარგლებში.**

**დაინტერესებულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მოგვმართეთ 2000 წლის 7 აგვისტომდე მისამართზე: გოგებაშვილის 33, ტელ: 29-29-55; 22-19-30.**

## ყურადღება!

# ჟურნალისტთა კონკურსი

„საქართველოში ფაშიზმზე გამარჯვების 55-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა გამართვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 1 აპრილის განკარგულებით დამტკიცებული პროგრამის შესაბამისად, საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია აცხადებენ კონკურსს, სამხედრო-პატრიოტული აღზრდის თემის საუკეთესოდ გამშუქებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (გაზეთები, ჟურნალები, სატელევიზიო და რადიო გადაცემები) და ცალკეული პუბლიკაციების ავტორების გამოსავლენად.

კონკურსი გაიმართება მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 1 სექტემბრამდე.

გამარჯვებულთა გამოსავლენად შექმნილია ჟიური საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით.

საკონკურსოდ დაიშვება ნებისმიერი ჟანრის მასალა (ნარკვევი, რეპორტაჟი, ჩანახატი და სხვა), რომელიც გამოქვეყნდება კონკურსის ჩატარების პერიოდში.

მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ ნაბეჭდ თაბახს (15-16 გვერდი). საკონკურსო ნამუშევრის წარდგენის ვადაა 2000 წლის 1 სექტემბრამდე. კონკურსის მასალები უნდა წარადგინოთ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში (ერეკლე II მოედანი, ჟურნალისტთა კლუბი „საფიხვნო“) კონვერტზე წარწერით: „სამხედრო-პატრიოტულ თემაზე კონკურსისათვის“.

**კონკურსში გამარჯვებული ავტორებისთვის დაწესებულია პირველი პრიზი – 250 ლარი, მეორე პრიზი – 200 ლარი, მესამე პრიზი – 150 ლარი და ორი წამახალისებელი პრიზი, თითოეული 100-100 ლარის ოდენობით.**

კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან, აგრეთვე, საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის სიგელით.

კონკურსში გამარჯვებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (გაზეთების, ჟურნალების, სატელევიზიო და რადიო გადაცემების რედაქციები) დაჯილდოვდებიან საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის სიგელებით და სამახსოვრო საჩუქრით.

კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ის რედაქციები, რომლებიც მეტ ყურადღებას უთმობენ აღნიშნულ თემატიკასა და თავისი პუბლიკაციებით ხელს უწყობენ ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას.

გამარჯვებულებს ჟიური გამოავლენს.

**2000 წლის დიალიზის სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად სადიალიზო მასალების ერთი წლის მარაგის შესასყიდად, ღია ტენდერის გამოცხადების გზით გაფორმდა ხელშეკრულებები:**

**1. უროლოგიის ეროვნულ ცენტრსა, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიასა და „ფრეზენიუს მედიკალ ქეარი (გერმანია)“-ს შორის.**

**2. უროლოგიის ეროვნულ ცენტრსა, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიასა და კომპანია „მედინსერვს“ შორის.**

**● ჰემოდიალიზის ქვეპროგრამით 130 ავადმყოფის ჰემოდიალიზის სეანსის უზრუნველსაყოფად წლის განმავლობაში.**

**● პერიტონალური დიალიზის ქვეპროგრამით 15 ავადმყოფისათვის პერიტონალური დიალიზის უზრუნველსაყოფად წლის განმავლობაში.**

**შესასყიდი მასალების მოწოდების ვადაა არაუგვიანეს 2000 წლის 20 აგვისტომდე პერიოდში თბილისში სიპის პირობით, შემდეგ მისამართზე: 380044 თბილისი, წინანდლის ქ. №9 ფაქსი: 96-48-70.**

## დიდების ზღაპარი

„დიდების ზღაპრის“ გმირები, ამჯერად, ინდური ფილმის გმირებად გვევლინებიან, სადაც ზღაპარი და ცხადი, ილუზია და რეალობა ერთ მთლიანობად ქცეულა.

– უკაცრავად, თქვენ ვინ ბრძანდებით?
– მე გურუ ვარ.
– აა, გურუ, ესე იგი, გურული?
– აუჰ! შენ რა გაუნათლებელი მენაყინე ყოფილხარ. გურუ ჩვენს მშობლიურ ინდურ ენაზე მასწავლებელს ნიშნავს. არ იცოდი ეს?
– აბა, საიდან უნდა მცოდნოდა, პატივცემულო, – მე ერთი ავარა ბიჭი ვარ – არზუნა ქვანთხუ. მთელი ცხოვრება ქუჩაში გავატარე, მაგრამ როგორ მინდა განათლებული კაცი მერქვას, ნუ, ვერ დაიჯერებთ რა...
– მე სწორ გზაზე დაგაყენებ, რაჲარც მრავალი შენნაირი გზააბნეული დამიყენებია.. აი, მოვედით ქვანთხუ ჩვენს აშრამში. აქ შენსავით მოავარო და ავარიულ ყმაწვილებს ვუვლით და ვასწავლით. ნუ გეშინია, შენც მოგვიელით. შევიდეთ, შენი მომავალი მეგობრები გაიცანი...

ქვანთხუ გაიცნობს მიშნუ მაჭყატურანს, მიშუხრატან საკახრატანს, დიდ იოგებს, ბევრი რამ აოცებს, მაგრამ საერთო ენას მაინც გამონახავენ. იმავდროულად ვიღაც „ეიფელის ანტენის“ გზას ეძებს, – „ფრანცუზები ემართლებიან“, – საექსპორტო ძროხები ჩამოუყვანიათ, მაგრამ ნახმარები გამომდგარან.... აშრამში კი, გაკვეთილს ატარებს არსენ ბრახმა:
– აბა, ბავშვებო, მითხარით ბიუჯეტს ვინ პარავს, იცით განა?
– ვინც იპარავს ის იპარავს, ისევ მოიპარავს, ვიცით განა...
ბიუჯეტს ვინც არ ავსებს, შემოსავლებს მალავს, სახელმწიფოს წინაშე სწორედ ის მიპქარავს...
– აბა, ახლა მითხარით, ბიუჯეტს ვინც პარავს, რამდენს პარავს?
– ვისაც ხელი მიუწვდება ბლომად მოიპარავს.
– გლეხი ვერ მოიპარავს, მუშაც ვერ იპარავს.... თანამდებობაზე ზის, ფულებს ვინც იპარავს.
– მე მგონი, კარგად დაისწავლეს გაკვეთილი არა, გურუ?
– ჯერჯერობით კარგად იმეორებენ, ჩემო არსენ ბრახმა.

### ინდური კინო

სწავლამდე კიდევ დიდი ძალისხმევაა საჭირო, მაგრამ ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ. დაიმახსოვრეთ: კორუფცია არ ეხება არც გლეხს და არც მუშას, კორუფცია ყოველთვის სახელმწიფო მოხელეებში და შესაბამის სტრუქტურებში უნდა ვეძებოთ, გასაგებია? ჰოდა, თუ გასაგებია, წადით ახლა, დაიძინეთ, ხვალიდან პრაქტიკები დაგეწყებათ.

და აი, გურუ საიდუმლოს გაანდობს არსენ ბრახმას:
– ყურადღებით მომისმინე, ჩემო არსენ ბრაჰმა, – მე მივდივარ...
– მიდიხართ? გვღუპავთ? მარტო გვტოვებთ?
– რავა ყველას ჩემი წასვლა ელანდება. არსადაც არ მივდივარ და ჩემს წასვლამდე არაფერი გეტკინოთ, საქმეზე მივდივარ.
– ვაიმე, როგორ დავწყნარდი, თორემ, ამათ ხელში ჩემი მტერი ჩავარდა...
– დაწყნარდი. ცოტა ხნით უნდა განვმარტოვდე, ვიფიქრო, ავწონ-დავწონო. შინაგანად ვგრძნობთ, რომ რაღაც სიახლეა საჭირო, ახალ პროექტზე უნდა ვიმუშაო. შენ მოწაფეებს მიმიხედე, მოზარდები არიან ჯერ, ცელქობენ, რაიმე არ იტკინონ...

გათენდა. მოსწავლეები ახალ ამბავს იგებენ არსენ ბრახმასგან:
– ჩვენი გურუ ბრახმანოს მთაზე ავიდა საფიქრელად და დროებით მე ჩაგიტარებთ პრაქტიკებს. ყველამ პირი დაიბანეთ და ეზოში გამოდით სავარჯიშოდ.
– ე?! როგორ თუ გურუ აქ არ არის? მა მე აქ რა მინდა გურუს გარეშე?
ე, მიშუხრატან, გაილვიძე, გურუ მთაში წასულა....
– რა კარგია, არდადეგები დაწყებულა.
– კი, როგორ არა, – ქვეგურუ არსენ ბრახმამ თქვა, ეზოში გამოდით, მე უნდა გავარჯიშოთო.
– მაგან კიდევ რა ჭკუის სწავლება დაგვიწყო. ბევრი მინახავს ეგეთები ამ აშრამში – გუგულებიც გვისმენია, ფაციფუციც ამტყდარა, ლეკურიც გვიცეკვია, ლორთქო ბალახიც გვიჭამია, მაგრამ...
– მაგრამ წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო...

გურუს ოთახში შეიპარნენ მოწაფეები, აინტერესებთ საკუთარ მუთაქაზე როცა ზის, რაზე ფიქრობს მასწავლებელი, ერთერთი იმასაც ამბობს, „მოდი, დავჯდეთ გურუს მუთაქაზე, იქნებ გამოვეიცნოთო“, მაგრამ ქვანთხუ უშლის: „თქვენ რა, გაგიჟდით? გურუს მუთაქაზე დაჯდომა როგორ შეიძლება?! აბა, ეხლა, რუკი ვ ნოგი და მარშ, არსენ ბრახმაგიას ვარჯიშებზეო“, – მოუწოდებს მეგობრებს, თუმცა, გურუს მუთაქისთვის გარშემოვლაც დაუდგამთ თვალი „ხედავთ, მუთაქა როგორ უყურადღებოდ მიუტოვებიათ? ჩვენც ეგ არ გვინდაო“?
– რა ვქნათ, დავჯდეთ?
– ჩვენ თუ არ გავბედეთ, ნებით არავინ დაგვსვამს.
– არა მგონია, გაბედვითაც რაიმე გამოვიდეს.
– აბა, რაღას მოელიოდით?
– შენ თუ ამ მუთაქაზე დაჯდომა მართლა გინდოდა, არჩევნებზე ბოლომდე უნდა გებრძოლა...

და მაინც, უცხოები გაბედავენ გურუს მუთაქაზე დაჯდომას, მაგრამ არ უწყიან, რომ მათ უთვალთვალებენ და არცთუ უშედეგოდ... როგორ განვითარდება გურუს მუთაქაზე მათი ჯდომის პროცესი, ვინ აღმოაჩენს, რომ „გურუს მუთაქა დაჭმუჭნულა“, რას მოიმოქმედებენ აღსაზრდელები, როგორ შეხვდებიან მთიდან დაბრუნებულ მასწავლებელს, როგორ დამოძღვრავს მათ გურუ. შეიტყობთ კვირას, 16 ივლისს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის საღამოს ეთერით „დიდების ზღაპრის“ ახალ სერიაში. უყურეთ „ინდურ კინოს“, ისიამოვნეთ, იმხიარულეთ და არ დაივიწყოთ, რომ „გურუს ვერაფერს გამოაპარებთ“.

**არჩურა ავარათხი.**

**„დიდების ზღაპრის“ საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფენ რადიო „აუდიენცია“ FM105.9 და გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „დრონი“. გადაცემის სპონსორია ფიჭური კავშირის კომპანია „მაგთი GSM.“ „დიდების ზღაპრის“ გმირების ხალისიან განწყობილებას კი, უზრუნველყოფს ღვინო „ძველი თბილისი“.**



## გამოიცა

პეტრე შამათავა

**უბადლო მხედართმთავრული განჭვრეტა**

თბილისი
1999

## პუბლიცისტის ნააზრევი

„– არის ისტორიული მოვლენები, არიან გამოჩენილი პიროვნებები, რომელთა ადგილი ისტორიაში გამორჩეულია... ამიტომაც თანამედროვენი თუ შემდგომი თაობები მათ გამორჩეულად აფასებენ... სიმართლის მოყვარულნი წარუვალ ფაქტებს, საბუთებს იშველიებენ, რათა მათში ჩაწვდომით, მათი დეტალებისა და საიდუმლოებათა ამოკითხვით თვალი გაუსწორონ სიმართლეს და სხვებიც აზიარონ ჭეშმარიტებას“...

ასე იწყება ქართველი პუბლიცისტის, გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის პეტრე შამათავას ახალი ნაშრომი – „უბადლო მხედართმთავრული განჭვრეტა“. ისტორიული მოვლენების, სამხედრო-სტრატეგიული ოპერაციების შუქზე იგი მკითხველს აცნობს გამოჩენილი ქართველი მოღვაწის, გენერალსიმუსის, ფაშიზმზე გამარჯვების მთავარი ორგანიზატორის იოსებ სტალინის სამხედრო-მეცნიერული განჭვრეტის ნიმუშებს, მათ თავისებურებებს. „უბადლო მხედართმთავრული განჭვრეტა“ საუბრებად გადაიცა რადიოთი და დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“. ნაშრომმა მკითხველთა მოწონება დაიმსახურა. სამხედრო ხელოვნების ისტორიის სპეციალისტი, გადამდგარი პოლკოვნიკი, სამამულო ომის ვეტერანი, „დიდების ორდენის“ კავალერი გივი ყუფუნია აღნიშნავს:

„პეტრე შამათავას ახალი, 30-ე წიგნი – „უბადლო მხედართმთავრული განჭვრეტა“ პირველი ნაშრომია ამ თემაზე ქართულ სამხედრო ხელოვნების ისტორიაში. და მართლაც, საქმის ცოდნით, დამაჯერებელი, მეტყველი, ისტორიული მოვლენების, ფაქტების და გამოჩენილ სამხედრო სპეციალისტთა, თვითმხილველთა მოწმობით აშუქებს აღნიშნულ თემას. წიგნში მრავალი, დღესაც დამაფიქრებელი, ჭკუის სასწავლებელი ამბავია მოთხრობილი, მოკლედ და დამაჯერებლად ჩათქვამი. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს წიგნი უნდა გახდეს ქართული, ეროვნული შეიარაღებული ძალების მეთაურთა ყურადღების ღირსი და ახალგაზრდა ოფიცერთა პროფესიული წრთობის სახელმძღვანელო“.

საქართველოს ომის, შრომის და შეიარაღებული ძალების საბჭოს თავმჯდომარე, სამამულო ომის ვეტერანი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ბორის ყურაშვილი აღნიშნავს:

პეტრე შამათავას ახალი ნაშრომი – „უბადლო მხედართმთავრული განჭვრეტა“ ადრე გაზეთის ფურცლებზე წავიკითხე. იგი მართლაც ფრიად საინტერესო ნაშრომია ჩვენი ეროვნული სამხედრო ხელოვნების ისტორიის საკითხებზე. ავტორმა მოიძია და პროფესიულად გააანალიზა მეორე მსოფლიო ომისა და დიდი სამამულო ომის ისტორიის დღემდე ნაკლებად გაშუქებული მოვლენები, სიმართლით უჩვენა უმაღლესი მთავარსარდლის, გენერალისიმუს იოსებ სტალინის გენიალური ნიჭი და ორგანიზატორული უნარი, დოკუმენტურად ასახა მისი როლი და დამსახურება ძლიერი და საშიში მოწინააღმდეგის დამარცხებაში. იგი მართლაც იყო გენიალური მხედართმთავარი და ფაშიზმზე გამარჯვების მთავარი ორგანიზატორი. მკითხველი უთუოდ გაეცნობა აღნიშნულ ნაშრომს და გაიზიარებს კომპეტენტურ სპეციალისტთა მოსაზრებას. და, რაც მთავარია, თავად გაიაზრებს, ცხოვრებაში გამოიყენებს მას.

„...იოსებ სტალინი იყო გენიალური მხედართმთავარი და ფაშიზმზე გამარჯვების მთავარი ორგანიზატორი“ – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ სამამულო ომის ვეტერანებთან ამასწინანდელ შეხვედრაზე. ნათქვამის დოკუმენტურ დადასტურებას წარმოადგენს ნაშრომი – „უბადლო მხედართმთავრული განჭვრეტა“.

წაიკითხეთ ეს მართალი, საინტერესო წიგნი!

**გიორგი ბოგველიშვილი,**
**სპარტაკ ძოწულია.**

## სანთელი

# კარგი კაცობა ძნელიც არის და ადვილიც

დღეიდან ზეციურ საქართველოს შეუერთდება წუთიერ სააქაოში სიკეთისათვის მოვლენილი **კამო ქართველიშვილის** ვალმოხდილი სული.

40 დღე გასრულდა ზოოტექნიკურ-სავეტერინარო აკადემიის რძისა და ხორცის წარმოების ტექნოლოგიის კათედრის გამგის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ კამო ქართველიშვილის გარდაცვალებიდან.



კამო ქართველიშვილი თბილისში არ დაბადებულა, მაგრამ თავისი თავმდაბლობითა და ინტელიგენტური მოკრძალებით, ცხოვრების ყაიდით, მოყვასისადმი გამორჩეული სიყვარულით და რაინდული თვისებებით ნაღდი თბილისელი იყო.

სანიმუშოდ პატიოსან, ჭეშმარიტად ქართულ ოჯახში აღზრდილმა დაუწერელი კაცური კანონებით იცხოვრა და წარუშლელი კვალიც დატოვა ამ ქვეყნად. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ამ შესანიშნავმა მეცნიერმა და პედაგოგმა საკუთარი ცხოვრების მაგალითზე უამრავი თაობა აღუზარდა ქვეყანას, რომლებიც დღესაც ღირსეულად აგრძელებენ მის საქმეს. თავად მან კი თავისი განვლილი ცხოვრებით კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვარწმუნა ყველანი იმაში, რომ მართალი ადამიანი ცხოვრებაში დაუმარცხებელია.

პედაგოგისადმი ყოფილი სტუდენტების მიერ სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი მადლიერებით აღსავსე ბარათების თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია მისადმი უსაზღვრო სიყვარული რომ იგრძნო. იგი მათ უტყუარ მეგობრად ეიმედებოდათ.

ბატონმა კამომ თავისი განშორებით გამოწვეულ ტკივილთან ერთად ისიც შეგვახსენა, რომ მას სიცოცხლეში სათანადოდ ვერ გავუფრთხილდით და გული ვატკინეთ კიდეც. ამ დიდებული ადამიანის გახსენების დროს ძნელია ყველაფრის გადმოცემა, განსაკუთრებით კი იმ განცდისა, რაც შვილიშვილისადმი მიწერილ წერილშია. აქ მხოლოდ ერთ ფრაზას შემოგთავაზებთ: – „ბაბუ, კარგი კაცობა ძნელიც არის და ადვილიც. ამის ახსნას არ ვაპირებ. ამაში თავად დარწმუნდები, ოღონდ ისე იცხოვრე, რომ სხვისი სიკეთე არ მეშურდეს და რასაც გააკეთებ სიყვარულით გააკეთე, ამაშია ცხოვრების სილამაზე“, ეს ქრისტიანული ფილოსოფია ასე მარტივად დაუტოვა ანდერძად შვილიშვილსა და არა მარტო მას.

როცა გამოსათხოვარ წერილს წერ ასეთ პიროვნებაზე, რომელმაც ცხოვრების აღმართ-დაღმართებში, უსამართლობასთან თუ უკურნებელ სენთან უთანასწორო ბრძოლაში შესძლო დაუმარცხებელი, სუფთა და გამჭვირვალე დარჩენილიყო, სიტყვებიც უძლურია და კალამიც...

**დოდო იორდანიშვილი.**

## განცხადება

**2000 წლის 7 აგვისტოს, 14 საათზე ქ. სამტრედიაში რობაქიძის ქ. №61 ჩატარდება სს „ვიტას“ აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება.**

**დღის წესრიგი:**
**დირექტორთა ანგარიშის მოსმენა;**
**სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა;**
**სხვადასხვა.**

**გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“**

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი – რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, – 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით – 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

## ტელევიზია

**შაბათი, 15 ივლისი**

09.55 დილის პაემანი 11.30 ცეკვავს ანსამბლი „ორბი“ 12.00 საინფორმაციო ანალიტიკური პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.20 თბილისის საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში. ნახევარფინალი 15.00 „ვესტნიკი“ 15.20 „ზღვარი“ 15.40 მუსიკა ეთერში 16.00 „რეგიონი“ 16.25 საქართველო და გარე სამყარო 16.45 ნუნუ დულაშვილი 17.50, 19.15 უ-თუ-ოდ 18.00, 20.00, 00.00 „მოამბე“ 18.15 „ეძიე ქალი“ 18.35 „ინტეგრალი“ 19.20 „სტადიონი“ 19.40 „ბასტი-ბუბუ“ 20.45 „მაესტრო“ 21.45 „გრიფით საიდუმლო“ 22.05 „კაშკაშა მზეზე“ 00.10 „განთიადამდე“.

19.00 ინფორმაცია 19.30 „საზღვაო პოლიცია“ 20.20 ახლო ხედი 20.30 „ბედნიერი მოტეხილობა“ 22.00 კურპები 22.10 ახლო ხედი 22.20 „სელესტინა“.

08.00 მუსიკა 09.00 კურიერი 09.50 მულტსერიალი 10.40 საბავშვო ფილმი 12.00 მუსიკა 12.15 „კოლომბო“ 12.45 სიმფსონები 13.15 „სიყვარულის ერთგულება“ 14.00 მხ. ფ. 18.00, 01.00 კურიერი 18.20 „კომპიუტერული ომები“ 18.40 „რობინზონების ოჯახის თავგადასავალი“ 19.10 დოკ. ფ. 20.05 „სიყვარულის ერთგულება“ 21.00 კურიერი 22.00 „ბენის ვიდეო“ 01.10 „წითელი ფეხსაცმლის დღიურები“ 01.40 ღამის ჯაზი.

იბერია
09.00 ნახ. ფ. 09.10, 22.25 „ალსავალი“ 09.15 სტუდია დიალოგი 09.55 „ძალაძი“ 10.20 ქართული პანგები 10.30 „ყველა ჩემი შვილი“ 11.05, 19.20 მულტსერიალი 11.30 „ტკბილი და საძაგელი“, „ოვაცია“ 18.00 ნახ. ფ. 18.10 დოკ. ფ. 19.00, 22.00 „ახალი ამბები“ 19.40 მუს. ტალღა 20.45 ძვ. პანგები 21.15 „სახეები“ 21.30 მრწამსი 22.30 „შემოვლით“ 00.00 „ნოსტალგია“ 00.05 „სუპერვარსკვლავი“, „ოვაცია“.

12.00 „ბურატინოს თავგადასავალი“ 14.10 დოკ. ფ. 15.35 „რემთაიმი“ 17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“ 17.15 მუსიკა 17.30 გადაცემა „ხარება“ 18.00 „მსოფლიო სპორტი“ 19.20 „აბესალომ და ეთერი“ 21.00 „ვარსკვლავები“ 22.00 „გზა სიკვდილისკენ“ 23.50, 01.55 მუსიკა 00.20 „წყნარი დღეები კლიშში“.

ევრიკა 11.00 მულტფილმები 11.30 მუსიკალური კოლაჟი 12.00 პროგრამა „სალონი“ 13.30 „ოპერაცია სპილო“ 14.55, 17.10 მუსიკალური კოლაჟი 15.00 „დიდი რბოლა“ 17.20 „მუმია“ 19.00 „თქვენი ადვოკატი“ 20.00 „თინეიჯერი“ 21.00 „შაქტი“ 00.00 მუსიკალური კოლაჟი 00.05 „ავტოკატასტროფა“.

IST 08.00 „ტონიკი“ 10.30 „ერინ ბროკოვიჩი: ლამაზი და გაბედული“ 12.30, 14.15, 16.00, 21.05, 23.00, 01.10 კლიპ-მიქსი 12.50 მულტფილმი 14.30 „ძმა“ 18.00 მულტფილმები 19.00 „რომეო და ჯულიეტა“ 21.20 „კოდი „ომეგა“ 23.15 „იყო ჯონ მალკოვიჩი“ 01.15 „ყვირილი-3“, დასასრულს ნონ-სტოპი.

09.30 „დღეს“ 10.00, 18.20 მულტფილმები 11.00 „ძზე შემოდგომისა“ 12.15 მუსიკა 12.30 „ქამელეონი-2“ 14.00 გასართობი პროგრამა 14.20 „ინტენსიური თერაპია“ 16.00 მუსიკა 16.20 „პანიკა ნიუ-იორკში“ 19.20 „შეხვედრა მთაში“ 20.50 დოკ. ფ. 22.00 „დღეს“ 22.40 „ქალების ციხე“ 00.15 მუსიკა 00.25 „ხმელთაშუა ზღვა“ 02.00 მუსიკა 02.05 „გაფმანის მოლოდინში“.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ძოწულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია.
ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.